ალპური სარტყლების მცენარეები ადაპტირებული არიან ზამთრის ყინვებს, ხანგრძლივი თოვლის საფარს, ძლიერ ქარებს, დიდი ინტენსივობით პირდაპირ სინათლეს, ძლიერ ტრანსპირაციას, მოკლე სავეგეტაციო პერიოდს. სუბალპური მაღალბალახეულობის ცენოზებს არ ახასიათებთ დაკორდება, ამავე დროს აქვთ თავისებური სტრუქტურა და ფლორისტული შემადგენლობა. ამ მცენარეულობის განვითარება დაკავშირებულია ნიადაგის ტენიანობაზე, ჰუმუსის მდიდარ შემცველობაზე, მზის რადიაციასა და განათებაზე, რაც ოპტიმალურადაა აქ წარმოდგენილი. ამ სარტყლებში სინათლის, ნალექების და სითბოს საკმაოდ რაოდენობაზე უწყობს მცენარეთა ენერგიულ ზრდას და განაპირობებს დიდი ზომის, მსხვილლეროიანი, ფართოფოთლებიანი და მრავალყვავილიანი მცენარეების ჩამოყალიბებას. სტატიაში განხილულია ბალდათის და ვანის რაიონების სუბალპური და ალპური სარტყლების მცენარეული საფარი (ხეები, ბუჩქები, ბუჩქ-ბალახები, ბალახები), ნიადაგობრივ-კლიმატური ფაქტორების გავლენა მათი მორფოლოგიური და ანატომიური აგებულების ჩამოყალიბებაში. აღწერილია მცენარეთა შეროვების ძირითადი მარშრუტები წლის სხვადასხვა დროს : წითელი მინდორი, საირმის გადასასვლელი, მდინარე სულორის ზედა წელის მიდამოები, კენჭსაყარი, ნადუქნევი, ლამაზი გორი, საკონდახესწვერი. შეროვილი იქნა 255 სახეობის მცენარე, მათ შორის 82 სახეობა - ტიპური სუბალპური და ალპური სარტყლის წარმომადგენელია. დანარჩენი სახეობები გვხვდება ტყის ზედა სარტყლებშიც, მცირე რაოდენობით-უფრო ქვევითაც.

საკვანძო სიტყვები: სუბალპური სარტყელი, ალპური მდელო, დეკიანი, კოლხური ქვეტყე, სახეობა, მცენარე, ცენოზი.

შესავალი. დასავლეთ საქართველოს კლიმატი თბილი და ტენიანია. ამის გამო აქ გავრცელებული ფლორა სითბოსა და ტენის მოყვარულია. აქ წარმოდგენილია მცენარეულობის ფართო სპექტრი: წყალ-ჭაობის მცენარეულობა, ტორფიანი და ისლიანი ჭაობები, უნიკალური კოლხური მარადმწვანე ქვეტყე, კოლხური ტიპის მაღალბალახეულობა, მუქწიწვიანი

6. ძონნიძე

ტყეები. დასავლეთ საქართველოში კარგადაა გამოხატული ტყის, სუბალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური ვერტიკალური სარტყლები. აქ არ გვხვდება უდაბნოების, სტეპური და არიდული ტყეების მცენარეულობა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი და საკმაოდ მკვეთრ სხვაობას აჩენს დასავლეთ და აღმოსავლეთ ფიტოლანდშაფტების სივრცობრივ განაწილებასა და სტრუქტურაში.

ფიტოლანდშაფტურ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, როგორც მშრალი ქსეროფილური, ნახევარუდაბნოსა და სტეპის ტიპის, ისე ტენიანი, სუბტროპიკული ტყის, სუბალპური მაღალბალახეულობის, მაღალმთის მდელოების, ალპური ხალებისა და კლდე-ნაშალების მცენარეულობა. მცენარეთა ძირითადი ტიპების (ხე, ბუჩქნარი, ბალახოვნები) განვითარება და როლი ლანდშაფტის შექმნაში განისაზღვრება ეკოლოგიურ და გეოგრაფიულ პირობათა ცვალებადობით, რომელიც ვერტიკალურად ხდება და შეიძლება კრიტერიუმად იქნას მიღებული ზონალურობის განსაზღვრის დროს. საქართველოს ფიტოგეოგრაფიული დაყოფის სქემით, იმერეთი შედის უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს სუბხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქის კოლხეთის ანუ აღმ. ევქსინის პროვინციაში. მისი ტერიტორია მოიცავს რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის კირქვიანებს, კოლხეთის დაბლობისა და მთისწინების, გურია-სამხ. იმერეთის ოკრუგების ნაწილებს (გაგნიძე 1996).

ალპური სარტყლისთვის დამახასიათებელია ძლიერი რადიაცია და მასთან დაკავშირებული სინათლის ინტენსივობა, რომელიც დიდი რაოდენობით ულტრაისფერ სხივებს შეიცავს. კლიმატი ცივია და სავეგეტაციო პერიოდი ხანმოკლე. ასევე დიდი განსხვავებაა ჰაერისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურებს შორის, რომელიც 25-40°-ს აღწევს. ნიადაგის ასეთი გადახურება იწვევს აორთქლების გადიდებას, რის გამოც ალპური სარტყელი სიმშრალით გამოირჩევა ამრიგად, ალპური მცენარეები ადაპტირებული არიან ზამთრის ყინვებს, ხანგრძლივ თოვლის საფარს, ქარებს, დიდი ინტენსივობის პირდაპირ სინათლეს, ძლიერ ტრანსპირაციას, მოკლე სავეგეტაციო პერიოდს. აქაურ ყინვებს მცენარეები ეგუებიან უპირველეს ყოვლისა ყინვაგამძლეობით. ზამთარში მარადმწვანე მცენარეებს ფოთლები შეიცავენ დიდი რაოდენობით შაქრებს, რაც ადიდება მათ ყინვაგამძლეობას. ყვავილოვანი მცენარეები შეიძლება სრული ვეგეტაციის პერიოდში რამოდენიმეჯერ გაიყინოს და შემდეგ მზეზე გალღვეს დაუზიანებლად. მცენარეები, რომლებიც მაღალი ყინვაგამძლეობით არ გამოირჩევიან, თავს იცავენ თოვლის საფარის ქვეშ ყოფნით. ასეთი მცენარეა მაგ: დეკა, იგი ჩაღრმავებულ ადგილებში

მაღალი იზრდება, ხოლო ბორცვებზე და თხემებზე - დაბალი. ალპურ სარტყელში უჭირთ ერთწლოვან მცენარეებს სრული სავეგეტაციო ციკლის დასრულება, ამიტომ აქ ძირითადად მრავალწლოვანი მცენარეულობაა. ეს მცენარეები იზამთრებენ თოვლის საფარქვეშ და გაზაფხულზე სავეგეტაციო პერიოდს ხვდებიან გამზადებული საასიმილაციო აპარატით და იწყებენ ვეგეტაციას. ალპურ მცენარეთა უმეტეს ნაწილს ბაგეები ფოთლის ორივე მხარეს აქვთ განლაგებული, რაც მოკლე სავეგეტაციო პერიოდში ინტენსიური ასიმილაციის საშუალებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ალპური სარტყლის მცენარეების ფოთლებში ქლოროფილის რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე ბარის მცენარეებში, ისინი ძლიერი ინტესივობის სინათლის პირობებში, ასიმილაციას უფრო მეტი ინტენსივობით აწარმოებენ (განსაკუთრებით პარკოსნები). ამ დროს ქლოროფილის დაშლას ხელს უშლის ფოთლის სქელი კუტიკულა, შებუსვა და სხვ. თავისებურია ალპური სარტყლის მცენარეთა ყვავილობაც. მათ ახასიათებთ მცირე ზომის, თუმცა მრავალფეროვანი ყვავილების განვითარება. ამ სარტყლისათვის დამახასიათებელი დაბალი ტემპერატურა, ქსეროფილური პირობები და ულტრაიისფერი სხივები ყვავილების განვითარებისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნის. ამ სარტყლის მცენარეთა თესლების გავრცელება ძირითადად ქარის საშუალებით ხდება, ამიტომ აქ ანემოქორული მცენარეები ჭარბობენ (ჯაფარიძე 2003).

სუბალპური სარტყლისთვის დამახასიათებელია ტანბრეცილი და მეჩხერი ტყის ფორმაციები, რომლებიც შემდგარია მაღალმთის სახეობებისაგან: *Quercus Hertwissiana*, *Acer trautvetteri*, *Fagus orientalis*, *Betula litwinowii* Doluch., უფრო იშვიათია მეჩხერი სოჭნარი ტყეები. ამავე სარტყელში გავრცელებული ბუჩქნარებია: წითელი მოცვი - *Vaccinium vitis-idaea* L., ლურჯი მოცვი - *V. uliginosum* L., *V. myrtillus* L., მაჯადვერი - *Daphne mesereum* L, ღვია - *Juniperus pygmaea* K.Koch., დეკა - *Rhododendron caucasicum* Pall., დაბალი ბუჩქების სახით: ჭნავი - *Sorbus caucasigena* Kom. ex Gatsch. და კავკასიური ტირიფი - *Salix caucasica* Andersson. ბალხოვანი ტიპებიდან ყველაზე გავრცელებულია მაღალბალახეულობა და მარცვლოვან - ნაირბალახოვანი, რომლებიც სუბალპურ მდელოებს ქმნიან (გაგნიძე, დავითაძე 2000; გაგნიძე 1961) სუბალპური მაღალბალახეულობის ცენოზებს არ ახასიათებთ დაკორდება, ამავე დროს აქვთ თავისებური სტრუქტურა და ფლორისტული შემადგენლობა. ამ მცენარეულობის განვითარება დაკავშირებულია ნიადაგის ტენიანობაზე, ჰუმუსის მდიდარ შემცველობაზე, მზის რადიაციასა და განათებაზე, რაც ოპტიმალურადაა აქ წარმოდგენილი. ამ სარტყლებში სინათლის, ნალექების და სითბოს საკმაო რაოდენობა ხელს უწყობს მცენარეთა ენერგიულ ზრდა და

6. ძონენიძე

განაპირობებს დიდი ზომის, მსხვილფეროიანი, ფართოფოთლებიანი და მრავალყვავილიანი მცენარეების ჩამოყალიბებას. ზოგი მკვლევარი თოვლის საფარსაც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს, სუბალპურ სარტყელში თოვლის სქელი საფარი ვითარდება, ნიადაგი არ იყინება, ეს კი უზრუნველყოფს მაღალბალახეულობისთვის ხელსაყრელ თერმულ რეჟიმს. ზოგადად, 2000--დან 2200-2300მ. სიმაღლემდე ზღ. დ.=დან დაკავებული აქვს სუბალპურ მცენარეულობას, მთა-მდელოს და მთა-ტყე-მდელოს ნიდაგებით პირველი უკავია სუბალპურ მდელოებს, ხოლო მეორე სუბალპურ მეჩხერ ტყეებს და ტანბრეცილებს, სადაც ძირითადად გვხვდება არყი, მაღალმთის ნეკერჩხალი, ჭნავი, იშვიათად სოჭი და ნამვი. ხეებს შორის განვითარებულია სუბალპური მაღალბალახეულობა: დიყი, სოსანი, დეკა, შხამა. 2300-დან 3000 მეტრამდე ფერდობები უჭირავს ალპურ მცენარეულობის მდელოებს და ხალებს. ასევე ტორფიან-კორდიანი ნიადაგები წარმოდგენილია დეკიანებით (ჯაფარიძე 2003).

კვლევის მეთოდი და შედეგები. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ბაღდათისა და ვანის რაიონების ძირითადი ფიტოსტრუქტურული შემადგენლობის შესწავლა. ბოტანიკური მასალის შეგროვება ხდებოდა შემდეგ ლოკაციებზე: წითელი მინდორი, საირმის გადასავალი, ზეკარის გადასასვლელი, მდინარე სულორის ზედაწელის მიდამოებში-ნადუქნები, ლამაზი გორი, საკონდახესწვერი. კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა: ადგილსამყოფელის და მცენარეულობის ტიპს, სახეობრივ შემადგენლობას, სიმრავლეს. საკვლევ რაიონებში კარგად არის გამოხატული მცენარეთა გავრცელება სარტყლების მიხედვით, აქ სუბალპური სარტყელი წარმოდგენილია: სუბალპური ტყის, მაღალბალახეულობის, მდელოს და ბუჩქნართა ქვესარტყლებით, ხოლო ალპური სარტყელი წარმოდგენილია-ქვედა ალპურით. სუბალპური მაღალბალახეულობა და მდელოს ბალახეულობა წარმოდგენილია ძირითადად სუბალპური ტყის ზოლში, ტყის ზედა საზღვარზე, გავაკებულ და ჩადაბლებულ რელიეფზე. ჩვენს საკვლევ რაიონებში სუბალპური სარტყელი მერყეობს ზღვის დონიდან 1700-2000მ შორის, ხოლო ქვედა ალპური 1900-2000მ-დან იწყება. სუბალპური და ალპური მდელოები გამოყენებულია სათიბებად და სამოვრებად.

ვანიდან მდ. სულორის სათავის მიმართულებით გვხვდება მეჩხერი წიფლნარი ტყე, სადაც ზოგი ეგზემპლარის გარშემოწერილობა 3მ-ს და მეტსაც აღწევს. უფრო ზემოთ- სახადისა და დათვსაწუმეს მიდამოებში დაახლოებით 1800-1900მ ზ.დ. სუბალპური ტყე წარმოდგენილია ნეკერჩხლით, ლიტვინოვის არყით, წიფლნარებით და სოჭნარ-ნამძნარით. გვხვდება, ასევე, პონტოს მუხა. დათვსაწუმეზე ხე-მცენარეები მცირდება, აქა-იქაა ნეკერჩხალი და ლიტვინოვის არყი. 2000-2100მ-ზე მოვაკებულია,

ასევე, არის ბორცვიანი მდელოები და კლდოვან-ლორღანი ადგილები. ბალახეულობიდან გვხვდება: ალპური თივაქასრა - *Poa alpina* L. ალპური ტიმოთელა - *Phleum alpinum* L., შვრიელა - *Bromus variegates* M.Bieb., წივანა - *Festuca airoides* Lam., ალპური მაჩიტა - *Campanula alpigena* K. Koch., კატაბალახას სახეობები: *Valeriana alpestris* Stev., *V. alliariifolia* Adams, წყალიკრეფია - *Aquilegia olympica* Boiss., კავკასიური უძოვარა - *Trollius patulus* Salisb., მარწყვაბალახა - *Potentilla crantzii* G.Beck ex Fritsch., ფრინტა - *Anemone fasciculata* L., დვალურა - *Polygonum carneum* K.Koch. გვიმრებიდან - *Polystichum lonchitis* (L.) Roth, *Cystopteris fillix fragilis* L., *Athyrium alpestre* Rylands (საქ. ფლ. ნომენკ. ნუსხა 2018).

წითელი მინდვრიდან (მდებარეობს 1780 მ-ზე ზ.დ.-დან, ხოლო უმაღლესი წერტილი 1940მ-ია), საირმის გადასასვლელისკენ ე.წ. „რკინის ჯვრისაკენ,“ რელიეფი მეტად ხვეულია და თანდათან მალღდება, გადასასვლელთან იგი 2118 მეტრს აღწევს. აქ სუბალპური სარტყელი წარმოდგენილია სუბალპური ტყით, მღელოს და ბუჩქნარის ფორმაციებით სუბალპური ტყის შემადგენლობაში აქ იგივე ელემენტები გვხვდება, რაც გვხვდებოდა მღინარე სულორის სათავის მიმართულებით, მხოლოდ სიჭარბით. იშვიათად გვხვდება კავკასიური ფიჭვი - *Pinus sylvestris* L. subsp. *hamata* (Stev.) Fomin მშრალ და ღია ეკოტოპებზე. ფერღობებზე გვხვდება: თავყვითლა - *Tephrosia cladobotrys* (Ledeb.) Griseb. & Schenk, ტელეკია მშვენიერი *Telekia speciosa* (Schreb.) Baumg., მაჩიტა *Campanula hemschinica* K. Koch. ნემსიწვერას რამდენიმე სახეობა: *Geranium psilostemon* Ledeb., *G. robertianum* L., ყვავისფრჩხილა - *Coronilla orientalis* Mill., გვიმრებიდან: მამასწარა - *Asplenium trichomanes* L.

ღამაზგორისა და საკონდახე მთის მიდამოებში (2150-2170მ.ზ.დ.) წარმოდგენილია ქვედა ალპური ზონა, დამახასიათებელი მცენარეულობით: ალპური თივაქასრა - *Poa alpina* L., *Colpodium variegatum* Boiss., ალპური ტიმოთელა - *Phleum alpinum* L., დვალურა - *Polygonum carneum* K.Koch., მატიტელა - *P. alpestre* C.A.Mey., ღიღილო - *Centaurea nigrofimbria* (K.Koch.) Sosn., ცხენისკუდა - *Erigeron uniflorus* L.

ცხრამუხლის თავიდან (1900მ) ზეკარის გადასასვლელის მიდამოებში, ზეკარის გზაჯვარედინზე, საირმის და აბასთუმნის მიმართულებით, რომლის სიმაღლე 2180მ -ია ზ.დ., გვხვდება მაღალბალახეულისა და მღელოს შემდეგი სახეობები: ეშმაკის ქოში - *Aconitum nasutum* Fisch.ex Reichenb., ნადველა - *Gentiana schistocalyx* K.Koch., კუზნეცოვისეული ნარი - *Cirsium kuznezowianum* Somm.et Levier, ფრინტა - *Anemone fasciculata* L., შხამა- *Veratrum lobelianum* Bernh., მთისბარისპირა - *Betonica grandiflora* Willd., პალადინის ოროვანდი - *Arctium palladini* (Marcow) Grossh., ვიტმანისეული ოორღასალამი - *Paeonia macrophylla* Lomakin, ღვალო - *Rumex acetosella*

6. ძონენიძე

L., ტყის ნემსიწვერა - *Geranium sylvaticum* L., უჟმურა - *G. robertianum* L., დვალურა - *Polygonum carneum* K.Koch., ამიერკავკასიური ბაია - *Ranunculus transcaucasicus* Kem.-Nath., მედვედევის ისლი - *Carex medwedewii* Leskov, კვლიავი - *Chamaesciadum acaule* Boiss., წრისებრნაყოფიანი დიცი - *Heracleum cyclocarpum* K. Koch. ასევე: თხაწართხალა - *Chamerion angustifolium* (L.) Holub, ნადველასებრიჩაღანდრი - *Veronica gentianoides* Vahl., სატილია - *Pedicularis comosa* L., აღმოსავლური თავყვითელა - *Senecio pseudoorientalis* Schischk., კოლხური მაჯალვერი - *Daphne pontica* L., ბეგქონდარა - *Thymus Grossheimii* Rooninger, სვინტრი - *Polygonatum verticillatum* All (Shetekauri, Jakoby 2009).

სუბალპური ბუჩქნარებიდან გვხვდება: წითელი მოცვი - *Vaccinium vitis-idaea* L., ლურჯი მოცვი - *V. uliginosum* L., მაჯალვერი - *Daphne mesereum* L., დეკა - *Rhododendron caucasicum* Pall., ღვია - *Juniperus pygmaeae* K.Koch., აქვე დაბალი ბუჩქების სახით გვხვდება: ჭნავი - *Sorbus caucasigena* Kom. ex Gatsch. და კავკასიური ტირიფი - *Salix caucasica* Andersson.

კლდოვან ადგილებში გვხვდება: ფხიჯას სახეობები: *Saxifraga cartilaginea* Willd. ex Sternb., *S. Repanda* Willd. ex Sternb., ტენიან კლდეებზე: *S. Cymbalaria* L. მცირე რაოდენობით: ქუდუნა - *Draba hispida* Willd., მსუქანა - *Sedum oppositifolium* Sims, *Alyssum trichostachium* Rupr. (საქ. ფლორის ნომ. ნუსხა 2018).

დასკვნა. ბაღდათის და ვანის რაიონებში ჩატარებული ბოტანიკური ექსპედიციებისას წლის სხვადასხვა დროს შეგროვილი და გარკვეული იქნა 255 სახეობა, რომელთაგანაც 82 სახეობის ტიპური სუბალპური და ალპური ზონის მცენარეა, ხოლო დანარჩენი გვხვდება ტყის ზედა სარტყლებშიც და მცირე რაოდენობა უფრო ქვემოთ, მთისწინეთშიც. შესწავლილ მცენარეთა სპექტრში გამოვლენილია ამ სარტყლების მცენარეთა ძირითადი სასიცოცხლო ფორმები: ორწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახოვნები, ბუჩქნარები, ხეები. სპექტრში დომინანტური ადგილი უკავია მარცვლოვან-პარკოსანი წვრილბალახოვანი მდელოს მცენარეულობას. გამოკვლეული მცენარეები ძირითადად მიეკუთვნებიან შემდეგ ბოტანიკურ ოჯახებს: *Apiaceae*, *Campanulaceae*, *Ranunculaceae*, *Fabaceae*, *Rosaceae*. ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოს ფიტოცენოზთა სისტემატიკის, ეკოლოგიის, ბიომრავალფეროვნების შესწავლისთვის. შეგროვებული მასალა დამუშავდა ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში და შენახულია ამავე უნივერსიტეტის ჰერბარიუმში.

ლიტერატურა

- გაგნიძე, რ. დავითაძე, მ. 2000. ადგილობრივი ფლორა. ბათუმი.
გაგნიძე, რ. 1996. მცენარეთა გეოგრაფია. თბილისი.
გაგნიძე, რ. 1961. კოლხური სუბალპური მაღალბალახეულობის ფლორის შესასწავლად. თბილისი: ბოტანიკის ინსტიტუტის მცენ. სისტ. და გეოგრ. ნარკვ., 22.
კეცხოველი, ნ. 1060. საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი.
ლათინურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი. 2011. თბილისი.
მაყაშვილი, ა. 1991. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი.
საქართველოს ფლორა. 1971-1987. I-XI ტ. თბილისი.
საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა. 2018. თბილისი: „უნივერსალი“.
ჯაფარიძე, თ. 2003. მცენარეთა ეკოლოგია. თბილისი.
ShetekauriS., M. Jakoby. 2009. *Mountain flowers & tree of Caucasia*.

Plant Science

Structure and floristic composition of subalpine and alpine cenoses of Baghdati and Vani districts

Nino Dzotsenidze

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
nino.dzotsenidze@atsu.edu.ge

Plants of alpine belts are adapted to winter frosts, long snow cover, strong winds, direct light with great intensity, strong transpiration, short vegetation period. Cenoses of subalpine grasses are not characterized by lying fallow, at the same time they have a peculiar structure and floristic composition. The development of this vegetation is related to soil moisture, rich humus content, solar radiation and lighting, which are optimally presented here. A considerable amount of light, precipitation and heat in these zones promotes vigorous plant growth and leads to the formation of large, broad-leaved and multi-flowered plants. The article discusses the vegetation cover of subalpine and alpine belts (trees, shrubs, shrubs-grasses, grasses) of Baghdati and Vani districts, the influence of soil-climatic factors in their morphological and anatomical structure. The main routes of plant collection at different times of the year are described: Tsiteli Mindori (Red field), Sairme crossing, upper Sulori river area, Kenchsakari, Naduknevi, Lamazi Gori,

6. ძმნგნბბ

Sakondakhestsveri. 255 species of plants were collected, including 82 species from typical subalpine and alpine belt. Other species are also found in the upper belts of the forest, in small numbers - further down.

Keywords: *subalpine belt, alpine meadow, grove of evergreen azaleas, Colchian undergrowth, species, plant, cenosis.*

Introduction. The climate of western Georgia is warm and humid. Because of this the flora prevalent here is a lover of heat and moisture. A wide range of vegetation is presented here: water-swamp vegetation, peat and sedgy wetlands, unique Colchian evergreen undergrowth, Colchian type high grasslands, coniferous forests. Forest, subalpine, alpine, subnival and nival vertical belts are well defined in western Georgia. There is no vegetation of deserts, steppe and arid forests, which is typical for Eastern Georgia and shows quite a sharp difference in the spatial distribution and structure of western and eastern phyto-landscapes.

Phyto-landscape diversity is defined by dry xerophilous, semi-desert and steppe types, as well as by humid, subtropical forest, subalpine grasslands, highland meadows, alpine moles and rocky outcrops. The development and role of major plant types (trees, shrubs, grasses) in landscape design is determined by the variability of ecological and geographical conditions that occur vertically and can be used as a criterion in determining zoning. According to the phytogeographical division scheme of Georgia, Imereti is included in the ancient Mediterranean world of Kolkheti, that is, in the province of Eastern Euxine. Its territory includes the limestones of Racha-Lechkhumi and Imereti, the plains and foothills of Kolkheti, south Guria, parts of Imereti districts (Gagnidze).

The alpine zone is characterized by strong radiation and related light intensity, which contains a large number of ultraviolet rays. The climate is cold and the vegetation period is short. There is also a big difference between air and soil surface temperatures, which reaches 25-40 °. Such overheating of the soil leads to increased evaporation, which is why the alpine belt is characterized by dryness. Thus, alpine plants are adapted to winter frosts, long snow cover, winds, direct light of great intensity, strong transpiration, short vegetation period. Plants get used to the frosts here, first of all, due to the frost resistance. In winter, the leaves of evergreen plants contain large amounts of sugars, which increases their frost resistance. Flowering plants can be frozen several times during the full vegetation period and then thawed in the sun without being damaged. Plants that are not characterized by high frost resistance are protected from being covered by snow. Such a plant is, for example, Caucasian evergreen azalea, which grows high in deep areas, and low on hills and ridges. In the alpine zone it is

difficult for annual plants to complete the full vegetation cycle, so here is mostly perennial vegetation. These plants overwinter in the snow and in the spring they meet the vegetation period with a trained assimilation apparatus and begin vegetation. Most alpine plants have pores on either side of the leaf, allowing for intense assimilation during the short growing season. Although the amount of chlorophyll in the leaves of alpine plants is much lower than in the lowland plants, they produce assimilation with greater intensity under strong light conditions (especially legumes). At this time, the decomposition of chlorophyll is prevented by the thick cuticle of the leaf, the lining, etc. The flowering of alpine plants is also peculiar. They are characterized by the development of small but varied flowers. The low temperatures, xerophilous conditions and ultraviolet rays characteristic of this zone create conditions conducive to the development of flowers. The seeds of the plants in this belt are propagated mainly by wind, so anemophilous plants predominate here (Japaridze).

The subalpine belt is characterized by barked and scarce forest formations, which consist of highland species: *Quercus Hertwissiana*, *Acer trautvetteri*, *Fagus orientalis*, *Betula litwinowii* Doluch; scarce pine forests are more rare. Shrubs common in the same zone are: red cranberry - *Vaccinium vitis-idaea* L., blueberry - *V. uliginosum* L., *V. myrtillus* L., daphne - *Daphne mesereum* L., juniper - *Juniperus pygmaea* K.Koch., azalea - *Rhododendron caucasicum* Pall., In the form of low shrubs: rowan - *Sorbus caucasigena* Kom. ex Gatsch. and Caucasian willow - *Salix caucasica* Andersson. The most common types of grasses are high grasses and granular-grasslands, which form subalpine meadows (Gagnidze, Davitadze). Cenoses of subalpine grasses are not characterized by fading, at the same time have a peculiar structure and floristic composition. The development of this vegetation is related to soil moisture, rich humus content, solar radiation and lighting, which are optimally presented here. A considerable amount of light, precipitation and heat in these zones promotes vigorous plant growth and leads to the formation of large, thick-stemmed, broad-leaved and multi-flowered plants. Some researchers also attach some importance to snow cover, a thick layer of snow develops in the subalpine belt, the soil does not freeze, and this provides a favorable thermal regime for high grasslands. In general, from 2000 to 2200-2300 m. up from the sea level is occupied by subalpine vegetation, with mountain-meadow and mountain-forest-meadow soils the first place is occupied by subalpine meadows, and the second - by subalpine scarce forests and barked tress, where mainly a birch, a highland maple, a rowen-tree, rarely a fir-tree and a spruce are found. Subalpine grasslands are developed between the trees: hogweed, lilac, azalea, hellebore. Slopes of 2300 to 3000 meters are

6. ძონგნობა

occupied by alpine meadows and moles. Also peat-cordy soils are represented by azaleas (Japaridze).

Research method and results. The object of the study was the main phyto-structural composition of Baghdati and Vani districts. Botanical material was collected at the following locations: Red Field, Sairme Pass, Zekari Pass, in the area of the upper part of the Sulori River - Naduknebi, Lamazi Gori, Sakondakhesstveri. During the research, special attention was paid to: habitat and vegetation type, species composition, abundance. Plant distribution is well presented in the study areas, here the subalpine zone is represented by: subalpine forest, high grassland, meadow and shrubland subzones, while the alpine zone is represented by the lower alpine zone. Subalpine grasslands and meadow grasslands are mainly present in the subalpine forest belt, at the upper forest boundary, in shallow and lowland terrain. In our study areas, the subalpine belt ranges from 1700-2000 m above sea level, while the lower alpine zone starts from 1900-2000 m. Subalpine and alpine meadows are used for mowing and grazing.

From Vani, in the direction of the headwaters of the river Sulori, there is a sparse beech forest, where the circumference of some specimens reaches 3 m. and more. Sub-alpine forest is represented by maple, Litvinov birch, beech and spruce-fir in the areas of upper-Sakhadi and Datvsatsume around 1800-1900 m. above sea level. Ponto oak is also found. Tree-plants are declining on Datvsatsume, maple and Litvinov birch are found here and there. About 2000-2100 m are flat areas, there are also hilly meadows and rocky areas. From grasses we can find: Alpine hay - *Poa alpina* L. Alpine timothy - *Phleum alpinum* L., Brome - *Bromus variegates* M.Bieb., Fescue - *Festuca airoides* Lam., Alpine bluebell - *Campanula alpigena* K. Koch., Species of Valerian: *Valeriana alpestris* Stev., *V. alliariifolia* Adams, Aquilegia - *Aquilegia olympica* Boiss., Caucasian globe-flower - *Trollius patulus* Salisb., Tormentil - *Potentilla crantzii* G.Beck ex Fritsch., Anemone - *Anemone fasciculata* L., Snake - root *Polygonum carneum* K.Koch; from Ferns - *Polystichum lonchitis* (L.) Roth, Cystopteris fillix fragilis L., Athyrium alpestre Rylands (Nomenclatural Checklist of flora of Georgia).

From the Red Field (located at 1780 m above sea level, and the highest point is 1940 m), towards the so-called "Iron Cross" of the Sairme Pass, the terrain is very winding and gradually rises, at the passage it reaches 2118 meters. The subalpine belt is represented by subalpine forest here, as for the meadow and shrub formations, the same elements are found here in the subalpine forest, as in the direction of the headwaters of the Sulori River, only in abundance. Rarely found Caucasian pine - *Pinus sylvestris* L. subsp. *hamata* (Stev.) Fomin on dry and open ecotopes.

On the slopes we can find: Groundsel - *Tephroses cladobotrys* (Ledeb.)

Griseb. & Schenk, *Telekia speciosa* (Schreb.) Baumg., Bluebell- *Campanula hemschinica* K. Koch. Several species of Geranium: *Geranium psilostemon* Ledeb., *G. robertianum* L., Crown vetch - *Coronilla orientalis* Mill., From ferns: *Asplenium trichomanes* L.

In the areas of Lamazgori and Sakondakhe mountain (2150-2170 BC) there is a lower alpine zone with characteristic vegetation: Alpine grassland *Poa alpine* L., Alpine timothy - *Phleum alpinum* L., Snake-root - *Polygonum carneum* K.Koch., Buckwheat - *P. alpestre* C.A.Mey., Cornflower - *Centaurea nigrofimbria* (K.Koch.) Sosn., Butter-weed - *Erigeron uniflorus* L.

At the head of Tskhramukhli (1900 m) in the environs of the Zekari crossing, at the Zekari crossroads, in the direction of Sairme and Abastumani, which is 2180 m above sea level, the following species of high grass and meadow can be found: Lady's slipper - *Aconitum nasutum* Fisch.ex Reichenb., Gentian- *Gentiana schistocalyx* K.Koch., Thistle- *Cirsium kuznezowianum* Somm.et Levier, Narcissus anemone- *Anemone fasciculata* L., Hellebore - *Veratrum lobelianum* Bernh., Betony - *Betonica grandiflora* Willd., Burdock - *Arctium palladini* (Marcow) Grossh., Peony - *Paeonia macrophylla* Lomakin, Wild sorrel - *Rumex acetosella* L., forest Geranium- *Geranium sylvaticum* L., herb Robert - *G. robertianum* L., Snake-root - *Polygonum carneum* K.Koch., Transcaucasian buttercup - *Ranunculus transcausicus* Kem. - Nath., Medvedev's sedge - *Carex medwedewii* Leskov, Cumin- *Chamaesciadum acaule* Boiss., Bogweed - *Heracleum cyclocarpum* K. Koch. Also: Sally-bloom- *Chamerion angustifolium* (L.) Holub, Brooklime - *Veronica gentianoides* Vahl., Lousewort- *Pedicularis comosa* L., Eastern Groundsel - *Senecio pseudoorientalis* Schischk., Colchian Daphne- *Daphne pontica* L., Thyme- *Thymus Grossheimii* Rooiner, Solomon's seal- *Polygonatum verticillatum* All (Shetekauri, Jakoby).

From subalpine shrubs the following species are found: red cranberry - *Vaccinium vitis-idaeae* L., blueberry - *V. uliginosum* L., daphne- *Daphne mesereum* L., azalea - *Rhododendron caucasicum* Pall., juniper - *Juniperus pygmaeae* K.Koch. ex Gatsch. and Caucasian willow- *Salix caucasica* Andersson. In rocky areas are found: Saxifrage species: *Saxifraga cartilaginea* Willd. ex Sternb., *S. repanda* Willd. ex Sternb.; On moist rocks: *S. Cymbalaria* L. In small quantities: Whitlow-grass - *Draba hispida* Willd., Stonecrop- *Sedum oppositifolium* Sims, *Alyssum trichostachium* Rupr (Nomenclatural Checklist of flora of Georgia).

Conclusion. During the botanical expeditions in Baghdati and Vani districts, 255 species were collected and determined at different times of the year, of which 82 species are typical subalpine and alpine zone plants, while the rest are found in the upper forest belts and a small number further down in the foothills. In the range of plants studied, the main vital forms of plants in these belts are identified:

6. ძონგნოც

biennial and perennial grasses, shrubs, trees. The dominant place in the spectrum is occupied by cereal-leguminous meadow vegetation. The studied plants mainly belong to the following botanical families: *Apiaceae*, *Campanulaceae*, *Ranunculaceae*, *Fabaceae*, *Rosaceae*. The research is important for the study of phytocenoses systematics, ecology, biodiversity in western Georgia. The collected material was processed at Kutaisi Akaki Tsereteli University and stored in the herbarium of the same university.

ხელოვნება და
ჰუმანიტარული მეცნიერებები

Arts and Humanities

ენა და ენათმეცნიერება

თარგმანისა და ორიგინალის ლინგვისტურ-შეპირისპირებითი ანალიზი მარკ ტვენის მოთხრობის 'ტომ სოიერის თავგადასავალი' მიხედვით

ჩარკვიანი ნუნუ

nunu.charkviani@atsu.edu.ge

რუსაძე ირმა

irma.rusadzel@atsu.edu.ge

ყიფიანი სოფიო

sopio.kipiani@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთასი, საქართველო

სტატია ეხება თარგმანის მნიშვნელობას საკომუნიკაციო და საზოგადოებრივ-კულტურული ფუნქციის თვალსაზრისით. თარგმანის მეთოდების სათანადოდ გამოყენება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ სტუდენტის წერილობით თუ ზეპირ მეტყველებას ინგლისურ ენაზე ჰქონდეს ავთენტური ხასიათი. თეორიული თუ პრაქტიკული მასალა საშუალებას აძლევს სტუდენტს იყოს შემოქმედებითად თავისუფალი, დაძლიოს ენაში არსებული ბარიერი-ინტერფერენცია. სტატიის მიზანია შევქმნათ ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი სურათი მარკ ტვენის მოთხრობის 'ტომ სოიერის თავგადასავალი' და მისი თარგმანის მიხედვით. ლინგვისტური ანალიზის ჩატარება ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც ითვლება ტრანსნაციონალურ და ტრანსკულტურულ დიაპაზონების სინთეზად. ორიგინალსა და თარგმანში არსებულმა ემპირიულ მასალათა (ინგლისური და ქართული ენების მაგალითები) შედარებამ მოგვცა შესაძლებლობა დაგვედგინა ის მსგავსება-განსხვავებანი რაც ჩვენ მიერ შესადარებელ ენებშია წარმოდგენილი. ეს კი უკვე მხატვრული თარგმანის მიმართულეობას წარმოადგენს, რომელიც ლინგვისტური მეთოდითაა ცნობილი.

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, ტრანსნაციონალური, ტრანსკულტურული კომუნიკაცია, სოციო-კულტურული სინთეზი.

თარგმნა რთული შემოქმედებითი პროცესია, ამიტომ ყოველი მთარგმნელი მზად უნდა იყოს იმ სიძნელეების გადასალახად, რომელიც მის წინაშე წარმოიჭრება თარგმნის დროს. იმისათვის, რომ მთარგმნელმა სრულყოფილი თარგმანი მიიღოს, მარტო ენების კარგად ცოდნა როდი კმარა. თარგმანის მაღალ დონეზე შესასრულებლად მან უნდა იცოდეს ის გზებიც, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ერთი ენიდან მეორეზე გადასვლა. ენებს შორის ობიექტურად არსებობს დიდი განსხვავება და

აუცილებელია ამ განსხვავების ცოდნა და გათვალისწინება. ორ ენას შორის სხვაობა შეიძლება ის იყოს, რომ სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ცნებათა სისტემა და მეორე - ერთ ენაში არსებული სიტყვების მრავალმნიშვნელობა არ ემთხვევა მეორე ენაში მოცემული სიტყვების მრავალმნიშვნელობას. ზოგჯერ ერთ ენაში არსებობს ცნება, მაგრამ მეორე ენაში ეს ცნება საერთოდ არ არის. ეს ყველაფერი კი გვადლევს იმის თქმის საფუძველს, რომ თარგმანი საკმაოდ რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. ლინგვისტიკისათვის კი იგი ზოგადი, და განსაკუთრებით, შეპირისპირებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისით საინტერესოა. ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში არა ენათმეცნიერი მუშაობს თარგმანზე, არამედ თარგმანი ენათმეცნიერებაზე, აფართოებს მის ჰორიზონტს და განსხვავებული ენების დამახასიათებელ თვისებებს ავლენს. ამასთან ბევრი ენათმეცნიერი უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თარგმანი შეიძლება გახდეს ლინგვისტური აღწერის ობიექტი.

გლობალიზაციის კვალდაკვალ თარგმანმცოდნეობას კულტურათმცოდნეობის კონტექსტში სწავლობენ. თარგმანის შესწავლისადმი ახალმა მიდგომამ მოითხოვა თარგმანის არსებული დეფინიციების გადასინჯვა, რადგან გაფართოვდა მისი ცნებითი განზომილება. 1960 იან წლებში ლინგვისტიკის მიდგომა ფაქტისადმი ჯერ კიდევ სტრუქტურული ანალიზით შემოიფარგლებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ თარგმანი იყო ერთი ენის ნიშანთა წყებით გამოხატული 'მნიშვნელობის' მქონე ენის ნიშნების წყებით გადმოცემა.

ფრანგი თეორეტიკოსი ჟორჟ მუნენი მიიჩნევს, რომ 'ნამდვილი თარგმანი გახლავთ ტექსტის ვერბალური კომუნიკაცია, ხოლო ლინგვისტიკა მუდამ დარჩება თარგმანმცოდნეობის შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს მეცნიერებად, რადგან თარგმანი ლინგვისტური ოპერაციაა' (Mounin 1967) ოპერაციულ თანმიმდევრობაში მუნენი გულისხმობდა ტექსტის არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ ექსტარლინგვისტური ინფორმაციის გადაცემას მეორე ენაზე, რაც მოიცავს დისკურსის სოციო-ლინგვისტურ და პრაქტიკულ ასპექტებს, მეტყველების ფსიქო-კულტურულ გარემოს.

სტატიის მიზანია ის არის, რომ სხვადასხვა სისტემის ენის მაგალითებით შევქმნათ ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი სურათი მარკ ტვენის მოთხრობების თარგმანის საფუძველზე (მთარგმნელი გრიგოლ ყიფშიძე). ენის სტრუქტურული ელემენტის სიმრავლე არ გვადლევს იმის ფუფუნებას წარმოვადგინოთ არსებული მოთხრობების ლინგვისტური ანალიზი. შევეცადეთ ძირითადი აქცენტი გაგვეკეთებინა იმ შემთხვევებზე, სადაც თვალნათლივ ჩანს მთარგმნელის დიდი ძალისხმევა გაითვალისწინოს როგორც წყარო, ასევე

6. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი

სამიზნე ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურა რომელიც, როგორც ცნობილია, დიდად განსხვავდება დედაენის ენობრივი ნორმებისაგან. სტატიამი გარკვეული ადგილი ეთმობა თარგმანის ტრანსფორმაციული ხერხების გამოყენებას - სიტყვების ჩანაცვლებას, სიტყვების მრავალმნიშვნელობის ცოდნას ორივე შესაძარებელ ენაში მიმღები ენის გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმატივების შესაბამისად. ყურადღება გავამახვილეთ ანტონიმურ თარგმანზეც, იდიომებისა და ფრაზების გადმოცემაზე სათარგმნი ენიდან ჩვენს მშობლიურ ენაში.

თარგმანის ანალიზი მაინც სიტყვათა მნიშვნელობის განხილვით დავიწყეთ. ჩვენი არჩევანი ლინგვისტური ანალიზი და გვეწერა ზედსართავი სახელებით, განპირობებულია იმით, რომ ჩვენს მიერ სათარგმნელი ტექსტი მხატვრულ ჟანრს განეკუთვნება, რაც ზედსართავი სახელების სიმრავლით გამოირჩევა. გარდა ამისა, მეტყველების ნაწილებიდან ყველაზე მეტი სინონიმია მას ახასიათებს. მათი მეტ-ნაკლები გამოყენება თარგმნის დროს ზოგჯერ აზიანებს ტექსტის სტრუქტურას. ზედსართავი სახელის სხვადასხვა კონოტაციით გამოყენება მოითხოვს დიდ სიფრთხილეს მთარგმნელის მხრიდან. მათგან აღებული კოლოკაციების (სიტყვათშეთანხმებანი) არასწორი ხმარება ხშირად აზნევს მკითხველს. ჩვენს მიერ არსებული ტექსტი უტყუარი მაგალითია იმისა, რომ ზოგჯერ ჩვენს მშობლიურ ენაში მოძიებული ზედსართავი, მიუხედავად მისი სხვა მნიშვნელობისა, მშვენივრად გადმოსცემს მკითხველისათვის განკუთვნილ ინფორმაციას.

გარკვეული ინტერესი გამოიწვია ზოგიერთი ზედსართავი სახელის ისეთი თვისებებით წარმოჩენამ, რომელიც მისთვის ნაკლებადაა დამახასიათებელი, მაგრამ კონტექსტში ჯდება.

მაგ: –If I’m good (Twain 2021: 34) /თუ ჭკვიანი გოგო ვიქნები (ტვენი 1991: 74)

- For stronger reasons (Twain 2021: 17) / უფრო მნიშვნელოვანი მიზნით (ტვენი 1991: 46)

ენებში ზოგადად ზედსართავი სახელის „დიდი“ არჩევანი არსებობს იმის და მიხედვით თუ რა სიდიდისაა ობიექტი, თუმცა იგი სხვა განსხვავებული მნიშვნელობითაც გვაქვს. ქართულ ენაში ვხვდებით სიტყვებს დიდი, უზარმაზარი, ვეებერთელა, გიგანტური, ბუმბერაზი და სხვა. ინგლისურში კი big, great, huge, giant, tremendous და ა.შ. როგორც ვახსენეთ სიტყვები „დიდი“ სხვა ფორმით „დიდებული“ ან „დიადი“ აღნიშნავს ობიექტს მეტი ფასეულობით. „დიდებული ეპოქა“, „დიადი საქმენი“ - ასევე ინგლისურში - „Great American Stories“, „Great figures“, „Big countries“, თუმცა სიტყვას „დიდი“ ადამიანის დახასიათების დროსაც ვხმარობთ გარკვეული

ღირსების გამოსახატავად „დიდი ქართველი პოეტი“ და ა.შ.

- Great law (Twain 2021: 11) / დიდი კანონი (ტვენი 1991: 36)
- Great and wise (Twain 2021: 11) / დიდი და ბრძენი მიზანი (ტვენი 1991: 36)
- Great elm (Twain 2021: 40) / დიდი თელა (ტვენი 1991: 81)
- You'll be a great man (Twain 2021: 21) - გახდები დიდი ადამიანი (ტვენი 1991: 53)

რაც შეეხება ზედსართავი სახელების „great“ და „big“ გამოყენების არეალს, ისინი ხშირად ერთმანეთს ცვლიან ერთი და იგივე საზღვრულთან.

- A big toe (Twain 2021: 6) გვხვდება ინგლისურ ვარიანტში - ცერი (ტვენი 1991: 29), თუმცა ინგლისურ ლექსიკონებში გვხვდება a great toe - ც. სათარგმნი ტექსტის სხვა მაგალითში სიტყვა „big“ სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს.
- Took a big breath (Twain 2021: 17) / ღრმად ამოიოხრა (ტვენი 1991: 45)

მაგალითებზე დაკვირვებამ გვიჩვენა ანტონიმების ‘new’ და ‘old’ თავისებური თარგმანები ქართულ ენაზე.

- The new boy went off (Twain 2021: 7) / უცნობი ბიჭი (ტვენი 1991: 30)

ზედსართავი სახელის „ძველი“ აღმატებითი ფორმა ქართულში „უძველესია“ ძალიან ძველი, რომელსაც ვხმარობთ სიტყვით „ძველისძველი“ და ვხვდებით სხვადასხვა ინგლისურ ფრაზებთან.

- Ancient fire place (Twain 2021: 107) / ძველისძველი ბუხარი (ტვენი 1991: 181)
- Old-fashioned Western kind (Twain 2021: 42) / ძველისძველი დასავლური (ტვენი 1991: 84)

ბეიკერის მთარგმნელობითი სტრატეგიების მიხედვით, კვალიფიცირებულ კატეგორიებში მეორე და მესამე პუნქტი წარმოადგენს თარგმანს ნაკლები ექსპრესიის მქონე, ნეიტრალური სიტყვით, რაც გვამღევეს იმის საშუალებას, რომ ზედსართავი სახელი „old“ განვიხილოთ როგორც ალერსობითი მარკერი, იგი კონტექსტური ინდიკატორების საშუალებით ხარისხობრივად განსხვავებულ კონოტაციებს იძენს. ბეიკერის მიხედვით „ექსპრესიული მნიშვნელობა უკავშირდება მოსაუბრის/მწერლის გრძნობებსა და ემოციებს. იგი განწყობის დამოკიდებულების შესაბამისად ირჩევს სიტყვებს, ადამიანთა შორის დადებითი დამოკიდებულება ხარისხობრივად განსხვავდება“ (Owji 2013: 26-42) აღნიშნულ ჟურნალში დასახელებულია ბეიკერის ტაქსონომია.

ნათარგმნი ტექსტში ვპოულობთ მაგალითს, რომელიც ასე გამოიყურება:

- Old chap (Twain 2021: 17) / ძამია (ტვენი 1991: 34)

6. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი

სწორედ აქ ვხვდებით ზედსართავი სახელის თარგმანს ემოციური ელფერით. იგივეს მოწმობს შემდეგი მაგალითიც:

- Hold my merry man! (Twain 2021: 40) / შეჩერდით ყმაწვილო (ტვენი 1991: 81)

ახლა გადავიდეთ სიტყვის „dead“ თარგმნის მრავალფეროვან ნიმუშებზე.

- Dead stillness (Twain 2021: 42) / არღვევდა მდუმარებას (ტვენი 1991: 84) შეიძლებაოდა გვექონოდა

განსხვავებული სიტყვათწყობაც „სამარისებული სიჩუმე“

- The dead noonday heat (Twain 2021: 38) / შუადღის გამაბრუებელმა სიცხემ (ტვენი 1991: 181)
- I'm dead for sleep! (Twain 2021: 108) / თვალები მეხუჭებოდა (ტვენი 1991: 183)
- The boys were at the dead tree again (Twain 2021: 107) / ისევ მოვიდნენ გამხმარ ხესთან (გვ. 18)

ზეპირმეტყველებაშიც ბევრი ვარიანტია ამ ზედსართავთან დაკავშირებით.

- I'm dead drunk - ითარგმნება „ისეთი ნასვამი ვარ ფეხზე ვერ ვდგები.“

ორი ენის შედარებითი სხვაობის საჩვენებლად შეიძლება ისეთი მაგალითების მოყვანა, სადაც დროის, რაოდენობისა თუ მანძილის გამოხატვის საკუთარი სტილი აქვს შესადარებელ ენებს. ყველასათვის ცნობილია, რომ ინგლისურის განუსაზღვრელი არტიკლი ქართულ ენაში ითარგმნება რიცხვითი სახელით „ერთი“, რომელსაც ვხვდებით თვლად არსებით სახელებთან და უთვლადთანაც.

- In it lay a marble (Twain 2021: 39) / იდო მხოლოდ მარმარილოს ერთი ბურთულა (ტვენი 1991: 79)

აღსანიშნავია ის, რომ ვპოულობთ იმავე მნიშვნელობით განუსაზღვრელ ნაცვალსახელს 'some'.

- Some drowsy summer morning (Twain 2021: 38) / ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას (ტვენი 1991: 79)

სიტყვას „წყვილი“ ინგლისურ ენაში ორი თარგმანი გააჩნია „couple“ და „pair“, რასაც სხვადასხვა შემთხვევებში ვხვდებით თარგმანით „ორი“.

- Traded a couple of white alleys (Twain 2021: 18) /ორი თეთრი ბურთულა გადაცვალა (ტვენი 1991: 46)

რაოდენობა

- A dozen would strain his capacity without a doubt (Twain 2021: 20) /თორმეტს თუ დაიტევდა, ისიც შექების ღირსი იქნებოდა (ტვენი 1991: 52)

- The two marbles lay within a foot of each other (Twain 2021: 39) /ზურთი ორიოდე ნაბიჯით იყო ერთმანეთისგან დაცილებული -(ტვენი 1991: 81) მანძილი
- Stunning surprise of the decade (Twain 2021: 20) უკანასკნელი ათი წლის მანძილზე (ტვენი 1991: 51) – დრო.

აქვე აღსანიშნავია შემდეგი მაგალითი რაოდენობასთან დაკავშირებით.

- Along on all sorts of games (Twain 2021: 9) / თარგმანში გვაქვს ათასნაირი თამაში (ტვენი 1991: 33)

სიტყვათა ჩანაცვლების გარდა განზოგადების მეთოდის გამოყენების შემთხვევებსაც აქვს ადგილი ჩვენს ხელთარსებულ თარგმანში.

- Many bright, clean faces assembled (Twain 2021: 19) / ამდენი სუფთა და მხიარული ბავშვის ხილვა .. (ტვენი 1991: 49)

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების შესახებ არსებულ კლასიფიკაციაში ძირითადად სამ ტიპს გამოყოფენ: გარდა დამატება, გამოტოვება და ჩანაცვლებისა ვხვდებით აზრის ხელახლა გამოხატვას და პერიფრაზირებას, რომლის მიზანიც მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევაა (ბერიძე 2018: 72)

პერიფრაზად თარგმნის ნიმუშად ჩაითვლება:

- Small trust (Twain 2021: 12) / ექვებოდა (ტვენი 1991: 37)
- Who had seen better days (Global Grey 2021: 22) / ოდესღაც კარგად ცხოვრობდა (ტვენი 1991: 54)

ზოგჯერ მთარგმნელი ცდილობს ქართულში მოძებნოს თითქმის შესატყვისი ინგლისური ფრაზა.

- At any cost (Twain 2021: 55) / რადაც არ უნდა დაჯდომოდა (ტვენი 1991: 103)

გამონათქვამის შინაარსი მის შემადგენელ სიტყვათა და შესიტყვებათა მნიშვნელობაზეა აგებული, მაგრამ იგი ხშირად არ უდრის ამ მნიშვნელობათა ჯამს (მუმლაძე 2020: 21). მთარგმნელის წინაშე ცხოვრების სინამდვილის გარდა დგას სინამდვილედ სათარგმნი ნაწარმოების სახით. (მუმლაძე 2020: 20) ხანდახან სიტყვების ჩანაცვლებით ქართველისათვის მთარგმნელი უფრო ახლობელ ფრაზას ეძებს.

- With the deepest anxiety for the result (Twain 2021: 55) / საშინელი გულის ფანცქალით ელოდა შედეგს ... (ტვენი 1991: 103)
- The next instant he was out (Twain 2021: 57) / თვალის დახამხამებაში (ტვენი 1991: 106)

ასევე საინტერესოდ ვთვლით მაგალითებს, სადაც ინგლისურის ერთი სიტყვა თარგმნისას ქართულში იდიომით გადმოდის. აქ წინადადების წევრების ადგილის ცვლილება ჩანს.

6. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი

- The water treatment was new... (Twain 2021: 55) / იმ დროს ახლად იკიდებდა ფეხს წყლით მკურნალობა (ტვენი 1991: 102)
- It meant that somebody's days were numbered (Twain 2021: 42) / უთუოდ ვინმე მოკვდებოდა (ტვენი 1991: 83). თუმცა ქართველებს გვაქვს ინგლისურ ენაში მოცემული ფრაზის ზუსტი ფრაზა - „ვიღაცის დღეები დათვლილი იყო“, მაგრამ მისი გამოყენება არაეთიკურად გვეჩვენება.

თარგმანი კულტურული სუბსტიტუციით ნიშნავს კულტურული სპეციფიკის მქონე სიტყვას ან გამოთქმის ჩანაცვლებას სამიზნე ენის კულტურისათვის მისაღები სიტყვით. ამ შემთხვევაში წყაროს და სამიზნე სიტყვებს ერთი და იგივე პროპორციული მნიშვნელობა არ ექნებათ. ამგვარი ჩანაცვლების მიზანია სამიზნე ტექსტის მკითხველზე იგივე შთაბეჭდილების მოხდენა რასაც წყარო ენის მკითხველზე ახდენს ორიგინალი (ბერიძე 2018: 67).

თარგმანში ვპოულობთ ისეთ მაგალითებს, სადაც კულტურათაშორის სხვაობას ერთი და იმავე ნიშნულის გამოსახატავად ვხმარობთ:

- When school broke up at noon, Tom flew (Twain 2021: 34) / დარეკა თორმეტმა და დადგა დიდი დასვენება (ტვენი 1991: 73)

მთარგმნელი შეეცადა ამერიკაში არსებული სკოლის წესი უფრო ახლობელი გაეხადა ქართველისათვის.

ინგლისურ ვარიანტში დიდი შესვენება რომ 12 საათზეა, არც ესაა ნახსენები და არც დარეკვა. თარგმანში აზრი უკეთ აღიქმება.

- Tom was swimming in bliss (Twain 2021: 34) / ტომი ნეტარებას განიცდიდა (ტვენი 1991: 74)

შეიძლება გვეთარგმნა „ჰაერში დაფრინავდა“ იგივე მნიშვნელობით, მაგრამ ინგლისური ენისათვის ზმნა „swim“ უკეთ გადმოსცემს ნეტარების განცდას, ვიდრე სიტყვა „დაფრინავს“. მთარგმნელს უწევს კონკრეტული მიზნის მისაღწევად ენობრივი ერთეულების მოძიება და ორგანიზება. თარგმანი უნდა შეეფერებოდეს ეპოქის სტილსაც და მოსაყოლი ამბის ხასიათსაც, ერთი სიტყვით უნდა ქმნიდეს განწყობას (ფანჯიკიძე 2002: 11)

- They get slathers of money (Twain 2021: 34) / ამავე დროს ფულსაც ბლომად ხვეტდნენ (ტვენი 1991: 74)

ქართველისათვის სავსებით რელევანტური თარგმანი მივიღეთ „ფულის მოხვეტა“, რაც ბევრი ფულის შოვნას ნიშნავს, მაგრამ უფრო შეიძლებოდა გვქონოდა „ჩეჩქად აქვს ფული“.

თუნდაც ავიღოთ შემდეგი მაგალითი - No sound disturbed the quiet (Twain 2021: 59) / ჩამიჩუმი არ ისმოდა (ტვენი 1991: 108) (რაც სავსებით ბუნებრივია).

„მნიშვნელობის კონკრეტიზაცია, როგორც მოგეხსენებათ, ეწოდება ფართო საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას ან სიტყვათწყოების შეცვლას უფრო ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვით. ამდენად, ინგლისურ არსებით სახელს “thing“ აქვს საკმაოდ ფართო, აბსტრაქტული მნიშვნელობა და იგი ითარგმნება კონკრეტული მიზნით: ნივთი, საგანი, საქმე, ფაქტი, შემთხვევა, გარემოება, ნაწარმოები, არსება და ა.შ. (ბერიძე 2018: 75).

ჩვენს შემთხვევაში იგი აღნიშნავს ადამიანსაც და ცხოველსაც.

- You poor thick-headed thing (Twain 2021: 16) / შე საბრალო უტვინო ბიჭო! (ტვენი 1991: 44)
- For the wild things had no... (Twain 2021: 63) / ამ პატარა ცხოველებს (ტვენი 1991: 116)

შესადარებელი ენების სისტემური სხვაობა (სისტემურობა და ანალიზურობა) მთარგმნელს კიდევ უფრო მეტი სირთულეების წინაშე აყენებს. დედანისა და თარგმანის ლექსიკური ერთეულების შესატყვისობა ზოგჯერ კი გამოდის მთარგმნელს, მაგრამ სემანტიკური მნიშვნელობა სხვას გვეუბნება. „მთარგმნელი ახალ ენობრივ ფორმებს ანიჭებს ზოგიერთ გამონათქვამს და ინარჩუნებს როგორც ავტორის საკომუნიკაციო მიზანს, ისე ტექსტის მხატვრულ ღირებულებას“ (ბერიძე 2018: 155) ინგლისურში როგორც ანალიზურ ენაში სიტყვათა ნაერთი ქართულში, როგორც სინთეზურ ენაში ერთ სიტყვად გადმოდის.

- in all four (Twain 2021: 42) / დაოთხილი (ტვენი 1991: 84)
- Slim creature (Twain 2021: 18) / უთვალტანო (ტვენი 1991: 48)
- Baking sun (Twain 2021: 107) / პაპანაქება (ტვენი 1991: 181)

თუმცა საპირისპირო მაგალითებსაც ვხვდებით, სადაც სიტყვა “haunted”, რომელიც უმეტესად სიტყვას “house” საზღვრავს საჭიროებს გარკვეულ განმარტებას ქართულში.

- a haunted house (Twain 2021: 107) / ავი სულებით დასახლებული სახლი (ტვენი 1991; 179), - უწმინდური სახლი (ტვენი 1991: 181)

ჩვენ მიერ არსებულ თარგმანში ვპოულობთ ანტონიმურ თარგმანს, რომელიც ცნობილია როგორც ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია - დედანის ლექსიკური ერთეულის ჩანაცვლება საპირისპირო მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულით. ანტონიმური თარგმანის შემთხვევაში, ლექსიკური ერთეული შესაძლოა არა მარტო საპირისპირო ერთეულით ჩანაცვლდეს (ზოგჯერ იგივე სიტყვა უარყოფითი პრეფიქსით), არამედ სხვა სიტყვებითა და სიტყვათწყოებით, რომლებიც საპირისპირო აზრს გადმოგვცემენ, მაგ:

- He was not much posted in anatomy (Twain 2021: 18) / ანატომიის ცოდნაზე უკაცრავად ბრძენდებოდა (ტვენი 1991: 39)

6. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი

- It went into details (Twain 2021: 23) / არც ერთი წვრილმანი არ გამორჩენია, რაღა არ მოიხსენია (ტვენი 1991: 56)

არსებული ნაშრომი კიდევ ერთი მცდელობაა მივაწოდოთ სტუდენტებსა და თარგმანით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ინფორმაცია, თუ რაოდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო თარგმნილი ტექსტი აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნას, რითაც თანამედროვე მკითხველს გააცნობს სხვა ქვეყნის რეალიებს, წეს-ჩვეულებებს თუ ტრადიციებს. ეს კი საზოგადოებას შეუქმნის უფრო ცივილიზებულ და კულტურულ გარემოს.

ზემოთ დასახელებული მაგალითები შესადარებელი ენებიდან გვიჩვენებს მხატვრული ტექსტის მთარგმნელის როლს თარგმნის პროცესში. ჩვენი სტატია სრულად ვერ მოიცავს თარგმნის კიდევ სხვა ხერხებს, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია იმ რთული შემოქმედებითი საქმიანობის ნათელსაყოფად, რასაც მთარგმნელი ასრულებს.

უცხოელი ლინგვისტის ქეთფორდის ნაშრომში მოცემულია დოსტოევსკის განმარტება თარგმნის პროცესთან დაკავშირებით, რომელიც მოკლედ, მაგრამ კონკრეტულად პასუხობს კითხვას - რა არის თარგმანი? „თარგმანი ენის შესახებ გამოყენებითი მეცნიერების განშტოებაა, რომელიც დაინტერესებულია იმ პრობლემით ან ფაქტით, რაც ასახავს ერთი ენისათვის დამახასიათებელი გარკვეული სტრუქტურული სიმბოლოების გადაცემას მეორე ენის სტრუქტურულ სიმბოლოებად“ (Catford 1965: 21).

ლიტერატურა

ბერიძე, ხ. 2018. *თარგმანმცოდნეობა*. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი.

მუმლაძე, ა. 2020. *თარგმანში რომ არ დავიკარგოთ*. თბილისი: „ივერიონი“.

ტვენი, მარკ. 1991. *ტომ სოიერის თავგადასავალი*. წიგნში: მ. ტვენის მოთხრობების კრებული. თბილისი: ნაკადული.

ფანჯიკიძე, დ. 2002. *თარგმანი, მკითხველი*. თბილისი: „სახლი“.

Baker, Mona. (ed). 1998/2010. *Routledge Encyclopedia of Translation Studies*. First Edition. London: Poutlege Translation and Interpreting.

Catford, J. C. 1965. *A Linguistic Theory of Translation*. London: Oxford University Press.

Dictionary of English language and culture. 1992. Longman.

Mounin, G. 1967. *Histoire de linguistique des origins au XX siècle*. Paris: Presesses Universitaires de France.

Zohre, Owji, M. A. 2013. (Doc) Translation Strategies - A Review of Theories - Translation journal 2013, researchgate. net

Twain, Mark. 2021. *The Adventures of Tom Sawyer*. accessed 20.10. 2021. globalgreypebooks.com/adventures-of-tom-sawyer-ebook.html

Language and Linguistics

Original-translation Linguistic Contrastive Analysis according to the American story 'The Adventures of Tom Sawyer' by Mark Twain

Charkviani Nunu

nunu.charkviani@atsu.edu.ge

Rusadze Irma

irma.rusadze1@atsu.edu.ge

Kipiani Sopio

sopio.kipiani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia

The article deals with the significance of translation in the point of communication and social-cultural functions. Translation methods create essential conditions to make student's oral and written speech more authentic. Theoretical and practical materials enable English learners to be creatively free and overcome language barriers-so called interference. The aim of the article is to make a linguistic contrastive analysis of the work 'The Adventure of Tom Sawyer' by Mark Twain and its translation. Conducting a linguistic research is one of the methods of teaching literature; It is considered to be a synthesis of transnational and cross-cultural diapasons (ranges). Comparing the examples from the source languages (English and Georgian) encouraged us to establish those similarities and differences that are characteristic to both languages. So this one represents the second directive of translation of a literary work that is known as a linguistic method.

Keywords: *linguistics, transnational, cross-cultural communication, social-cultural synthesis.*

Translation is an activity of enormous importance in the modern world and it is the subject of interest not only to linguistics, professional and amateur translators and language teachers, but also the electronic engineers and mathematicians.

Since translation has to do with language, the analysis and description of translation processes must make considerable use of a categories set up for the description of languages. It must draw upon a theory of language –a general linguistic theory. Translation is an operation performed on languages: a process of substituting a text in one language for a text in another.

Languages differ from each other with some characteristic features for their systems that require the translator's hard labour, background knowledge of the source languages and tremendous effort to build a new understanding of the

original text by using different lexico-grammatical transformations.

Our research is based on the original-translation contrastive analysis of an American story 'The Adventures of Tom Sawyer' by Mark Twain. Different language systems of Georgian and English languages (Syntactic and Analytic) create problems for translation.

Among the transformations used in the translation (translator G. Kipshidze) here should be pointed out the following: word substitution, word omission, word addition, autonomous translation, generalization, phrase and idiom delivery to the second language. Some unknown meanings of the English adjectives used by the translator perfectly fit the context of the Georgian text.

- If I'm *good* (Twain 2021: 34) / თუ ჭკვიანი გოგონა იქნები (ტვენი 1991: 74)
- ... for *stronger* reasons (Twain 2021: 17) / უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი (ტვენი 1991: 46)

In general, different languages offer a great number of adjectives with meaning large in degree-big, great, huge, tremendous and others in English, დიდი, უზარმაზარი, ვეებერთელა, ბუმბერაზი and others in Georgian. It is quite interesting that both languages use 'big' and 'great'- დიდი with other content that denotes some valuable features of a person or an object.

- *great law* (Twain 2021: 11) / დიდი კანონი (ტვენი 1991: 56). It does not mean the size of the law.
- *great elm* (Twain 2021: 40) / დიდი თელა. Size of the object
- *you'll be a great man* (Twain 2021: 21) / გახდები დიდი ადამიანი - 'great' denotes not the size of a person, but his valuable feature.
- ... *took a big breath* (Twain 2021: 6) / ღრმად ამოიოხრა (ტვენი 1991: 45) here the action represents not just lexical but linguistic information in a rich, convenient and production-oriented way.

Translation of the adjectives 'new' and 'old' suggests semantically relevant versions of Georgian adjectives.

- *the new boy went off* (Twain 2021: 7) / უცნობი ბიჭი წავიდა (ტვენი 1991: 30)

Adjective 'old' instead of its superlative degree 'the oldest' - უძველესი delivered into English as the word - ძველისძველი - 'very, very old' that is clear to the Georgian models.

- *ancient fire-place* (Twain 2021: 107) / ძველისძველი ბუხარი (ტვენი 1991: 181)
- *old-fashioned western kind...* (Twain 2021: 42) / ძველისძველი დასავლური... (ტვენი 1991: 84)

According to the scientist Baker the adjective 'old' can be considered to

be a marker of affectionateness. By means of contextual indicators it obtains a different connotation. This meaning of the adjective 'old' is created by the author to denote his feelings and emotions (Beridze).

- *Old chap* (Twain 2021: 17) / ძამია (ტვენი 1991: 34)

The examples from both texts vividly show characteristic style of the source languages to express time, quantity and distance. It is well-known that English indefinite article and indefinite pronoun 'some' with countable and sometimes with uncountable nouns are translated into Georgian as 'ერთი' (numeral – 'one'), words 'pair' and 'couple' – is delivered as 'ორი' (numeral -two), 'a dozen' - 'თორმეტი' (numeral - twelve), 'decade' - numeral-ten and so on.

Quantity

- *in it lay a marble* (Twain 2021: 39) / იდო მხოლოდ მარმარილოს ერთი ბურთულა (ტვენი 1991: 79)
- *some drowsy summer morning* (Twain 2021: 38) / ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას (ტვენი 1991: 79)
- *traded a couple of white alleys* (Twain 2021: 18) / ორი თეთრი ბურთულა გადაცვალა (ტვენი 1991: 46)
- *a dozen would strain his capacity* (Twain 2021: 20) / თორმეტს თუ დაიტევდა (ტვენი 1991: 51)
- *...on all sorts of power* (Twain 2021: 39) / ათასნაირი თამაში (ტვენი 1991: 35)

Distance

- *the two marbles lay within a foot of each other* (Twain 2021: 20) / ბურთი ორიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული (ტვენი 1991: 81)

Time

- *stunning surprise of the decade* (Twain 2021: 9) / უკანასკნელი ათი წლის მანძილზე (ტვენი 1991: 51)

The translator uses some other transformatio devices, the aim of which is to reach translation equivalence.

- *many bright, clean faces attended* (Twain 2021: 19) / ამდენი მხიარული ბავშვის ხილვა (ტვენი 1991: 49) (Generalization)
- *smell trust* (Twain 2021: 12) / ეჭვებოდა (ტვენი 1991: 37)

paraphrase

- *Who had seen better days* (Twain 2021: 22) / ოდესღაც კარგად ცხოვრობდა (ტვენი 1991: 54)

In some cases the translation explains the word with the help of a whole idiom in Georgian.

6. ჩარკვიანი, ი. რუსაძე, ს. ყიფიანი

- *the water treatment was new* (Twain 2021: 55) / ახლად იკიდებდა ფეხს წყლით მკურნალობა (ტვენი 1991: 102)

Some examples show cross-cultural differences, when the translator tries to make native reader understand the content of English sentences.

- *when school broke up at noon* (Twain 2021: 34) / დარეკა თორმეტმა და დადგა დიდი შესვენება (ტვენი 1991: 73)

Concretization of the word meaning *thing* is very particular while translation in Georgian .It denotes object, item, affair fact, case, state, work, creature and so on (Beridze)

- *you poor thick-headed thing* (Twain 2021: 16) / შე საბრალო უტვინო ბიჭო (ტვენი 1991: 44)
- *for the wild things had no...*(Twain 2021: 63) / ამ პაწია ცხოველებს (ტვენი 1991: 116)

Systemic differences of the source languages create some challenges for the translation .He has to give new linguistic forms to some expressions to maintain communicational goal of the author as well as its artistic value (Beridze 2018).

- *on all four* (Twain 2021: 42) / დაოთხილი (ტვენი 1991: .84)
- *baking Sun* (Twain 2021: 107) / პაპანაქება (ტვენი 1991: 181)

Some examples of antonymous translation that is known as lexico-grammatical transformation show the translators mastership to adjust the content of English text to a Georgian one.

- *he was not much posted in anatomy* (Twain 2021: 18) / ანატომიის ცოდნაზე უკაცრავად ბრძანდებოდა (ტვენი 1991: 39)
- *it went into details* (Twain 2021: 23) / არც ერთი წვრილმანი არ გამორჩენია, რაღა არ მოიხსენია (ტვენი 1991: 56)

The above mentioned sentences in both languages with negative and positive content (antonymous translation) managed to build a full imagination of the given situation to the Georgian readers.

So, the translator of this story aimed ‘to wrap the content of the foreign piece of work in its national clothing’ (Panjikidze). Through different kinds of translation transformations he managed to perform his duty to suit his translation to the epoch style as well as the nature of the story to be told to create a mood (Panjikidze) His aim to depict the life reality of American teenagers and introduce it to the Georgian ones of his same age was achieved purposefully through a great number of translation methods and designing many relevant linguistic equivalent forms in Georgian.

Dostert’s definition to the question what is translation in the work by a famous linguist Catford is considered to be the best explanation of the translation

process; Dostert defines translation as ‘the branch of the applied science of language which is specifically concerned with the problem or the fact of the transference of meaning from one set of patterned symbols into another set of patterned symbols’ (Catford 1965 :21).

ენა და ენათმეცნიერება

**ველის კონცეპტის ადგილი და როლი როგორც არქიტექსტის
ტექსტობრივი სივრცის აგების კონცეპტუალური საფუძველი**

ეკატერინე ჯულაყიძე

ekaterine.julakidze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრობლემათა შერწყმამ განაპირობა ანთროპოცენტრიზმის როგორც მეტაპარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურის გათვალისწინება, და ასევე მისი უშუალოდ დაკავშირება ორ ისეთ პრობლემურ ცნებასთან, როგორებიცაა სტრუქტურისა და ენერჯის, ეს ორი აღნიშნული ცნება – როგორც სტრუქტურის, ისე ენერჯის ცნებები პირდაპირ კავშირშია არქიტექსტის პრობლემასთან. ვიცით, რომ მნიშვნელოვანია როლი, რომელიც არქიტექსტის კონსტრუირებისას უნდა შეასრულოს ისეთმა ორმა კონცეპტმა, როგორიცაა ველისა და ვექტორულობის კონცეპტები (ლევინსონი). მაგრამ, მიმდინარე ეტაპზე სტატიის მიზანია წარმოვადგენოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ველის კონცეპტის როლი არქიტექსტის კონსტრუირების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ველის პრინციპი, არქიტექსტი, ლექსიკური სემანტიკა, მეთოდოლოგიური პარადიგმა, მეთოდოლოგიური პრინციპი.

ინტერდისციპლინარულობის და ინტერპარადიგმულობის პრობლემათა შერწყმამ განაპირობა ანთროპოცენტრიზმის როგორც მეტაპარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურის გათვალისწინება, და ასევე მისი უშუალოდ დაკავშირება ორ ისეთ პრობლემურ ცნებასთან, როგორებიცაა სტრუქტურისა და ენერჯის ცნებები. რა თქმა უნდა, ეს ორი აღნიშნული ცნება – როგორც სტრუქტურის, ისე ენერჯის ცნებები პირდაპირ კავშირშია არქიტექსტის პრობლემასთან. არქიტექსტი, მის მიერ წარმოშობილი ტექსტობრივი სივრცისაგან განსხვავებით, წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს და მოითხოვს მისი კონსტრუირებისათვის აუცილებელ პრინციპთა ნაბიჯ-ნაბიჯ დაკონკრეტებას. შესაბამისად, ჩნდება სამეზნი არქიტექსტის ადეკვატური კონსტრუირების პრობლემა. ვიცით, რომ მნიშვნელოვანია როლი, რომელიც არქიტექსტის კონსტრუირებისას უნდა შეასრულოს ისეთმა ორმა კონცეპტმა, როგორიცაა ველისა და ვექტორულობის კონცეპტები (ლევინსონი 1997: 69).

მიმდინარე ეტაპზე ჩვენი სტატიის მიზანია წარმოვადგენოთ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ველის კონცეპტის როლი არქიტექსტის კონსტრუირების პროცესში. მაგრამ, სანამ უშუალოდ შევუდგებით ამ ამოცანის შესრულებას, აუცილებლად მკაფიოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ორი ისეთი მეთოდოლოგიური კონცეპტი, როგორიცაა **მეთოდოლოგიური პარადიგმა** და **მეთოდოლოგიური პრინციპი**: სადაც პარადიგმა მიანიშნებს იმაზე, როგორ აღიქვამს მოცემული მეცნიერული დასციპლინა კვლევის ობიექტს თავისი არსებობის მოცემულ ეტაპზე. მეთოდოლოგიური პრინციპი კი ზოგადად მიანიშნებს იმაზე, როგორ უნდა შევუთავსოთ ჩვენი კონკრეტული კვლევა მეცნიერებაში არსებულ პარადიგმულ სიტუაციას. ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპის როლში ჩვენ გამოვიყენეთ ანალოგიის პრინციპი, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო იმის დადგენა, როგორ უნდა იქნეს რეალიზებული ერთი დისციპლინის ფარგლებში სხვა დისციპლინის რეალობაში უკვე გამოყენებულ პარადიგმათა აქტუალიზაცია იმ შემთხვევაში, თუ ამ დისციპლინებს აერთიანებს ტექსტობრიობა როგორც ერთიანი ონტოლოგიური რეალობა. რადგან კვლავ გვიხდება კვლევის განსხვავებულ სფეროთა კონცეპტუალური დაახლოება, დავუბრუნდებით ანალოგიის პრინციპს იმ მიზნით, რომ ადეკვატურად განვსაზღვროთ **ველისა და ვექტორულობის**, როგორც კვლევით პრინციპთა როლი სამეზობლო არქიტექსტის კონსტრუირებისას.

კვლევის წინა ეტაპებზე, როცა საუბარი გვქონდა სინერგიულობის პარადიგმაზე, აღნიშნული იქნა მისი (სინერგიულობის პარადიგმის) ნიშანი. თავისი გენეზისით სინერგიულობა როგორც კონცეპტი ეკუთვნის ბუნებისმეტყველებას (თუმცა ისტორიულად იგი გამოიყენებოდა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში), მაგრამ ამჟამად აქტუალური ხდება ჰუმანიტარულ აზროვნებაშიც, განსაკუთრებით კი ლიტერატურათმცოდნეობაში. სწორედ აქედან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ საჭირო და აუცილებელია მისი გამოყენება ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში. საჭირო გახდა ამ მომენტის გახსენება მაშინ, როცა საქმე შეეხო **ველის ცნებისა** და **პრინციპის** გამოყენებას ჩვენს კვლევაში, ძირითადად კი არქიტექსტის კონსტრუირებისას, რადგან ფაქტობრივად იგივე ითქმის ველის ცნებაზეც. თავისი გენეზისით ეს უკანასკნელი ეკუთვნის ბუნებისმეტყველებას, კერძოდ კი ფიზიკის დარგს. ამჟამად კი ფართოდ გამოიყენება ისეთ ჰუმანიტარულ დისციპლინებში, როგორიცაა ლინგვისტიკა და ფსიქოლოგია. ასე რომ, ანალოგიის პრინციპის კვლავ გამოყენებით შეგვიძლია ისეთივე წარმატებით მივმართოთ ველის კონცეპტს, როგორც ეს უკვე მოხდა სინერგიულობის შემთხვევაში. მაგრამ მოგვიხდება ამ შთაბეჭდილების შემდეგნაირად კორექტირება:

ე. ჯულაყიძე

ველის კონცეპტი და პრინციპი უკვე გამოიყენება ლინგვისტიკაში, თუმცა ძირითადად ისეთ განსხვავებულ ლინგვისტურ სფეროში, როგორცაა **ლექსიკური სემანტიკა**. აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, თუ როგორ უნდა იქნეს ასახული ჩვენს მიერ კონსტრუირებულ არქიტექსტში, უფროსწორად კი მის სტრუქტურაში, ორივე ზემოთ ხსენებული პრინციპები – ველისა და ვექტორულობის – თანაც ისე, რომ ამ ორი პრინციპის რეალიზება ხდებოდეს არა მხოლოდ ერთდროულად, არამედ ურთიერთშეღწევის გზით. რა თქმა უნდა, მოგვიხდება არა მხოლოდ იმის განსაზღვრა, **როგორ** უნდა იქნეს ამ პრინციპთა ასახვა ჩვენს არქიტექსტში, არამედ იმის განსაზღვრაც, როგორ უნდა მოხდეს მათი **ურთიერთშეღწევა**.

ზუნებრივია დავიწყოთ იმით, რას უნდა ნიშნავდეს ველის პრინციპი (field principle) ჩვენი არქიტექსტის ფარგლებში. ამ შემთხვევაში კი საჭირო იქნება ითქვას, რომ ველის პრინციპის გამოყენებისას ისე ვეყრდნობით ანალოგიის პრინციპს, როგორც ვიყენებით სინერგიულობის კონცეპტს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: ველის პრინციპი „გადმოგვაქვს“ არა სხვა დისციპლინიდან, არამედ ჩვენივე დისციპლინის, ლინგვისტიკის სხვა სფეროდან, კერძოდ კი **ლექსიკური სემანტიკიდან**. ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში არა მხოლოდ კვლავ ვიყენებთ ანალოგიის პრინციპს, არამედ ვამცირებთ კიდევაც დისტანციას კვლევის იმ სფეროსა, სადაც იგი უკვე გამოიყენება და იმ სფეროს შორის, რომლის ფარგლებშიც გვსურს მისი გამოყენება (რა გაგებით „მცირდება“ ეს დისტანცია? იმ გაგებით, რომ ლექსიკური სემანტიკა ისევე ეკუთვნის ლინგვისტიკას, როგორც ტექსტის ლინგვისტური თეორია). ნათქვამიდან გამომდინარე კი – და იმის გათვალისწინებითაც, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ველის პრინციპს ჩვენი არქიტექსტის კონსტრუირებისას – საჭიროა ჯერ გავიხსენოთ, როგორ გამოიყურება ლინგვისტურად გაგებული ველის პრინციპი ზოგადად, შემდეგი დავაკონკრეტოთ იგი ისე, როგორც ეს ხდება თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკურ კვლევაში. **ველი** როგორც ცნება ლინგვისტურ ენციკლოპედიაში განისაზღვრება შემდეგნაირად: ველი არის ისეთი ენობრივ (ძირითადად ლექსიკურ) ერთეულთა ერთობლიობა, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებთ მნიშვნელობათა ერთიანობა... და რომლებიც ასახავენ მინიშნებულ მოვლენათა კონცეპტუალურ, საგნობრივ და ფუქნციურ მსგავსებას (კუზნეცოვი 1990: 380). ციტირებულ სტატიაში ველის ეს განსაზღვრა კონკრეტდება შემდეგნაირად, რომ ხდება სემანტიკური ველისათვის ისეთი საერთო (ინტეგრალური) სემანტიკური ნიშნის პოსტულირება, რომელიც აერთიანებს ველში შემავალ ყველა ერთეულს. ეს ის სემანტიკური ნიშანია, რომელიც გამოიხატება განზოგადებული მნიშვნელობის მატარებელი ლექსებით (კუზნეცოვი 1990: 380). რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ველის ამგვარი განსაზღვრებიდან,

იმ შემთხვევაში, თუ გვსურს შემოვიტანოთ ველის პრინციპი ტექსტის ლინგვისტურ კვლევაში და, რაც მთავარია, გამოვიყენოთ იგი ისეთი საწყისი ტექსტობრივი მოდელის დასახასიათებლად, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს ტექსტობრივ სივრცეს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვანი ამ ტექსტობრივი სივრცის არქიტექსტის გასაგებად. თუმცა, თუ გვსურს ანალოგიის პრინციპზე დაყრდნობით ბოლომდე და ადეკვატურად გამოვიყენოთ ველის კონცეპტი და პრინციპი, აუცილებელია ორი მომენტის გათვალისწინება: ა) უნდა დაკონკრეტდეს ველის როგორც ლექსიკურ-სემანტიკური კონცეპტის თანმხლები ის პრინციპები, რომელთა მეშვეობით ხსენებული ფენომენი კონკრეტულად არსებობს ენის სისტემაში; ბ) მეტი სიზუსტით განისაზღვროს ის ადგილი, რომელიც უნდა ეკავოს ენობრივ სივრცეში ჩვენთვის საინტერესო არქიტექსტს (თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამგვარად გაგებული „ადგილი“ უნდა განისაზღვროს ნებისმიერ არქიტექსტთან მიმართებაში).

დავაკონკრეტოთ ჯერ ზემოთხსენებული პრინციპები და ამ მიზნით მივმართოთ ე. ჩიგოგიძის სადისერტაციო ნაშრომს „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ტექსტში“, სადაც თანამედროვე ლექსიკურ სემანტიკაზე დაყრდნობით დანახული და განსაზღვრულია ეს პრინციპები:

1. „მოლიანობის (ინტეგრალურობის) პრინციპი;
2. სისტემურობის პრინციპი;
3. ურთიერთგანსაზღვრის პრინციპი;
4. სისრულის პრინციპი;
5. ურთიერთგამიჯნულობის პრინციპი;
6. სიცარიელეთა არარსებობის პრინციპი “ (ჩიგოგიძე 2005:17).

დავუბრუნდებით ყოველივე ამ პრინციპს მაშინ, როცა შევეცდებით განვსაზღვროთ არქიტექსტის, როგორც კონსტრუქტის სტრუქტურა. როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით ენა წარმოადგენს დიქოტომიურად არსებულ ნიშნობრივ ფენომენს, აღნიშნული დიქოტომია კი გულისხმობს, ერთის მხრივ, ენას როგორც სისტემას და, მეორეს მხრივ კი, ენის როგორც სისტემის ისეთ აქტუალიზაციას, რომლის შედეგია დისკურსი და ამ დისკურსის ის საკუთრივ ენობრივი ასპექტი, რომელსაც „ტექსტი“ ეწოდება. აქედან გამომდინარე ბუნებრივია დავსვათ კითხვა: თუ ცხადია, რომ ყოველი რეალური ტექსტი უნდა განეკუთვნებოდეს ასევე რეალურ დისკურსს, მაშინ დასადგენია, როგორ უნდა განისაზღვროს იმ ფენომენის ადგილი, რომელსაც ჩვენ „არქიტექსტს“ ვუწოდებთ? სხვანაირად რომ ვთქვათ,

ე. ჯულაყიძე

დიქტომიის პრინციპით ნაგულისხმებ ენის რომელ პოლუსს, ენას როგორც სისტემას, თუ ენას როგორც დისკურსს, უნდა მივაკუთვნოთ არქიტექსტი? ვფიქრობ, ამ კითხვაზე უკვე წინასწარ და ადეკვატური პასუხის გაცემას შევძლებთ, თუ ხაზგასმით ვისაუბრებთ არქიტექსტზე როგორც კონსტრუქტზე, ხოლო ამ კონსტრუქტის სტრუქტურის განსაზღვრას მივიჩნევთ ყოველი ტექსტობრივი სივრცის კვლევისათვის მნიშვნელოვან ამოცანად. იმისათვის რომ, ამა თუ იმ კონკრეტულ ტექსტს „მივუჩინოთ ადგილი“ კონკრეტულ ტექსტობრივ სივრცეში, აუცილებელია წინასწარ (ჰიპოთეტურად) მოვახდინოთ ამ და სხვა ბევრი ტექსტისთვის ფუნდამენტური არქიტექსტის როგორც კონსტრუქტის მოდელირება. შესაბამისად, მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ნებისმიერ რეალურ ტექსტს მივიჩნევთ ხსენებული კონსტრუქტის აქტუალიზირებულ ვარიანტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელად და აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მოვახდინოთ არქიტექსტის კონცეპტთან დაკავშირებული შემდეგი თეზისის დეკლარირება: არქიტექსტის კონცეპტი და მოდელი წარმოადგენს აზრობრივ კონსტრუქტს, რომელიც პირდაპირი გაგებით არ ეკუთვნის **არც სისტემას და არც დისკურსს**, ისევე წარმოადგენს ორი ენობრივი რეალობის დამაკავშირებელ აბსტრაქტულ ფორმულას, რომლის საშუალებითაც ხდება ენის როგორც სისტემის აქტუალიზაცია. დისკურსულ რეალობად კი იქცევა ამა თუ იმ ჟანრს დაქვემდებარებული რეალური ტექსტი.

როგორც ვხედავთ, ჩვენ შევძელით, განგვესაზღვრა ველის, როგორც კონცეპტის ადგილი არქიტექსტის ენის დიქტომიურად სტრუქტურირებულ სივრცეში. მომდევნო კვლევაში კი გვექნება მსჯელობა, თუ როგორ უნდა იქნეს ველის თანმხლები ვექტორულობის პრინციპი განსაზღვრული და რეალიზებული არქიტექსტის სტრუქტურაში.

ლიტერატურა

ლებანიძე, გურამ. 2004. „კულტუროლოგიის საფუძვლები“, „ენა და კულტურა“. ენა და კულტურა, 2004: 57-62.

ლებანიძე, გურამ. 2006. *სიღრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა“* ენა და კულტურა, 2006: 312-314.

Levinson, Stephen. 1983. „*Pragmatics*“, Cambridge University Press.

Кузнецов, Сергей. 1990. "Поле". Лингвистический энциклопедический словарь. "Советская энциклопедия". 1990: 380.

Language and Linguistics

The place and role of filed concept as a conceptual bases in the construction of architext textual sphere

Ekaterine Julakidze

ekaterine.julakidze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

The merging of interdisciplinary and interparadigmatics results further consideration of the structural content analysis of anthropocentric metaparadigm. It is also closely connected with the problematic concepts like structure and energy. They both – the concept of structure and the concept of energy are related to the problem of architext. It is known that in the construction of architext the field and vector concepts have a major role (Levinson) but at the current stage we are to demonstrate the role of filed concepts in the architext construction process.

Keywords: field principle, architext, lexical semantics, methodological paradigm, methodological principle.

The merging of interdisciplinary and interparadigmatics conditions further consideration of the structural content analysis of anthropocentric metaparadigm. It is also closely connected with the problematic concepts like structure and energy. They both – the concept of structure and the concept of energy are related to the problem of architext. It is known that in the construction of architext field and vector concepts have a major role (Levinson 1997) but at the current stage we are to demonstrate the role of filed concepts in the architext construction process.

But before considering about the field concept role in the the construction of architext textual sphere we should differ from each other two significant methodological concepts like **methodological paradigm and methodological principle**: methodological paradigm defines the approach of the scientific discipline to the researched object at a given stage of its existence, as to the methodological principle, it generally hints how to combine the specific research to the paradigm situation existing in science. We have already used the principle of analogy as a main methodological principle in order to declare the possibility of merging different disciplines and using the similar ontological unity as a bases

of merging of different approaches. So, in order to supply linguistics with the filed and vector concepts we base on the principle of analogy as a method of conceptual merging of different issues.

And, we've already had an experience of the usage of the principle of analogy: Synergetic as a linguistic concept appears in linguistics through the literary studies on the bases of the principle of analogy, the ground was the textuality as a similar ontological reality. We also should memorize that by its genesis Synergetism as a concept belongs to the natural sciences (although historically it has been used in Christian theology), but now it is relevant in humanitarian thinking and mainly in the field of literature. Due to this discussing its usage in the linguistic theory of the text becomes vital. The same bases we could acquire for the usage of the filed principle in the construction of architext textual sphere. Field by its genesis belongs to the neural sciences, mainly to physics but is widely used in such humanitarian disciplines as Linguistics and Psychology. Consequently, the principle of analogy could be bases of transformation of filed principle in the linguistics. But the exaction arises: The filed concept and principle have already been used in Linguistic Semantics-in quite different linguistic spere. So, we shorten the distance between the sphere it had covered and the sphere of its further usage (Lexical semantics belongs to linguistics as well as text belongs to the linguistic theory).

The definition of "Field" concept in the linguistic dictionary is the following: Field is the unity of language (mainly lexical) items related to each other by unity of meaning...and they reflect conceptual, nominative and functional similarities of the objects they name (Kuznecov 1990:380). This definition unites all the units included in the field. It is a semantic sign that manifests itself in the lexeme that carries the generalized meaning. If we are to identify the place and role of filed principle in the construction of architext on the bases of principle of analogy, we should take into consideration two significant issues: a) should be specified the principles accompanying the lexical-semantic concept of the filed, through which the abovementioned phenomena exists in the language system. b) more specifically should be defined the place of the architext in the language sphere (that kind of "place" understanding must be defined in relation to any architext). In order to identify the place of filed principle in the construction of architext, we should give the definition of the architext itself. The concept and model of architect is an intellectual construct that literally belongs neither to the system, nor to the discourse, it is an abstract formula connecting two linguistic realities by which language as a system is realized. As language is a dichotomous sign phenomenon where one part applies the language as a system and on the other

hand the actualization of language as a system forms a discourse, and the “text” is the linguistic aspect of the discourse. The question is, to what pole of dichotomy we could refer the architext, to the language as a system or to the actualized language system-discourse? We should consider the architext as a construct, and the definition the structure of the construct must be important approach in the research of any kind of text sphere. In order to provide a place to a text in a particular textual sphere, we should model architext as a construct as a bases for all texts. Here the filed principle supports as to model a construct of architext that is suitable for all types of text. Therefore we could consider any real text as an actualized variety of the architext.

Based on this definition we can sum up that if we want to transfer filed principle in the linguistics and use it to characterize textual model, we should take into consideration two significant facts: a) there should be marked lexicosemantic concepts that provide the existence of this phenomena in the language system; b) the place of field principle should be strictly marked in the architext construction (this “place” should be determined towards any kind of architext).

ვ. ენდელაძე

ანტიკური ლიტერატურა

მეორეხარისხოვანი მისანი პერსონაჟები ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში

ვახტანგ ენდელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
endeladze1994@gmail.com

მთავარ გმირთა სახის გახსნაში მეორეხარისხოვან პერსონაჟებს დიდი ფუნქცია აკისრიათ. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში მეორეხარისხოვანი პერსონაჟების საშუალებით წარმოჩნდება მთავარი გმირის სახე, მისი სიმამაცე თუ უძლურობა. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან მთავარ გმირებს ამა თუ იმ სიძნელისა თუ დაბრკოლების გადალახვაში. არის შემთხვევები, როდესაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარ გმირებს, დახმარების ნაცვლად, პირიქით, ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევაში. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რა თქმა უნდა, ვერ მოექცევიან ისეთივე ყურადღების ქვეშ, როგორც მთავარი გმირები, მაგალითად, აქილეუსი, იასონი, მედეა, ან ენეასი, მაგრამ, ისინი ხშირად უფრო ეფექტურნი არიან, ვიდრე ეპიკური გმირები. სტატიაში ვაჩვენებთ, რა ფუნქცია აქვთ ისეთ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ანტიკურ ეპიკურ ტექსტებში, როგორებიცაა, მაგალითად, მისნები. მთავარ გმირებს სწორედ ისინი უადვილებენ სავალი გზის სირთულეებს და სთავაზობენ გონივრულ რჩევებს, რომლებიც, საბოლოოდ, გმირებს სასურველ შედეგებამდე მიიყვანს ხოლმე.

საკვანძო სიტყვები: მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, ეპიკური პოეზია, ანტიკური გმირი, ლიტერატურა.

მთავარ გმირთა სახის გახსნაში მეორეხარისხოვან პერსონაჟებს დიდი ფუნქცია აკისრიათ. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში მეორეხარისხოვანი პერსონაჟების საშუალებით წარმოჩნდება მთავარი გმირის სახე, მისი სიმამაცე თუ უძლურობა. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, ხშირ შემთხვევაში, ეხმარებიან მთავარ გმირებს ამა თუ იმ სიძნელისა თუ დაბრკოლების გადალახვაში. არის შემთხვევები, როდესაც მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარ გმირებს, დახმარების ნაცვლად, პირიქით, ხელს უშლიან დასახული მიზნის მიღწევაში (ველონი 2014: 142-145). მეორეხარისხოვანი პერსონაჟები, რა თქმა უნდა, ვერ მოექცევიან ისეთივე ყურადღების ქვეშ, როგორც მთავარი გმირები, მაგალითად, აქილეუსი, იასონი, მედეა, ან ენეასი, მაგრამ, ისინი ხშირად უფრო ეფექტურნი არიან, ვიდრე ეპიკური გმირები (გაჩეჩილაძე 1957). ანტიკურ

ეპიკურ ტექსტებში, გარდა ჩვეულებრივი ადამიანური თვისებებისა თუ ძალების მქონე პირებისა, აქტიურად არიან ჩართულნი მისანი პერსონაჟები. მათი ფუნქციური დანიშნულება არის ის, რომ მთავარ გმირს წინასწარ განუცხადონ მომავალი საფრთხისა თუ სიხარულის შესახებ. მათი საშუალებით მთავარი გმირები წარმატებით ასრულებენ ამა თუ იმ დავალებას, რომელსაც ღმერთების ნება თუ ზედისწერა აკისრებთ (გორდეზიანი 2014: 88).

ამ მხრივ, „ოდისეადან“ საინტერესო პერსონაჟია მოხუცი ჰალითერსე - ფრინველთმისანი, რომელმაც ითაკელთა გასაგონად მაშინ წარმოთქვა სიტყვა, როდესაც ორმა არწივმა ფრთების ძლიერი ფრაშფრაშით გადაუფრინეს ითაკელთა სახლებს. ჰალითერე ამბობს: „მომისმინეთ, ითაკელნო, სასიძოების საგულისხმოდ ვამბობ ამ სიტყვას. დიდი ხიფათი ემუქრება მათ. სამშობლოდან შორს აღარ უნდა იყოს ოდისევსი. სადმე ახლოს, ალბათ, სიკვდილს უმზადებს სასიძოებს და არა მარტო მათ, - შორითსაჩინარი ითაკის ბევრ მკვიდრს დაადგება შავი დღე“ (ჰომ., ოდის., 2,155-160).

მისან ჰალითერსესის ფუნქცია ამ ეპიზოდში ისაა, რომ იწინასწარმეტყველა ოდისევსის მშობლიურ სასახლეში დაბრუნება და სასიძოების დაღუპვა. „ოდისეას“ მეათე სიმღერაში არის ერთი ეპიზოდი, სადაც კირკე ეუბნება ოდისევსს: „სამშობლოში დაბრუნებამდე კიდევ ერთი ძნელსავალი გზა გიძევთ: ჯერ პირქუში ჰადესისა და ზარდამცემი პერსეფონეს საუფლოს უნდა გაცდეთ. იქ თებელი უსინათლო ქადაგის - ტირესიასის სულს უნდა ამკითხვინოთ, რადგან შავეთში მხოლოდ მას შერჩა წინასწარ ხედვის ნიჭი. პერსეფონეს წყალობით მხოლოდ მასა აქვს მორჩმული იმგვარივე სიბრძნე, სამზეოში რომ ახლდა. სხვები გონამხდარნი აჩრდილებივით დაფარფატებენ სულეთში“ (ჰომ., ოდის., 10, 560-565). მისან ტირესიასს აქ ის ფუნქცია აკისრია რომ მთავარ გმირს - ოდისევსს მისნობა უნდა განუცხადოს. საინტერესო პერსონაჟია მისანი თეოკლიმენე, რომელიც პენელოპეს ეუბნება: „ოდისევსის ღირსო მეუღლე, ნამდვილი არ სცოდნია შენს ვაჟიშვილს. აწ მე გეტყვი და ენდე ჩემს სიტყვას. მეხისმტყორცნელ ზევსსა და ოდისევსის კერიას გეფიცები, რომ აქ, მშობლიურ ითაკაზე ამ სახლის პატრონი. სადღაც ახლომახლო ტრიალებს და დაღუპვას უმზადებს თავხედ სასიძოებს. ჯერ კიდევ პილოსში არწივის გამოჩენამ მიმანიშნა ეს ამბავი, როცა ხომალდზე ასვლას ვეპირებოდით“ (ჰომ., ოდის., 17, 150-160). მისანი თეოკლიმენე პენელოპეს მოსალოდნელი სიხარულის იმედს უღვივებს და ამცნობს, რომ მისი მეუღლე მალე დაუბრუნდება (ბოკერია 1989: 121-124).

„არგონავტიკის“ პირველ წიგნში, როცა გმირები გზად დაკარგავენ ჰერაკლეს და დიდად წუხან ამის გამო, აპოლონიოს როდოსელი

ვ. ენდელაძე

მოიხსენიებს ღვთაებრივ მისანს - გლავკოსს, რომელიც ვაჟკაცებს მიმართავს: „რად გსურთ, დიადი ზევსის ნების წინააღმდეგ აიეტის ქალაქისაკენ წაიყვანოთ მამაცი ჰერაკლე? მას ბედით უწერია, გაისარჯოს და უწყალო ევრისტევსს არგოსში ყველა (თორმეტი) დავალება შეუსრულოს, შემდეგ კი, მცირეოდენ სხვა რამესაც გააკეთებს, ვითარცა შინაურმა უკვდავთა შორის იცხოვროს; ამიტომ მის გამო ნულარ იდარდებთ“ (აპოლ., როდ., არგ., 1, 1310-1320). მისანის ფინქცია ისაა, რომ გმირებს წუხილი გაუქარვოს და დაარწმუნოს ისინი, რომ ჰერაკლეს ცუდი არაფერი მოუვა, მისანი განუმარტავს არგონავტებს, თუ როგორ შეასრულებს ჰერაკლე თორმეტ დავალებას.

არის ხოლმე ისეთი წინასწარმეტყველებანი, რომელთა გამჟღავნება მისნის ვალდებულებას არ წარმოადგენს და თუ ეს უკანასკნელი ამას გაბედავს, ღმერთი საკადრისად დასჯის კიდეც მას (გაფრინდაშვილი 2011: 95-96). სწორედ ასე დაისაჯა მისანი ფინევსი მისნობათა წინასწარ გამჟღავნების გამო. იგი ყველას ეუბნებოდა, ვის რა მოელოდა. მისი პორტრეტის აღწერისას ავტორი ხაზს უსვამს, რომ იგი იყო მოხუცი, უსინათლო და მისი სასჯელი იმაში მდგომარეობდა, რომ ჰარპიები საჭმელს სტაცებდნენ. მისანი ფინევსი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ მან უწინასწარმეტყველა არგონავტებს, თუ რა გზა ელოდათ წინ (აპოლ., როდ., არგ., 2, 330-350).

„ენეიდას“ მეხუთე წიგნში არის ასეთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი - მოხუცი ნავტე, რომელსაც ავტორი მოიხსენიებს სიტყვებით „განსწავლული“ და „დიდი ცოდნით სახელგანთქმული“. წორედ მას შეუძლია უთხრას ენეასს, თუ რა იწვევს ღმერთების რისხვას, რა უმზადებს მას ბედისწერა:

„ქალღმერთის ძეო, უნდა დავეყვით ნებას ბედისა,
რაც უნდ გველოდეს, მოთმინებით მივილოთ ხვედრი!
შენ გყავს აკესტე, დარდანელი და ღვთისმცერი,
მას შეუთანხმდი, მისი რჩევა მიიღე თანაც.
დატოვე აქვე, ვინც დაღუპულ გემთაგან დარჩა,
ან ვისაც უმძიმს შენთან ერთად შორი მგზავრობა.
გადაარჩინე მხცოვანები, ზღვით გატანჯულნი,
მანდილოსანნი, დავრდომილნი და მშიშარანი“.

(ვერგ., ენეიდ., 5, 705-715).

„ენეიდაში“ საინტერესო პერსონაჟია მისანი სიბილა, რომელიც ენეასს უწინასწარმეტყველებს, თუ რა ელის წინ. ავტორი სიბილას მიმართავს ენეასისადმი შემდეგი სიტყვებით წარმოგვიდგენს:

„ნუ დანებდები ავბედობას, გულადად დადექ,
არ გიღალატებ ბედისწერა, ხოლო გზა ხსნისა,

რომ არ მოელი, ისე მოვა ბერძნების მხრიდან“,-
ასე უთხრა და კვლავ განაგრძოსიბილამ ტამრად
შმაგი სიმღერა, კვლავ მოუხმო გამოქვაბულში“.

(ვერგ., ენიდ., 6, 90-95).

ენეასს, ღმერთებისა და ადამიანების მსგავსად, მისანთა გვერდით დგომა და გულშემატკივრობაც დიდ ძალას მატებს, რათა დასახულ მიზნამდე მივიდეს. ერთ-ერთი ასენი მისანია მოხუცი ტიბერი, რომელსაც აპოლონიოს როდოსელი მოიხსენიებს, როგორც „მდინარისა და ადგილის ღმერთს“. იგი გმირს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„სახელოვანო, დიად ღმერთთა შთამომავალო,
მტერთაგან ტროის, პერგამოსის დამბრუნებელო,
შენ მოგელოდა ლავრენტუმი, ლათინთ ველები!
აქ გელის ბინა საიმედო და პენატები.
ზურგს ნუ შეაქცევ მათ და ომი ნულარ გაშინებს,
გაქრა ღმერთების მრისხანება და გულისწყრომა.
რომ არ გეგონოს ნატყუარი ზმანება ნახე,
გეტყვი: ნაპირთან მუხის ძირში იპოვი დიდ ქუბს,
მას ოცდაათი გოჭი ჰყავს და ზურგზე დაწოლილს
თეთრი გ*-ოჭები შესევინ მსუყე ცურებთან.
ქალაქის ფუძე აქ იქნება და შრომის ბოლოც“.

(ვერგ., ენიდ., 8, 35-40).

„ოდისეას“ მეცხრე სიმღერაში, როცა ოდისევსი კიკლოპ პოლიმეფეს თვალს დაუვსებს, წასვლისას მას დაუძახებს, ვინმემ რომ გკითხოს, თვალი ვინ ამოგთხარაო, უთხარი, ლაერტეს ძემ, ოდისევსმაო. პოლიმეფეს მაშინვე გაახსენდება და იტყვის, მისანმა ტელემოსმა მიწინასწარმეტყველა, რომ ვინმე ოდისევსი დაგივსებს თვალსო. აქ მისანი ტელემოსი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მან წინასწარ იცის, თუ როგორ დასჯის ოდისევსი კიკლოპს. ის, რომ ჰკუაუხვმა გმირმა კიკლოპის გამოქვაბულს თავი მშვიდობიანად დააღწია, ღმერთების ნებაც იყო და თავად გმირის ძალისხმევის შედეგიც (ასათიანი 1996: 45-48).

„ენეიდას“ მეათე წიგნში, როცა ზღვაში მყოფ ენეასს შეხვდება ენამჭევრი კიმოდოკეა, ზღვის ქალღმერთი, რომელსაც მისნობის ნიჭიც აქვს, გმირს ეუბნება – ხვალინდელი დღე, თუ ჩემი სიტყვის გჯერა, ურიცხვ რიტულის გვამს განგმირულს იხილავს ველზეო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ენეასი დიდად გაიხარებს და ღმერთს მიმართავს:

„უკვდავთ დედაო, იდეელო, ქალაქთ ქომაგო
ქონგურიანთა, ლომთა მეტრფევე, ჯუფთად შებმულთა!
საომრად მიხმოზ, ამიხდინე მისნობაც ჩქარა

ვ. ენდელაძე

და გულმოწყალებად გადმოხედე შენს ფრიგიელებს!“.

(ვერგ., ენეიდ., 10, 250).

საინტერესო პერსონაჟია „ენეიდაში“ აპოლონის ქურუმი, რომელიც ენეასს უმისნებს და, ფაქტობრივად, მთელი სიცხადით გადაუშლის თვალწინ იმ სურათს, რაც წინ ელოდება. ასევე, ეუბნება, რომ მოუწევს ქარიბდასა და სკილას შორის გავლა. იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს გმირს:

„ქალღმერთის ძეო, შენ რომ ზღვაზე გაჰყვე მისნობას,
ცხადზე ცხადია, ბედის რიგი მოატრიალა
ღმერთთა მეუფემ, შენი ხვედრი ასე განაგო.
ბედის სვლას გაჰყვე, ცოტას გეტყვი, თუმც ბევრი ვიცი,
მსურს ზღვა განვლო და მხნედ ეწვიო ავზონთ ნაპირებს.
მე ხომ პარკები არ მაძლევენ მეტის თქმის ნებას.
იუნო, შვილი სატურნუსის, მიკრძალავს სიტყვას.
ახლოს რომ ეძებ იტალიას და უმეცარი
მიესწრაფები ახლომახლო ნავმისადგომებს,
მისგან მრავალი ქვეყანა და გზები გაშორებს“.

(ვერგ., ენეიდ., 3, 375-380).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორეხარისხოვანი მისანი პერსონაჟები გამორჩეული არიან იმით, რომ ისინი წინასწარ უცხადებენ მთავარ გმირებს, თუ რა ელით რაც, თავისთავად ცხადია, გმირს უადვილებს ამა თუ იმ საძნელო საქმის შესრულებას.

ლიტერატურა

ვერგილიუსი. 1976. ენეიდა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

როდოსელი აპ. 1975. არგონავტიკა. თარგმნა აკაკი ურუშაძემ. თბილისი: სახელგამი.

ჰომეროსი. 2011. ოდისეა. თარგმნა ზ. კიკნაძემ, თ. ჩხენკელმა. თბილისი: პალიტრა L.

ჰომეროსი. 2013. ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ასათიანი, ვ. 1996. ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი: თსუ.

ბოკერია, ვ. 1989. ლიტერატურის თეორია. თბილისი: Palitra L.

გორდეზიანი, რ. 2014. ბერძნული ლიტერატურა. თბილისი: ლოგოსი.

გაფრინდაშვილი, ნ., მირესაშვილი, მ. 2011. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბილისი: მერიდიანი.

გაჩეჩილაძე, ს. 1957. ლიტმცოდნეობის შესავალი, თბილისი.

Virgil. 2006. *The Aeneid*. Translated by Fagles R. New York: Penguin Books.

Rhodus, Ap. 2008. "The Argonautica". With an English translation by Green P. California: California University Press.

Homer. 2015. *The Iliad*. With an English Translation by Green P. California: University of California Press.

Whallon, W. 2014. "Formula, Character and Context". In: *Encyclopedia of Ancient Greek Language and Linguistics*. Ed: Giannakis G. Leiden/Boston: Brill.

Classics

Secondary Foreteller Characters In Ancient Epic Poetry

Vakhtang Endeladze

Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
endeladze1994@gmail.com

Secondary characters have a large role in opening the faces of the main characters. In ancient epic poetry, the character of the main character, his courage or impotence, appears through secondary characters. Secondary characters, in many cases, help the main characters to overcome this or that difficulty or obstacle. There are cases when the secondary characters, instead of helping the main characters, on the contrary, hinder them from achieving the set goal. Secondary characters, of course, may not receive as much attention as the main characters, such as Achilles, Jason, Medea, or Aeneas, but they are often more effective than epic characters. In the article we show the function of such secondary foreteller characters in ancient epic texts. They make it easy for the main characters to overcome the difficulties of the road and offer wise advice, which will eventually lead the heroes to the desired results.

Keywords: secondary character, epic poetry, ancient hero, literature.

Secondary characters have a large role in opening the faces of the main characters. In ancient epic poetry, the character of the main character, his courage or impotence, appears through secondary characters. Secondary characters,

ვ. ენდელაძე

in many cases, help the main characters to overcome this or that difficulty or obstacle. There are cases when the secondary characters, instead of helping the main characters, on the contrary, hinder them from achieving the set goal. Secondary characters, of course, may not receive as much attention as the main characters, such as Achilles, Jason, Medea, or Aeneas, but, they are often more effective than epic characters.

In the article we show the function of such foreteller secondary characters in ancient epic texts. They make it easy for the main characters to overcome the difficulties of the road and offer wise advice, which will eventually lead the heroes to the desired results.

In ancient epic texts, in addition to those with ordinary human qualities or powers, foreteller characters are actively involved. Their functional purpose is to warn the protagonist in advance of impending danger or joy. Through them, the main characters successfully complete this or that task, which is imposed by the will or destiny of the gods.

In this regard, an interesting character from the "Odyssey" is the old Halistheres - a birdman, who spoke to the Ithaca people when two eagles flew over the Ithaca houses with a strong flutter of their wings. Halisteres says: "Listen to me, Ithaca, I say this word for the sake of the bridegroom. They are in great danger. Odysseus should no longer be far from home. Somewhere near him, perhaps, he is preparing death for the bridegrooms, and not only for them, - many inhabitants of remote Ithaca will face a dark day "(Hom., Odysseus, 2,155-160).

An interesting character is foreteller Theoclimenes, who tells Penelope: "- Odysseus's worthy wife. Your son did not really know. Here I will tell you and trust my word. The sworn Zeus and Odysseus Keria swear that the owner of this house is here, in his native Ithaca. Somewhere nearby he spins and prepares to kill insolent bridesmaids. The appearance of an eagle in Pylos still told me this story when we were about to board a ship "(Hom., Odysseus, 17: 150-160). Theoclimenes awakens the expected joy of Penelope and announces that her husband will be back soon.

In the first book of the Argonauts, when the heroes lose Heracles on the way and are deeply saddened by this, Apollonius of Rhodes mentions the divine foreteller - Glaucus, who addresses the men: He is destined to perform and perform all twelve tasks for the merciless Evristeus in Argos, and then do a few other things as if the domestic were to live among the immortals; Therefore do not worry about it "(Apol., Rod., Arg., 1, 1310-1320). The foreteller's function is to disturb the heroes and convince them that nothing bad will happen to

Heracles, He explains to the Argonauts how Heracles will perform the twelve Tasks.

There are prophecies that are not obligatory for him to reveal, and if the latter dares to do so, God will punish him accordingly. That's how the foreteller Phineas was punished for pre-disclosing messages. He was telling everyone what to expect. In describing his portrait, the author emphasizes that he was old, blind, and that his punishment was that the harpies were eating food (2, 330-350). In the fifth book of "Aeneid" there is such a secondary character - old Nave, whom the author refers to as "educated" and "famous with great knowledge". In this way he can tell Aeneas what causes the wrath of the gods, what fate prepares him for.

In the ninth song of "Odyssey", when the protagonist fills the eyes of Cyclops Poliphemus, when he leaves, the protagonist will call him, if someone asks you who opened your eyes, tell him, Laertes' son, Odysseus. Polyphemus will immediately remember and say, the foreteller Telemos predicted that someone Odysseus would fill his eyes. Here the foreteller Telemos is important in that he knows in advance how Odysseus will punish Cyclops. The fact that the clever hero escaped peacefully from the Cyclops cave was both the will of the gods and the result of the hero's own efforts.

In the tenth book of Aeneid, when Aeneas meets the goddess of the sea, who also has the gift of meaning, tells the protagonist that if he believed his words, he would see the corpse of countless rituals in the field.

In view of all the above, we can conclude that the secondary foreteller characters are distinguished by the fact that they announce in advance to the main characters what awaits them, which, of course, makes it easier for the hero to perform this or that difficult task.

თ. მარდალეიშვილი

ანტიკური ლიტერატურა

„კრიზის-მენეჯერი“ ქალი პერსონაჟები არისტოფანეს კომედიებში

თათია მარდალეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთასი, საქართველო
tatiamardaleishvili13@gmail.com

სტატია ეხება ქალების, როგორც საუკეთესო კრიზის მენეჯერების, დამგეგმავების, კრიზისულ ვითარებაში საუკეთესო გამოსავლის მოძებნელების თემას არისტოფანეს კომედიებში („თესმოფორიაძუსები“, „ლისისტრატე“, „ქალთა სახალხო კრება“).

საკვანძო სიტყვები: ანტიკური ლიტერატურა, კომედია, ქალები, კრიზის – მენეჯერები.

2500 წელია არისტოფანე ყველა ეპოქისთვის „თანამედროვე“ და აქტუალურია დასმული პრობლემებით, სწორი აქცენტებით, მახვილი თვალით, ადამიანთა გულშემატკივრობით და შეუდარებელი იუმორით. იმდენად თანამედროვეა, რომ ხშირად ოცდამეერთე საუკუნის ადამიანებიც კი თვლიან, რომ კომედიოგრაფოსის ბასრი მახვილი სწორედ მათ მიმართ არის აღმართული. ალბათ, ამიტომ მოახსენევინა არისტოფანეს „კრაზანები“ ჰაიდელბერგის მერმა სცენიდან.

არისტოფანეს კომედიები, როგორც წესი, მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, როგორ განჭვრიტა დიდმა ბერძენმა ძვ. წ. მე-5 საუკუნეში, რომ დადგებოდა დრო, როცა იქნებოდნენ ლიდერი ქალები, რომლებიც კრიზისულ სიტუაციებში სწორად დაგეგმავდნენ გამოსავალს, მართავდნენ მამაკაცებს, მთელ ქვეყანას და თავიანთი დიპლომატიური საუბრებით ხელს შეუწყობდნენ კრიზისული სიტუაციების განმუხტვას. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ რეალურ ცხოვრებაში ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

ანალიზისათვის შევარჩიეთ არისტოფანეს სამი კომედია.

„თესმოფორიაძუსები ანუ ქალები თესმოფორიას დღესასწაულზე“.

ამ კომედიაში ქალთათვის კრიზისული ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც ევრიპიდე მოევილინება მათ ქალთა ღირსებების შემლაზხველად, რადგან ტრაგიკოსმა „ჭუჭყში ამოსვარა ქალის სახელი, დაამცირა და შეურაცხჰყო იგი. სადაც კი გუნდი, პოეტი და მაცურებელი ნახა, ყველგან

ქალის ლანძვას მიჰყო ხელი“ (არისტ. თესმ. 386–389); ქალები თავის ტრაგედიებში გამოიყვანა მკვლელებად, ჭორიკნებად, ლოთებად და მოღალატეებად; „ჭუჭყში ამოსვარა ქალის სახელი“; ხატავს მხოლოდ და მხოლოდ ვერაგ, მოღალატე და სასტიკ ქალებს (შვილების მკვლელებს, გერის შემყვარებლებს, სიმშაგით აზრ–დაკარგულებს, ხოლო ერთგულებსა და ღირსეულებზე კი სიტყვასაც არ ამბობს (არისტ. თესმ. 391–398). მისი ტრაგედიების ნახვის შემდეგ შინ დაბრუნებული მამაკაცები კი ჯავრს თავიანთ ქალებზე იყრიან.

შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალს ქალები იმაში ხედავენ, რომ ევრიპიდეზე შური იძიონ და სიკვდილით დასაჯონ. თავიანთი გეგმის სისრულეში მოსაყვანად ისინი ირჩევენ თესმოფორიას დღესასწაულს, რომელიც იყო სახალხო დღესასწაული მხოლოდ ქალებისათვის (შდრ. Parke 1986: 41–43). ბერძნულ ტრადიციაში სქესობრივი ტაბუს ეს ფორმა ჩვეულებრივ მოვლენას არ წარმოადგენდა. მართალია, ღმერთებს ჰყავდათ ქურუმებად კაცები, ხოლო ქალღმერთებს – ქალები, მათი თაყვანისმცემლები კი, როგორც წესი, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერთდროულად როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, მაგრამ ზოგიერთი კულტის თაყვანისმცემელთა შორის დასაშვები იყო მხოლოდ მამაკაცთა არსებობა. სამაგიეროდ, ზოგიერთ რიტუალში არ იღებდნენ მონაწილეობას კაცები. ერთ–ერთი მათგანი იყო სწორედ თესმოფორიას დღესასწაული, რომელიც ეძღვნებოდა ქალღმერთ დემეტრეს.

მიჩნეულია, რომ თესმოფორიას დღესასწაულის მონაწილეთა მხოლოდ ქალებით შემოფარგვლა მომდინარეობს იმ დროიდან, როცა ტომის შემადგენელი მამაკაცები სანადიროდ მიდიოდნენ, ხოლო ქალები – მინდვრებს უვლიდნენ (შდრ. Parke 1986: 41–43). ეს დღესასწაული სამი დღის განმავლობაში ტარდებოდა. ასეთი მასიური წამოსვლა ქალებისა საკუთარი ოჯახებიდან, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებდა მოქალაქეთა ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმზე. არისტოფანეს თქმით, დღესასწაულის მიმდინარეობისას არ ტარდებოდა სასამართლო პროცესები და ქალაქის კონსულთა შეკრებები. თესმოფორიას დღესასწაულს დასჭირდებოდა კარგი ორგანიზება, რადგანაც საჭირო იყო მონაწილეთათვის საძილე მოწყობილობებით, საჭმლით, კარვებით დასხვანივთებით უზრუნველყოფა. ამისათვის კი ირჩევდნენ ორ ლიდერ ქალს პროცესიის ორგანიზებისა და საჭირო პირობებით უზრუნველსაყოფად.

თესმოფორიას დღესასწაული იძლეოდა ყველანაირ საშუალებას, ქალებს თავადვე ემართათ საკუთარი თავი – გარკვეული პერიოდით მაინც. კლასიკურ ეპოქაში თესმოფორიას დღესასწაულმა ახალი დატვირთვა შეიძინა, რაც მდგომარეობდა იმაში რომ, მთელი ამ

თ. მარდალაიშვილი

რიტუალის განმავლობაში ქალები შეყრილიყვნენ ერთად და ჰქონოდათ შესაძლებლობა, გადაეჭრათ წლის განმავლობაში დაგროვილი პრობლემები მათი საკმაოდ შეზღუდული ცხოვრების პირობებში (შდრ. Bell 1986: 89–92).

ევრიპიდეს ქალებისადმი მტრობა ბერძენ-სპარსელთა მტრობის რანგში იყო აყვანილი და სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემებს განეკუთვნებოდა (შდრ. Macdowell 1995: 101).

კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად ქალები ეტაპობრივად მოქმედებენ:

- ორგანიზებას უწევენ თესმოფორიას დღესასწაულისაკენ მასობრივ მსვლელობას;
- იწვევენ კრებას, რომელზეც არათუ ხმის მიცემის, დასწრების უფლებაც კი არ გააჩნიათ მამაკაცებს. შესაძლოა, კრებით ქალები, გარკვეულწილად, გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს იმ პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც მამაკაცები აწყობდნენ და რომელშიც მონაწილეობის მიღება ქალებს ეკრძალებოდათ;
- ამ საქმეებს გასაიდუმლოებულად აგვარებენ და საიდუმლოს გარკვეულ დრომდე მკაცრად იცავენ;
- ევრიპიდეს ერთადერთ დამცველს, ქალურად გადაცმულ მნესილოქოსს, ევრიპიდეს სიმამრს, სვეტზე მიაბამენ და მეთვალყურეს მიუჩენენ. ძალიან მკაცრი არიან ქალები მნესილოქოსის მიმართ ორი მიზეზის გამო: 1. მან დაარღვია საიდუმლო რიტუალის მთავარი მოთხოვნა – არ ყოფილიყო არცერთი მამაკაცი ქალთა შორის; 2. მნესილოქოსმა გაზედა დაეცვა ევრიპიდე, კაცი, რომელიც თავიანთ უპირველეს მტრად გამოაცხადეს ქალებმა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქალებმა დამნაშავე მნესილოქოსის კოცონზე დაწვა განიზრახეს.
- მოჰყავთ არგუმენტები მნესილოქოსის არგუმენტების გასაბათილებლად: თუკი ჩვენ მართლაც ისეთი ბოროტები ვართ, როგორც ამას ამტკიცებთ – რომ ვთესავთ მწუხარებას, ომებს, აჯანყებებს, გაუტანლობასა და შუღლს – რატომღა ქორწინდებით ჩვენზე? რატომ ცდილობთ, ვიყოთ სულ სახლში, რისთვის უფრო ხილდებით თქვენს ცოლებს ამ „ბოროტებასა და გესლს?“ მამაკაცთა შორის უფრო მეტნი გახლავთ მოვაჭრენი, გაიძვერანი, მძარცველნი, ვიდრე ქალთა შორის; ქალები გაცილებით უფრო მეტად უფრო ხილდებიან მემკვიდრეობას, ვიდრე მამაკაცები; საკმარისია ლამაზმა ქალმა გაიხედოს ფანჯარაში, რომ ყველა სულმოუთქმელად ელოდება კიდეც როდის გაიხედავს; ჩვენ

ქალაქისათვის ვშობთ და ვზრდით მოქალაქეებს; თქვენ გგონიათ თქვენ გვჯობიხართ? ჩვენ კი პირიქით ვფიქრობთ; დე, ყველა დაწყველილ იქნეს, ვინც ქალთა მოდგმას რამეს დაუშავებს (არისტ. თესმ.406-413).

- ორმხრივ შეთანხმებას ადებინებენ ევრიპიდეს. მართალია, იგი გადარჩა ცოცხალი, მაგრამ პირობა დადო, რომ აღარასოდეს აღარ მოისმენდნენ ქალები მისგან ავად თქმულს. ერთადერთი, რამაც სიმე-სიმამრი ქალების რისხვისაგან იხსნა, იყო სწორედ ევრიპიდეს მიერ დადებული პირობა, რის შემდეგაც ევრიპიდე და მნესილოქოსი გათავისუფლდნენ.

კომედიის ფინალში ქალებსა და ევრიპიდეს შორის ორმხრივი შეთანხმების დადება, რასაკვირველია კრიზისული სიტუაციის სწორად მართვასა და წარმატებით გამოსავლის პოვნაზე მიანიშნებს. თუკი „თესმოფორიადუსებში“ ქალთა კრიზისული სიტუაციის ცენტრალურ პრობლემას ევრიპიდე წარმოადგენს და ამ სიტუაციიდან გამოსვლის მიზანი ევრიპიდეს „ნეიტრალიზაციაა“, კომედიაში „ლისისტრატე“ ქალების მთავარ პრობლემას წარმოადგენს ისეთი არსებითი საკითხი, როგორცაა ომი და მშვიდობა (შდრ. Taaffe 1993: 60).

„ლისისტრატე“ კომედიაში წარმოდგენილია ომის მიმართ ორგვარი დამოკიდებულებას შორის დაპირისპირება – მამაკაცების, რომლებიც მიელტვიან სისხლიან ომებს და ქალების, რომლებიც მშვიდობიან ცხოვრებას ესწრაფიან, რაც იწვევს კიდევ კრიზისულ სიტუაციას.

ქალებს ძალიან კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ არსებობს ოჯახურ საქმეებზე უფრო მნიშვნელოვანი - ქვეყნის ხსნის საქმე. ამ საქმეს კი ქალები თავიანთ თავზე იღებენ, რადგან ნახეს, რომ კაცები ამ მისიას ვერ ასრულებენ თავიანთი უჭკუო გადაწყვეტილებებისა და ფულისათვის განუწყვეტელი ბრძოლის გამო: „ჩვენ გადაგარჩენთ თქვენ“ (არისტ. ლისისტრ. 500) - ხმამაღლა განუცხადეს ქალებმა კაცებს, რომელთაც ეგონათ, ომი მხოლოდ მამაკაცების საქმე იყო. აღმოჩნდა, რომ, პირველ რიგში, ომით თავად ქალები იტანჯებიან, რადგანაც ისინი შვილებს უმამოდ ზრდიან, დედები დავაჟკაცებულ მოდგმას ბრძოლის ველზე აგზავნიან, ქალებს სძინავთ სულ მარტო, ახალგაზრდები ბერდებიან ალერსის გარეშე. ქმრებს კი შეუძლიათ სიბერეშიც ახალგაზრდა ცოლები მოიყვანონ (არისტ. ლისისტრ. 100;110; 525; 595).

ამ კრიზისული ვითარებიდან გამოსასვლელად, ქალები გადაწყვეტენ, აუკრძალონ მამაკაცებს იარაღით სიარული და ერთი ბრძოლიდან მეორეში გაქცევა-გამოქცევის სულელური წესი. ამ მიზნის შესასრულებლად, ძალაუფლების ხელში აღებასაც არ ერიდებიან და კრიზისული სიტუაციის განმუხტვის გეგმასაც ადგენენ; იკავებენ აკროპოლისს და საკუთარ

თ. მარდალეიშვილი

პირობებს წაუყენებენ მამაკაცებს: „თუ ფული დაგჭირდებათ სახლისათვის, ხორცისათვის მოგცემთ, ომისათვის – არა“ (არისტ. ლისისტრ. 1065).

კრიზისულ ვითარებაში არისტოფანეს პერსონაჟი ქალები მზად არიან, იარაღს მოჰკიდონ ხელი, ესროლონ ყველაფერი, ოღონდ არ დანებდნენ. მათ ჰყავთ ოთხი შეიარაღებული რაზმი, რომელიც რისხვისაგან არის ანთებული (არისტ. ლისისტრ. 465–75), მაგრამ, ამავდროულად, ქალები არ კარგავენ ქალურობას (Taaffe 1993: 60). მათი დევიზებია: „პრანჭვა გადაგვარჩენს“ და „მიზნის მიღწევამდე თავი შევიკავოთ მამაკაცებთან ურთიერთობისაგან“ (არისტ. ლისისტრ. 120); „სწორედ ეს დაადებინებს კაცებს ხმალს, ფარს ხელს აღარ ახლებენ“ (არისტ. ლისისტრ. 50). „თუ საჭიროა მშვიდობისათვის, წავიდეთ ამ დათმობაზე. არ დავნებდეთ სიყვარულით, არ გავიკაროთ ახლოს არც ქმარი, არც საყვარელი. მოვხიბლოთ, სურვილით ავანთოთ, მერე კი ხელიდან დავუსხლტეთ (არისტ. ლისისტრ. 146; 164) - ასეთია მათი სამოქმედო გეგმა. კრიზისულ ვითარებაში ქალები გრძნობენ საკუთარი ნების გაერთიანების აუცილებლობას მამაკაცთა წინააღმდეგ.

მთავარი კრიზის-მენეჯერი ლისისტრატეა, რომელიც ამბობს: „ჩვენ მათზე გავიმარჯვრებთ, თუ ერთმანეთში არ ვიჩხუბებთ“ (არისტ. ლისისტრ. 767); როცა ქალები მოვლენ აქ ბეოტიიდან, პელოპონესიდან, კორინთოდან, ჩვენ მაშინ ყველანი ერთად გადავარჩენთ ელადას“ (არისტ. ლისისტრ. 40).

ამ კრიზისულ ვითარებაში მამაკაცები, თავის მხრივ, ცდილობენ, დროზე მოუგრიხონ კისერი ქალებს და ასწავლონ ჰკუა მანამ, სანამ მამაკაცთა საქმეთადაცუდად წავიდოდეს (არისტ. ლისისტრ. 677), მაგრამ როცა ნახეს, რომ ყველა ქალმა ერთხმად მიატოვა საძინებელი ოთახები და ქალთა გაფიცვა იყო ძალიან მტკიცე და ერთსულოვანი, კაცებმა აღიარეს ქალთა მოთხოვნის გონივრულობა და გადაწყვეტენ, რომ დაჰყვნენ ქალთა ნებას: „მართალია, არ არსებობს ქვეყანაზე უფრო დიდი მხეცი, ქალებს რომ აჯობებს, მართალია, ძალიან ძნელია ქალებთან ერთად ცხოვრება, მაგრამ არც ამ წყეულ ქალთა გარეშე აქვს ფასი ჩვენს არსებობას“.

კაცებმა ელჩობა გაუგზავნეს ლისისტრატეს, საერთო საქმეც სწორედ მას – ქალს ჩააბარეს და სპარტელებისა და ათენელების მორიგებაც სთხოვეს. კორიფევსი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ლისისტრატეს: „ო, უმამაცესო ქალო, შენ ახლა უნდა შეეცადო, გახდე ავიცა და კეთილიც, მამაციცა და ბოროტიც, მშვიდიც და ბოზოქარი ეშმაკიც. მთელი ელადა პირველად შეიყარა აქ ერთად, დაუთმო რა შენს ჯადოქრობას“ (არისტ. ლისისტრ. 1110–13).

თავის მხრივ, ლისისტრატე მხოლოდ მას შემდეგ აძლევს უფლებას ათენელ და სპარტელ მამაკაცებს, შინ წაიყვანონ თავიანთი ცოლები, როცა

ისინი ერთგულებას შეჰფიცავენ ერთმანეთს.

ამ კომედიაში, ქალები, რომელთაც ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, ლისისტრატე, ახერხებენ კრიზისული ვითარების ნეიტრალიზაციას. შედეგად, მშვიდობა მყარდება ათენელებსა და სპარტელებს შორის.

ქალები, როგორც ძალიან კარგი კრიზის მენეჯერები, გვხვდებიან ასევე არისტოფანეს კომედიაში „ქალთა სახალხო კრება“, რომელშიც კრიზისული ვითარება იქმნება მაშინ, როცა კაცები თავიანთი უგუნურობით საზოგადოებას მიიყვანენ ეკონომიკურ და მორალურ კრიზისამდე.

„ქალთა სახალხო კრება“. არისტოფანეს ამ კომედიაში ქალთა კრიზისული სიტუაცია მიმართულია ზოგადად მამაკაცების მიერ შექმნილ პოლიტიკურ სისტემისაკენ, რომელშიც მანამდე ქალები არ მონაწილეობდნენ. მაშინ, როცა ქალი თავისუფალი იყო, მას არ ჰქონდა მოქალაქის ყველა უფლება და მისი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ ოჯახური საქმიანობით შემოიფარგლებოდა (Macdowell 1995: 10–15). მათთვის დაკეტილი იყო პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროდა არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. სახალხო კრებაზე, რომელზეც მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, ქალს არ ჰქონდა ხმის უფლება. სწორედ ამ უსამართლობით არის განპირობებული კრიზისული ვითარების შექმნა არისტოფანეს კომედიაში. ქალებს სურთ ქვეყანაში ქალთა ძალაუფლება დამყარდეს შემდეგი მიზეზების გამო :

- ქალაქს უსინდისონი მართავენ და სახელმწიფო მათ გამო ნგრევის პირასაა მისული;
- ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ჭკვიანები და საქმიანები არიან, მათ არ ახასიათებთ ზედმეტი ლაყბობა და ენის მიტან-მოტანა, თავს არავის მოატყუილებინებენ, რადგან თავად არიან ტყუილების ოსტატები, ისინი დაივიწყებენ მარცვას, ახლობლის შურს, არ იქნება ღარიბი, შიშველი და მშიერი, რადგან ქალთა უმრავლესობა დედები გახლავთ და ამ უბედურებისათვის არ გასწირავენ მათ მიერ ნაშობ შვილებს;
- ათენში დიდ პატივად ითვლება სიახლეებზე გამოდევნება, ძველის სიძულვილი, არსებულის დაცინვა მხოლოდ ქალთა მმართველობა არ გამოუცდია ათენს, დაე, ესეც ვსინჯოთ, ხომ ვანდობთ ქალებს ფულს, სახლსა და მეურნეობას!
- ქალებმა იციან, რომ ძალა ერთობაშია და ერთმანეთს მოუწოდებენ: „ერთ მუჭად შევიკრათ, ფხიზლად ვიყოთ, რომ მოულოდნელმა უბედურებამ არ დაღუპოს ჩვენი საერთო საქმე ქვეყნის ხსნისა“ (არისტ. ქალ. სახალხო. კრ. 483–99) .

კომედიის ცენტრალურ პერსონაჟს წარმოადგენს პრაქსაგორა, რომელიც

თ. მარდალეიშვილი

გეგმავს გამოსავალს შექმნილი კრიზისული ვითარებიდან. პრაქსაგორა დილით ადრე, კაცთაგან მალულად, შეკრებს მამაკაცურად გადაცმულ ათენელ ქალებს, რათა მათ სახალხო კრებაზე მოპოვებული რიცხობრივი უპირატესობით მიაღწიონ პოლისში ძალაუფლების ქალებისათვის გადაცემას. ის ფიქრობს, რომ ამ საზოგადოების გადარჩენა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ.

პრაქსაგორა ცდილობს აჩვენოს ქალთა მმართველობის ისეთი უპირატესობები, როგორებიცაა უსამართლობების მოსპობა, სიღარიბე, ცრუმორწმუნეობა, საერთო ქონების შექმნა, რომელშიც წილი ყველას ექნება. პრაქსაგორა თავისი არგუმენტირებული მოსაზრებებით ახერხებს საკუთარი პროგრამის დაცვას, მამაკაც ოპონენტთა დარწმუნებას, მათი მხარდაჭერის მოპოვებას და კრიზისული სიტუაციიდან გამოჰყავს ქვეყანა.

ქალები კომედიაში „ქალთა სახალხო კრება“ გვევლინებიან არამარტო უსამართლო პოლიტიკური სისტემის, არამედ, მთელი ფორმაციის შემცვლელებად. ისინი შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალს ეტაპობრივად გეგმავენ და ანხორციელებენ:

- ქალები მამაკაცის ფორმას იღებენ, გამოეწყობიან მათ ტანსაცმელში, დაიკრავენ წვერსა და ულვაშს, დაიბოხებენ ხმას და ცდილობენ, რომ ისაუბრონ მამაკაცურად – ღირსების გრძნობით;
- ქალები სახალხო კრებაზე შექმნიან რიცხობრივ უპირატესობას და ხმას აძლევენ იმას, რომ ქვეყანაში დამყარდეს ქალთა ძალაუფლება.

მართალია, ქალების მიერ შემუშავებული პროგრამის განხორციელება საკმაოდ გაუმართავი აღმოჩნდა იმ უხერხულობათა გამო, რომელნიც მის რეალიზაციას ახლდა თან, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად ამისა, კომედიაში ქალები გვევლინებიან როგორც კრიზისული ვითარების საუკეთესო დამგეგმავნი და ამ გეგმის მიზანმიმართულად განმახორციელებელნი.

ქალთა გინოკრატიათ ათენში კრახი განიცადა, თუმცა არა იმის გამო, რომ ქალებმა ვერ შეძლეს მამაკაცებზე აღმატება და მათზე ძალაუფლების მოპოვება, არამედ იმიტომ, რომ მათი იდეები უტოპიური და აბსურდული იყო (გორდეზიანი 2002: 479).

როგორც ვნახეთ, არისტოფანეს კომედიები გვთავაზობს იმ კრიზის-მენეჯერ ქალთა საინტერესო პალიტრას, რომლებიც შექმნილი კრიზისული ვითარებიდან ემებენ გამოსავალს, გეგმავენ თავიანთ ნაბიჯებს, ახდენენ მათ რეალიზაციას და წარმატებით გადაჰყავთ სიტუაციები კრიტიკულიდან მშვიდობიანისკენ.

ლიტერატურა

- არისტოფანე. 2011. კომედიები. მთარგმნელი ლევან ბერძენიშვილი, ტომი 4. თბილისი: ლოგოს პრესი.
- გორდეზიანი, რ. 2002. ბერძნული ლიტერატურა. თბილისი.
- Aristophanes. 1973. Comedies. Oxford University Press.
- Bell, C. 1992. Ritual Theory, Ritual Practice. Oxford.
- Buckert, W. 1966. Greek Tragedy and Sacrificial Ritual. GRBS 7.
- Ehrenberg, V. 1962. The People of Aristophanes. New York.
- Foley, H. P. 1981. The Conception of Women in Athenian Drama. Reflections of Women in Antiquity. New York.
- Gomme A. W. 1937. The Position of Women in Athens in the fifth and Fourth Centuries. Essays in Greek History and Literature. Oxford.
- Macdowell, D.M. 1995. Aristophanes and Athens. Oxford.
- Parke, H. W. 1986. Festivals of Athenians. London.
- Shaw, M. 1975. "The Female Intruder: Women in the Fifth Century Drama". CPH 70.
- Taaffe, L. k. 1995. Aristophanes and Athens. Oxford.
- Wright F.A. 1969. Feminism in Greek Literature. Dort Washington. New York.

Classics

Crisis Manager Women Characters According to Aristophanes' Comedies

Tatia Mardaleishvili

Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
tatiamardaleishvili13@gmail.com

The article addresses the issue of women as the best crisis managers, planners, and the best solution finders in crisis situations according to the following comedies written by Aristophanes "The Thesmophorians", "Lysistrata", "Assemblywomen".

Keywords: antique literature, comedy, women, crisis managers.

In Aristophanes' comedy "The Thesmophorians", a crisis situation is created for women when Euripides appears to violate their dignity. Euripides "threw the name of the woman in the dirt, humiliated and insulted them. Wherever he saw the choir, the poet and the audience, he cursed women everywhere" (Arist. Thess. 386–9). Euripides portrayed women in his tragedies as murderers, gossipers, drunkards, and traitors. The women unanimously agree that Euripides "threw the woman's name in the dirt" and at their meeting unanimously state that their first enemy is Euripides, as he paints in his tragedies only incompetent, traitorous and cruel women, and he does not say a word about the faithful and the worthy ones.

In search of a way out of the crisis, in Aristophanes' comedy "The Thesmophorians" the women decide to take a revenge on Euripides and sentence him severely. To carry out their plan, they choose the feast of Thesmophoria. Noteworthy is the fact that Thesmophoria was a public holiday exclusively only for women dedicated to the goddess Demetrius (Park 1986; 41–43). As this celebration lasted for three days, such massive departure of women from their homes would certainly bring some dissonance to the rhythm of the ordinary life of the citizens. The celebration of Thesmophoria would definitely need to be well organized, for which two women were chosen - as officials to ensure throughout the year that the procession of women to Thesmophorion was provided and organized with all necessary conditions. It was the celebration of Thesmophoria that allowed women to govern themselves independently even for a limited period of time (Bell 1986: 89–90). In addition to all of the above, it is likely that the celebration of Thesmophoria in the classical era acquired a new purpose - this was due to the fact that women - in quite limited living conditions - were allowed to come together and solve their own problems during this ritual (Park 1986:

92). Thesmophoria's holiday was the best background to portray the problem of female characters. It was the only time during the whole year when women from all over Greece could come together, raise painful issues for them and take care of their solution. One such urgent issue and crisis situation in Aristophanes' comedy was the issue of the relation of women to the poet Euripides.

Women plan the solution step by step from the created crisis situation;

1. Organize a mass march to Thesmophoria.
2. They convened a meeting. Men do not even have the right to vote or attend the meeting. These cases are solved in secret by women and they are their own masters.
3. After identifying the only defender of Euripides - the disguised Mnesilocos –the women tied him to a pillar and supervised him.
4. They cite arguments in response to Mnesilocos' arguments.
5. They made a mutual agreement with Euripides.

In order to find a way out of the crisis, women achieve their goal as a result of the actions they have planned and implemented; It is true that Euripides survived, but he promised that women would never hear again his curse towards them. The signing of a mutual agreement between women and Euripides in the finale of the comedy of course leads to the victory of women and the successful resolution of a crisis situation by them.

If Euripides is the central problem of the crisis situation of women in "The Thesmophorians" and it is directed towards him, in the comedy "Lysistrata" the main problem of women is such an essential issue as war (Taaffe 1993: 60). The comedy presents a confrontation between two attitudes towards war - men who embrace bloody wars and women who aspire to a peaceful life.

Women are well aware that there is something more important than family affairs, and this is an important issue for the salvation of the country, and women decide to take on this task because they have seen that men are unable to fulfill this mission due to their unwise decisions and incessant struggle for money. The men thought that war was only a matter for men, but it turned out that first of all women suffered from war, as they raise their children without a father, mothers send them to the battlefield, women sleep alone, young people grow old without affection. Husbands, in turn, can marry to young wives into an old age (Arist. Lysistr. 100; 110; 525; 595).

To get out of this crisis, women decide to ban men from carrying weapons and the stupid rule of fleeing from one battle to another. In order to achieve their goal, the women are not even afraid of taking the power. Women plan to carry out their plan in stages; they will occupy the Acropolis and impose their own conditions on the men: "If you need money for a house, or for meat will

თ. მარდალეიშვილი

give it to you, but not for war" (Arist. Lister. 1065). It should be mentioned that in this crisis situation the women characters of Aristophanes' comedy are ready to take up weapons, shoot everything, but do not give in; They have four armed detachments, which are ignited by anger (Arist. Lysistr. 465-75), But at the same time women do not lose their femininity (Taafe 1993: 60). In a crisis situation, women feel the need to unite their will against men. Lysistrata declares: "We will overcome them if we do not quarrel with each other" (Arist. Lysistr. 767). As for men, in this crisis situation, try to twist the necks of women in time and teach them to be smart until the affairs of men go completely wrong (Arist. Lysistr. 677), but when they saw that all the women unanimously left the bedrooms, and the women's strike was very firm and unanimous - the men recognized the reasonableness of the women's request and decided to follow the women's will. The men decide to send an ambassador to Lysistrata, and the common task is handed over to her - they ask her to reconcile the Spartan-Athenians. Lysistrata only allows Athenian and Spartan men to take their wives when they swear fidelity to one another. In this comedy, the women, who have a prominent leader - Lysistrata, successfully deal with a crisis situation - the neutralization of the genius of war.

Women as very good crisis managers are well represented in a comedy after Aristophanes called "Assemblywomen". In this comedy, a crisis situation is created when men, through their recklessness, lead the society to an economic and moral crisis. In this comedy, the crisis situation of women is directed towards a political system created by men in general, in which women had not participated before. When women were free, they did not have the right of full citizenship and their activities were limited to family activities (MacDowell 1995: 10-15). All spheres of political life were closed to them and they could not participate in the solution of state affairs. Women want to establish women's power in the country for the following reasons:

- The city is ruled by dishonest people and the state is on the verge of collapse because of them;
- Women are smarter and more active than men, they are not characterized by excessive flattery, they are not deceived by anyone as they themselves are masters of lies, they will forget robbery, the envy of a loved one, there will not be poor, naked and hungry people, because most of the women are mothers and they do not sacrifice the children they give birth to for this misfortune;
- It is a great honor in Athens to be chased by the news, to hate the old, to ridicule the existing, only the women's government has not been experienced in Athens, let's try this too, as we trust women with money,

house and farm;

- Women know that power is in unity and they call on one another: "Let us gather together, let us be vigilant, so that the sudden calamity does not destroy our common cause for the salvation of the country" (Arist. Assembly Wom 483-90).

The central character of the comedy is Praxagora, who plans a way out of the created crisis situation. Praxagora secretly gathers Athenian women disguised as men early in the morning in order to achieve the transfer of power to the women of Polis by a numerical advantage gained at their Assembly. She thinks that only women can save this society. Indeed women steal men's clothing and as a result of their superiority in the Assembly power was given to women in Athens. Praxagora tries in every way to show the advantages of women's governance such as the eradication of injustices, poverty, superstition and the creation of a common property in which everyone will have a share. Praxagora with her argumentative opinions manages to defend her own ideas, convince male opponents and gain their support.

Women in the comedy "Assemblywomen" appear not only as a substitute for an unjust political system, but also for the entire formation. They gradually plan and implement the solution to the created crisis situation; 1. Women take the form of men, dress themselves in clothes, stick beards and moustaches, raise their voices and try to speak masculinely - with a sense of dignity. 2. Women have a numerical advantage in the Assembly vote for the establishment of women's power in the country. It is true that the implementation of the program developed by women turned out to be quite awkward due to the inconveniences that accompanied its realization, but in the comedy, women appear to be the best planners and implementers of this crisis situation. Women's gynocracy crashed in Athens, not because women were unable to surpass men in gaining power over them, but because their ideas were utopian and absurd (Gordeziani).

Aristophanes' comedies, as they usually do, give us a very interesting picture of women as the best crisis managers who find a way out of the created crisis situation, plan their steps and successfully implement them to carry out their plan.

ანტიკური ლიტერატურა

ანტიკური საბერძნეთი: სამედიცინო მეტაფორები ეთიკაში

ნინო ჩიხლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთასი, საქართველო
nino.chikhladze@atsu.edu.ge

ფილოსოფოსები ყოველთვის იყენებდნენ სამედიცინო მეტაფორებს ეთიკაში. პლატონის აზრით, ფილოსოფოსი ეძებს შესაბამის თერაპიას სოციალური ჰარმონიის შესანარჩუნებლად ან აღდგენისთვის, ანუ თერაპიას, რომელიც გამორიცხავს საზოგადოების ავადმყოფობის გამომწვევ ყველა ფაქტორს, ისე როგორც, ექიმი ეძებს საუკეთესო თერაპიას ორგანიზმის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ან აღდგენისთვის. ორივე შემთხვევაში, მიზანი ერთია - მოიძიოს დაავადების გამომწვევი მიზეზები და წამალი, რათა აღმოიფხვრას დისბალანსი და აღდგეს ჯანსაღი წონასწორობა. სტატიაში გამოვიკვლევ სამ მეტაფორას, რომლებიც აკავშირებს მედიცინასა და ეთიკას: სხეულის მეტაფორებს, ისონომიას და თაყვანისმცემლობას.

საკვანძო სიტყვები: ანტიკურობა, ფილოსოფოსები, ექიმები, მეტაფორები.

ჩვენი ყოფის ე.წ. კოვიდური ხანა იმდენად იპყრობს ადამიანის გონებას, მიზნებს, სვამს ფილოსოფიურ-სამედიცინო და ნაკლებად ფილოსოფიურ-სამედიცინო შეკითხვებს, რომ თითქმის წარმოუდგენელია არსებობა სამედიცინო მეტაფორების გარეშე: ვიკვლევთ, ვადგენთ, ერთმანეთს ვუზიარებთ და მერე ისევ ყველაფერი იწყება თავიდან. ვზრუნავთ არა მხოლოდ ცალკეული ავადმყოფის, არამედ მთელი საზოგადოების გაჯანსაღებაზე.

ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფოსები ყოველთვის იყენებდნენ სამედიცინო მეტაფორებს ეთიკაში. პლატონის აზრით, ფილოსოფოსი ეძებს შესაბამის თერაპიას სოციალური ჰარმონიის შესანარჩუნებლად, ან აღდგენისთვის, ანუ თერაპიას, რომელიც გამორიცხავს საზოგადოების ავადმყოფობის გამომწვევ ყველა ფაქტორს ექიმი ეძებს საუკეთესო თერაპიას ორგანიზმის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან აღდგენისთვის. ორივე შემთხვევაში, მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოიძიოს დაავადების გამომწვევი მიზეზები და წამალი, რათა აღმოიფხვრას დისბალანსი და აღდგეს ჯანსაღი წონასწორობა. გამოვყოფთ სამ მეტაფორას, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს მედიცინასა და ეთიკას: სხეულის მეტაფორებს, თანასწორობას და თაყვანისმცემლობას.

სხეულის მეტაფორა. ძველ კულტურებში, როგორცაა ეგვიპტური,

ბაბილონური და მესოპოტამიური, მედიცინა უკავშირდებოდა იმას, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ ცრურწმენას, მაგიას და ისეთ რელიგიურ რიტუალს, როგორცაა ლოცვები, ვედრება, მსხვერპლშეწირვა, შელოცვები და ჯადო (Longrigg 1993: 147-175). ასევე იყო ანტიკურ ბერძნულ მედიცინაშიც. ცრურწმენა და მაგია არსებობდა, მაგრამ ბერძენმა ექიმებმა პირველებმა განაცხადეს, რომ მიხვდნენ, რატომ ავადდებიან ადამიანები. ბერძნულ კულტურაში მედიცინის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი კავშირი ფილოსოფიასთან: ფილოსოფიის წყალობით მედიცინამ „მიადწია საკუთარი მიზნისა და მეთოდების მკაფიო გაგებას და შეიმუშავა ცოდნის საკუთარი კონკრეტული კონცეფციის კლასიკური გამოხატულება (Werner 1986: 4).

ფილოსოფიასა და მედიცინას შორის პირველი კავშირი, ალბათ, პითაგორასა და მის მიმდევრებთან გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაკლია ინფორმაცია ზოგადად პითაგორას საზოგადოების შესახებ, მაინც ვიცით, რომ მისი ერთგულება *mens sana in corpore sano*-ს (ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია) იდეალებისადმი, მიანიშნებს გარკვეულ ყურადღებას მისი წევრების დიეტასა და რეჟიმზე და ზოგადად, მედიცინაზე (Miller 2019: 310).

ძველბერძნულ მედიცინას ორი მიზანი ჰქონდა: დაავადებების განკურნება და ჯანმრთელობის შენარჩუნება. პირველი, ძირითადად, ეხებოდა მიზეზებისა და შედეგების ცოდნას და სხეულის ჰომეოსტაზის აღდგენის ყველაზე შესაფერის საშუალებებს; მეორე, არსებითად, ეხებოდა ადამიანების განათლებას - ჩვენ გვჭირდება კარგი ჩვევები კარგი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. საკუთარ თავზე ზრუნვა (*epimeleia heautou*) არის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი პირობა (*conditio sine qua non*). ასეთი ზრუნვა შეიძლება იყოს ორიენტირებული შიგნით ან გარეთ: პირველ შემთხვევაში ის მიმართულია გონების სიმშვიდის მიღწევაზე (*ataraxia*) ცოდნისა და სიბრძნის გაზრდით; მეორეში - ფიზიკური ტანჯვის თავიდან ასაცილებლად პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებით, როგორცაა საცხოვრებელი პირობები, საკვები, ტანსაცმელი და დაავადებების განკურნება.

ამ პერსპექტივიდან, ავადმყოფობა აღიქმება, როგორც ჯანმრთელობის ნაკლებობა (ფიზიკური ტანჯვა) და საკუთარი თავის მოვლის ნაკლებობა (შინაგანი სიმშვიდის არარსებობა). აჟიოტაჟის, რომელიც აფერხებს შინაგან სიმშვიდეს, გამოწვეულია შიშით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია მცდარი მოსაზრებებითა და ცრურწმენით, მაგალითად, როგორცაა: „სიცოცხლე სიმდიდრეა, სიკვდილი კი - სიღარიბე“. ეს ცრუ მეტაფორები ხალხს მოუწოდებს, ეძებოს სიმდიდრე და ეშინოდეს მისი დაკარგვის. პროპორცია, სიმეტრია და ბალანსი კარგი ჯანმრთელობის ნიშნებია,

6. ჩიხლაძე

ხოლო დისპროპორცია, ასიმეტრია და უთანასწორობა მიუთითებს ცუდ ჯანმრთელობაზე. ამ მიზეზით, ძველ ბერძნებს შეეძლოთ წაეკითხათ დელფოსში, აპოლონის ტაძრის ქვაზე გამოკვეთილი მცნებები: „იცოდე შენი თავი“ და „არაფერი ზედმეტი“, რომლებიც ყველამ უნდა დაიცვას, თუ სურს ჯანსაღი და გაწონასწორებული ცხოვრება გადაჭარბებების, ან დეფიციტების გარეშე.

კავშირი, რომელიც აერთიანებს მედიცინასა და ეთიკას კონცეპტ მეტრონის (metron) ცნებასთან, სრულიად ნათელია: ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მოქმედებს გადაჭარბებით, არღვევს საკუთარ საზღვრებს, ვერ იცავს ზომიერებას, არღვევს კოსმოსის და სოციალურ წესრიგს (hybris), რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს. მედიცინაში ეს ეხება იმ პაციენტს, რომელიც არ ემორჩილება ზომიერების, თავის მოვლის, გონებისა და სხეულის ჰარმონიულ ბალანსზე დაფუძნებული დიეტის პრინციპებს (Galen. 2012: 557). ბოროტად იყენებს სასმელს და ჭარბ ჭამას. ეთიკაში ეს არის ის შემთხვევა, როცა ადამიანი მოქმედებს ჰიბრისის მიხედვით: უარყოფს კარგი ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპებს (eudaimonia) და, შესაბამისად, ცხოვრობს საკუთარი მიდრეკილებების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ისონომიის მეტაფორა. ისონომიის მეტაფორა პირველად გამოჩნდა კლისთენესის ათენურ რეფორმებში ძვ.წ. 508 წელს (Manicas 1982: 600-612). ისონომიის პოლიტიკური მნიშვნელობა ცნობილია არისტოტელესა და ჰეროდოტეს ტესტიმონიების წყალობით (Jacques 1998: 68). კლისთენესმა მნიშვნელოვნად შეცვალა პოლისის პოლიტიკური ორგანიზაცია და წარმოადგინა ისონომიის (თანასწორულებიანობის) კონცეფციაზე დაფუძნებული დემოკრატია, რაც, ჰეროდოტეს მიხედვით, ნიშნავს მასების მმართველობას ყველაზე პოზიტიურად, დემოკრატიული კონსტიტუციისათვის დამახასიათებელი საშუალებებით: არჩევნებზე წილისყრით, საჯარო მოხელეთა აუდიტით, ასამბლეის უფლებამოსილების განხილვით საჯარო პოლიტიკის ყველა საკითხის გადასაწყვეტად (Sealey 1973: 286-289).

სილის აზრით, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისონომია იყო დაკავშირებული დემოკრატიასთან და ეწინააღმდეგებოდა მონარქიასა და ტირანიას, რადგან ის ნიშნავდა თანასწორობას სამართლიანობაში: სიტყვა ისონომია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: σις (თანაბარი) და νομία (კანონი), რაც ნიშნავს „თანასწორობას კანონის წინაშე“, ხოლო მონარქია შედგება ნაწილებისგან: μονο (მარტო) და αρχία (მართვა), რაც ნიშნავს „ერთის მმართველობას“. სიტყვები ისონომია და მონარქია გამოიყენა ალკმეონმა ადამიანის სხეულის კარგი და ცუდი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობების წარმოსაჩენად. უფრო კონკრეტულად,

მან გამოიყენა ისონომიის მეტაფორა წონასწორობისა და ჯანსაღი სხეულის მდგომარეობის, მაგალითად, ჰომეოსტასის აღსანიშნავად.

ალკმეონის თანახმად, სხეულში არსებობს განუსაზღვრელი რაოდენობის აქტიური პრინციპები, ან თვისებები, დინამიები (dynamis). კარგი, ან ნორმალური ჯანმრთელობის დროს, ისინი ქმნიან ერთგვაროვან და ჰარმონიულ (ისონომიურ) ნაერთს, რომელსაც კრასისი (krasis) ეწოდება. დაავადება ვრცელდება ისეთი წონასწორობის დაკარგვის გამო, როგორცაა ერთი პრინციპის პათოლოგიური უზენაესობის (monarchia) გავლენა სხვებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც შიდა, ასევე, გარეგანი ფაქტორებით. სილის მიხედვით, როდესაც ერთი განწყობა მართავს ყველა დანარჩენს, ეს იწვევს ავადმყოფობას როგორც სოციალურ სხეულში, ასევე, ბიოლოგიურში. მამასადამე, ალკმეონის ისონომია, როგორც სხეულის, ისე ქალაქის შესახებ, ეხება თანხმობის პროდუქტიულ გამოთვლებს, როგორც „ნაკლებთან“ და „მეტთან“ დაკავშირებული უსამართლობის თავიდან აცილების საშუალებას.

ამ კავშირებიდან გამომდინარე, პროპორცია მეტაფორულად განსაზღვრავს, რომ ჯანმრთელობა შეესაბამება დემოკრატიას და ავადმყოფობა - მონარქიას. როგორც სხეულში ჯანმრთელობა ნიშნავს კარგ ბალანსს ორგანოებს შორის, ასევე, პოლიტიკაში კარგი ჯანმრთელობა, ანუ დემოკრატია არსებობს, როდესაც ყველა სოციალური ნაწილი თანასწორუფლებიანია.

თაყვანისცემის მეტაფორა. თაყვანისცემის მეტაფორა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ საფრთხეს ინდივიდისა და საზოგადოების ჯანმრთელობისთვის. პლატონის აზრით, თაყვანისცემა იწვევს როგორც კორუფციას პოლიტიკაში, ასევე, ავადმყოფობას სხეულში. პლატონი თავის ყველა თხზულებაში მოიხსენიებს მედიცინას (Sealey 1973: 18) და, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებებს შორის (technai), რომლებიც სოკრატესა და პლატონის აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდნენ, მედიცინას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

პლატონმა თავის „სახელმწიფოზე“ მუშაობა დაიწყო იმ საზოგადოებაზე დაკვირვებით, რომელიც, მისი აზრით, იყო ავადმყოფური პოლისი, სადაც მორალური დეგრადაცია არანაირ კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. VII წიგნში (544c), პლატონი ავითარებს მოსაზრებას, რომ ქალაქი ავად არის, რაც აიძულებს ფილოსოფოსს, გამოიკვლიოს სიმპტომები და გაიგოს ასეთი დაავადების მიზეზები, მოძებნოს სამკურნალო საშუალება მისი ჯანმრთელობის აღსადგენად. ეს გულისხმობს ისეთი სოციალური მოდელის მიღებას, რომელიც ფლობს ანტისხეულებს, რომლებსაც შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ სტასისის ვირუსს (στάσις) - მუდმივ კონფლიქტს სხვადასხვა სოციალურ ნაწილებს შორის. ასეთი მდგომარეობა

6. ჩიხლაძე

გამოწვეულია დემოკრატიული რეჟიმით, რომელიც, პლატონის აზრით, თავის არსში გულისხმობს „დემაგოგიური გადაგვარების“ საფრთხეს, რაც ემთხვევა სახელმწიფოების მიზანს - მასის ირაციონალური ძალებისადმი დამორჩილებას და, შესაბამისად, რადიკალურად ეწინააღმდეგება ცოდნის საფუძველზე სიკეთისაკენ, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური სწრაფვის პლატონურ პრინციპს.

ჩვენთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობები მიეკუთვნება პლატონის შემოქმედების პირველ პერიოდს, ეგრეთ წოდებულ ადრეულ დიალოგებს, როგორცაა *Charmides*, *Crito*, *Gorgias*, და *Laches*. პირველ მათგანში პლატონი განასხვავებს შარლატანებს ექიმებისაგან იმით, რომ, მისი აზრით, ერთადერთი ვისაც, შეიძლება „ჯანმრთელობის დარაჯი“ ეწოდოს (165c), არის ჰიპოკრატე. „გორგიასში“ პლატონი აპროტესტებს გორგიასისეულ რიტორიკის მედიცინაზე უზენაესობას. გორგიასი ამბობს: ბევრჯერ მივედი ჩემს ძმასთან, ან სხვა ექიმთან ერთად ერთ-ერთი პაციენტის მოსანახულებლად და ვნახე, რომ მას არ სურდა წამლის მიღება, ან ქირურგის დანა; და როდესაც ექიმმა ვერ შეძლო მისი დარწმუნება, მე მივაღწიე წარმატებას სწორედ რიტორიკით და არა რომელიმე სხვა ხელოვნებით (456b).

ეს ნიშნავს, რომ პაციენტების დასარწმუნებლად, თუ რა უნდა გააკეთონ უკეთ ყოფნისთვის, ორატორის მჭევრმეტყველება უფრო ეფექტურია, თუმცა, მას, ექიმთან შედარებით, არ გააჩნია სამედიცინო ცოდნა.

სოკრატე, პირიქით, ადასტურებს, რომ რიტორიკა, როგორც მედიცინაში, ასევე პოლიტიკაში, არ არის მეცნიერება, არამედ იგი მხოლოდ სიამოვნების მიღების საშუალებაა თაყვანისცემის გზით. სოკრატესთვის პოლიტიკა სულის ხელოვნებაა, ხოლო მედიცინა და ტანვარჯიში - სხეულის ხელოვნება: პოლიტიკის ქვეშ მე ვგულისხმობ კანონმდებლობას ტანვარჯიშის ადგილზე და სამართლიანობას - მედიცინის შესატყვისად“ (464b), მაგრამ თაყვანისცემა, ე.ი. სპეკულაცია რომელიც თავის თავს თითოეულ ამ მიმართულებაში მოიაზრებს, თითქოს სწორედ ის არის, რომელშიც მან შეაღწია და არ აინტერესებს, რა არის საუკეთესო, მაგრამ აჩერებს ის, რაც ამ მომენტისთვის ყველაზე სასიამოვნოა, როგორც სისულელის სატყუარა - უმაღლესი ღირებულება.

კულინარია იღებს მკურნალის ფორმას და პრეტენზია აქვს, რომ იცის, რომელი საკვებია საუკეთესო ორგანიზმისთვის“ (464 c-d). მაშასადამე, თაყვანისცემა, რომელიც ანგრევს ცოდნას და იწვევს დისბალანსს, სოციალურ და ფიზიკურ დაავადებებს, არის კულინარია მედიცინაში და რიტორიკა პოლიტიკაში (Vlastos 2017: 45).

წინამდებარე სტატია არის მხოლოდ მოკლე მიმოხილვა ეთიკაში

სამედიცინო მეტაფორების ფართო გამოყენების შესახებ. როგორც ვნახეთ, ადამიანები, ხშირად, სწორედ სამედიცინო მეტაფორების გამოყენებით წარმოიდგენდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო კარგი საზოგადოება. ეს ამკარად მიანიშნებს მედიცინისა და ეთიკის ურთიერთკავშირზე, რაც აუცილებლად უნდა გახდეს საინტერესო საკითხი მომავალი კვლევებისათვის.

ლიტერატურა

- Galen. 2012. Transl. Neil Allies. Leiden, Boston.
- Jacques, Jouanna. 1998 . “The Birth of Western Medical Art.” *Western Medical Thought from Antiquity to the Middle Ages*. Ed. Mirko D. Grmek. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Werner, Jaeger. 1986. *Paideia: the Ideals of Greek Culture*. Transl. Gilbert Highet. Vol. 3. Oxford, Oxford University Press.
- Jojin, Karatani. 2017. *Isonomia and the Origins of Philosophy*. Transl. Joseph Murphy. Durham, Duke University Press.
- Longrigg, James. 1993. “Philosophy and Medicine: Some Early Interactions.” *Harvard Studies in Classical Philology*. 67, 1993.
- Manicas, Peter T. 1982. “War, Stasis, and Greek Political Thought.” *Comparative Studies in Society and History* 24.4, 1982.
- Miller, Harold W. 2019. “Philosophy and Medicine in Ancient Greece.” *The Classical Journal* 44.5, 2019;
- Sealey, Raphael. 1973. “The Origin of ‘Demokratia’.” *California Studies in Classical Antiquity* 6, 1973;
- Vlastos, Gregory. 2017. “Isonomia.” *The American Journal of Philology*. 74.4, 2017;
- ინტერნეტრესურსი: [http://www.etymonline.com/index.php?term=isonomia&allowed_in_frame=.](http://www.etymonline.com/index.php?term=isonomia&allowed_in_frame=)

Ancient Greece: Medical Metaphors in Ethics

Nino Chikhladze

Akaki Tsereteli State university
Kutaisi, Georgia
nino.chikhladze@atsu.edu.ge

This short article is just one preview of the vast use of medical metaphors in ethics. Human beings have often imagined and established what a good society should be like by borrowing medical metaphors, and to achieve this purpose they have often used medical metaphors to create representations capable of providing models, like utopias, which society should eventually match.

Keywords: Antiquity, philosophers, doctors, metaphors.

One of the reasons why medicine in Greek culture grew popular was its connection to philosophy: thanks to philosophy, medicine reached a clear understanding of its own purpose and methods, and worked out the classical expression of its own particular conception of knowledge.

Greek medicine had two aims: curing diseases and preserving health. While the former principally concerned knowledge of causes and effects, and the most appropriate remedies to restore bodily homeostasis, the latter essentially concerned people's education – since we need good habits to preserve sound health. “Caring for oneself” (*epimeleia heautou*) is the *conditio sine qua non* for being healthy. Such caring can be oriented inwards or outwards: in the former case, it is aimed at the attainment of peace of mind (*ataraxia*) by increasing knowledge and wisdom; in the latter, it is designed to avoid physical suffering by satisfying primary needs such as accommodation, food, and clothing and by curing diseases. From this perspective, illness is conceived as a privation of health (physical suffering) and a lack of self-care (absence of inner peace). The state of agitation that impedes inner peace is caused by fear, which is in turn triggered by false opinions and beliefs, such for example the proportion “so life is richness as death is poverty”. These false metaphors urge people to seek wealth and to fear the loss of it.

Proportion, symmetry and balance are markers of good health, while disproportion, asymmetry, disequilibrium, and inequality denote a state of poor health. For this reason, ancient Greeks could read, carved in the stone of Apollo's temple in Delphi. The connection that stitches medicine and ethics together about the concept of *metron* is clear: any person who acts by exceeding commits *hybris* which will, in turn, unleash catastrophic outcomes. In medicine, this is the case

of the patient who disobeys the principles of a diet based on moderation, self-care, and the harmonious balance of mind and body, abuses drinking and overeat. In ethics, this is the case of that who acts by following *hybris* with disregard for the fundamental principles of the good life or *eudaimonia*, and consequently lives by indulging in one's own inclinations without restraint.

The metaphor of isonomy. The metaphor of isonomy first appeared in the Athenian reforms of Clisthenes in 508 BC. Clisthenes significantly modified the political organization of the polis and inaugurated the democratic period based on the concept of isonomy, which, according to Herodotus, means government of the masses "in the most positive way by the characteristic devices of the democratic constitution: election by lot, the audit of public officials, the power of the assembly to discuss and decide all questions of public policy."

According to Alcmaeon, a great deal of indefinite active principles or qualities exist in the body. In a state of good health or normality, they form a homogeneous and harmonious (*isonomia*) compound called *krasis*. The disease spreads because of the loss of such equilibrium as the effect of the pathological supremacy (*monarchia*) of one single principle upon the others, which could be caused by internal as well as external factors.

The proportion deriving from these connections metaphorically determines that health corresponds to democracy and that illness corresponds to monarchy. Like in the body, where health means a good balance among the organs, in politics good health or democracy exists when all social parts coexist in equilibrium.

The metaphor of adulation. The metaphor of adulation represents one of the most dangerous threats to the health of the individual and society. According to Plato, adulation produces both corruption in politics and illness in the body. Plato refers to medicine in all his writings and one can therefore say that "among the arts (*technai*) that served as models for the thought of Socrates and Plato, medicine occupied a considerable position." Plato wrote the *Republic* by starting with the observation of his society, which was a sick *polis* where moral degradation was spiralling out of control. In book VII 544c, Plato starts with the premise that the city is sick, which urges the philosopher to investigate the symptoms and understand the causes of such a disease, as well as to find the cure to restore its health.

The most important references related to the topic of this article belong to the first period of Plato's production, the so-called early dialogues such as *Charmides*, *Crito*, *Gorgias*, and *Laches*. In *Charmides*, Plato distinguishes charlatans from doctors by stating that the only medicine worth being called the science of health (165c) is that of Hippocrates. In *Gorgias*, Plato challenges through Socrates Gorgias's claim for the supremacy of rhetoric over medicine. Gorgias states that

“many and many a time has I gone with my brother or other doctors to visit one of their patients, and found him unwilling either to take medicine or submit to the surgeon’s knife or cautery; and when the doctor failed to persuade him I succeeded, by no other art than that of rhetoric” (456b). This means that to convince patients about what they ought to do to get better the orator is more effective – although he lacks medical knowledge – than the doctor. Socrates, conversely, affirms that rhetoric, in medicine as well as in politics, is not a science but only a way of producing pleasure through adulation. To Socrates, politics is the art of the soul while medicine and gymnastic are the arts of the body. Therefore, the adulation that corrupts knowledge and produces imbalance and social and physical maladies, is cookery in medicine and rhetoric in politics.

This short article is just one preview of the vast use of medical metaphors in ethics. Human beings have often imagined and established what a good society should be like by borrowing medical metaphors, and to achieve this purpose they have often used medical metaphors to create representations capable of providing models, like utopias, which society should match.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ლიტერატურული ონტოტექსტოლოგია - გივი მარგველაშვილის
მინიატურები

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
guranda.gobiani@unik.edu.ge

ნებისმიერი მეცნიერება, მათ შორის ონტოლოგია გარე სამყაროს რეალობის პოსტულირებას ახდენს. ონტოლოგია ეს არის ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების, ანუ არსებობის, არსის შესახებ. ლიტერატურული ონტოტექსტი, ე.წ. ლიტერატურული „თამაში“, პოსტმოდერნისტული პარადიგმის განუყოფელი ელემენტია, რომლის ცენტრში დგას თემა, სიუჟეტი რეალური პერსონაჟებით, ყოფითი ამბებით, ცხოვრებისეული გამოწვევებით და დეკონსტრუქციული ტექსტებით. რეალობის პოლივარიანტულობა, ექსპერიმენტულობა, კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქცია, ტექსტის კონსტრუქციასთან თამაში და ონტოტექსტი წარმოადგენს სწორედ თანამედროვე გერმანულენოვანი ქართველი მწერლის, გივი მარგველაშვილის შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ღერძს. თავისი მინიატურებით, გამონაგონისა და სინამდვილის, ილუზიურისა და რეალურის ონტოლოგიური აღრევის საფუძველზე, ერთგვარი პოსტმოდერნისტული სიმულაციით, მარგველაშვილი უაღრესად საინტერესო და ექსპერიმენტულ ტექსტს ქმნის, რომელსაც საკმაოდ ვრცელ და მრავალფეროვან ინტერტექსტუალურ სამყაროში გადავყავართ. მარგველაშვილის ონტოლიტერატურის თემატიკა (თემა) ლიტერატურული პერსონაჟების ცოცხალი სახეებია, რომლებიც ახლა, ამ მომენტში, აწმყოში არსებობენ და ბედისწერის (სიუჟეტის) ჩარხის წაღმა დატრიალებას ლამობენ, რათა წიგნის სამყაროში, ლიტერატურულ „თამაშში“ მაინც დააბრუნონ ის დაკარგული „სილაღე“, რომლისგანაც დიდი ხანია დაცლილია ჭეშმარიტი, რეალური ყოფა. წიგნის სამყაროს კანონების მიხედვით, ეს შესაძლებელია, რადგან, მწერლის აზრით, სამყარო წიგნისმიერი განზომილებაა და მათ კი სწორედ მკითხველი ანუ წაკითხვა ანიჭებთ სინამდვილის და სიცოცხლისუნარიანობის განცდას. ამიტომაც ცდილობს ავტორი შეაფხიზლოს მკითხველი თავისი „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედურით.“

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული ონტოტექსტოლოგია, პოსტმოდერნიზმი, ტექსტის დეკონსტრუქცია, ინტერმედიალური ელემენტები.

გ. გობიანი

ნებისმიერი მეცნიერება, მათ შორის, ონტოლოგია გარე სამყაროს რეალობის პოსტულირებას ახდენს. ონტოლოგია ეს არის ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების, ანუ არსებობის, არსის შესახებ, რომელიც განსხვავებით გნოსეოლოგიისა (რომელიც სწავლობს შემეცნებას) იკვლევს მოვლენებს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერების გათვალისწინებით. ობიექტური დამოუკიდებელს, თავისთავადს, თვითმყოფადს ნიშნავს, რაც არსების, ყოფის ფუნდამენტური ნიშანია. ტერმინი „ონტოლოგია“ პირველად რ. გოკლენიუსმა (1613) იხმარა იმ მეცნიერების აღსანიშნავად, რომელიც არსის უზოგადეს კანონებს სწავლობს, ხოლო უფრო გვიან კრ. ვოლფმა დამისმა მოწაფეებმა განავითარეს და მეტაფიზიკის ერთ-ერთ ნაწილად გამოაცხადეს ფსიქოლოგიის, კოსმოლოგიისა და ბუნებრივი თეოლოგიის გვერდით, თუმცა ხაზი გაუსვეს ონტოლოგიის უპირატეს ღირებულებას. ისტორიულად კი ამ ფილოსოფიური მეცნიერების ავტორად არისტოტელეს მიიჩნევენ, რომელიც წერდა: „არის ისეთი მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც ასეთს, და იმას, რაც მას თავისთავად აქვს“¹. ონტოლოგიას არისტოტელე „პირველ სიბრძნეს“, ხოლო ვოლფი „პირველ ფილოსოფიას“ უწოდებს (ავალიანი 2007:4).

ლიტერატურული ონტოტექსტი ე. წ. ლიტერატურული „თამაშის“ ორგანულ ნაწილად მოიაზრება სპეციფიკური, ესთეტიკური საშუალებებით და პოსტმოდერნისტული პარადიგმის განუყოფელ პოსტულატს შეადგენს, რომლის ცენტრში დგას თემა, სიუჟეტი რეალური პერსონაჟებით, ყოფითი ამბებით, ცხოვრებისეული გამოწვევებით და დეკონსტრუქციული ტექსტებით. მთავარი და არსებითი არის „ტექსტი“ - „სამყარო როგორც ტექსტი“ და „ცნობიერება, როგორც ტექსტი“. თავისუფლება „თამაშში“ პოსტმოდერნიზმის მთავარი „იარაღია“. მწერალი სრულიად განსხვავებულ, თავისუფალ „სივრცეშია“ მოქცეული. ტრადიციული ფორმების ნგრევა, ციტატურობა, ინტერტექსტუალურობა, ტექსტის დეკონსტრუქცია, მორალთან დაკავშირებული მარგინალურობის გამოვლენა, კანონების უარყოფა, ირონია, ზედაპირულობა, რეალობის პოლივარიანტულობა - პოსტმოდერნიზმის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებია. სწორედ რეალობის პოლივარიანტულობა, ექსპერიმენტულობა, კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქცია, ტექსტის კონსტრუქციასთან თამაში და ონტოტექსტი წარმოადგენს თანამედროვე გერმანულენოვანი ქართველი მწერლის, გივი მარველაშვილის შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ღერძს და ერთგვარ ნიშანს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული პოსტმოდერნიზმის განვითარებაში და სერიოზული კვალი დატოვა ინტერკულტურული ლიტერატურული კომუნიკაციის

¹ არისტოტელე, მეტაფიზიკა, 1003 a, 21-32 aristotele, metafizika, 1003 a, 21-32.

გადრმავეების სფეროში.

ემიგრანტი მწერლის ბიოგრაფია ისეთივე არაორდინალურია, როგორც მისი მხატვრული პროდუქტი. დაიბადა ბერლინში, 1927 წელს, ქართველი ემიგრანტის, ტიტე მარგველაშვილის ოჯახში. 1946 წელს მამ-შვილი საბჭოთა კავშირის საიდუმლო სამსახურმა დააპატიმრა და ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსა. ტიტე მარგველაშვილი დახვრიტეს, ხოლო გივი მარგველაშვილი საქართველოში ჩამოიყვანეს და ნება დართეს თბილისში თავის ნათესავებთან ეცხოვრა. მარგველაშვილმა დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი. შემდეგ იგი მუშაობდა იქვე გერმანული ენის მასწავლებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში — მეცნიერ თანამშრომლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში გივი მარგველაშვილი წერდა რომანებს, მოთხრობებსა და პიესებს გერმანულ ენაზე, თუმცა არც ერთი მისი ნაწარმოები არ დაბეჭდილა. როგორც მარგველაშვილის მეუღლე, მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი ნაირა გელაშვილი აღნიშნავს: „ბედისწერას ენება, რომ მისი აურაცხელი ლიტერატურული ნოვაციები და ექსპერიმენტები, ისევე როგორც მისი უზარმაზარი ფილოსოფიური და ლინგვისტური ნაღვაწი 1990 წლამდე თბილისის ერთოთახიანი ბინის სივიწროვესა და საკუთარი უჯრების სიბნელეში დარჩენილიყო“ (მარგველაშვილი 2018:8). გივი მარგველაშვილმა მხოლოდ 80-იან წლებში მოახერხა კვლავ ჩასულიყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საიდანაც დაიწყო მისი აღმავლობა და პოპულარიზაცია. 1991–1992 წლებში გერმანიაში გამოქვეყნდა გ. მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის, „კაპიტანი ვაკუმის“, 2 ტომი (პირველი ტომი თარგმნილია ქართულად კარლო ჯორჯანელის მიერ), აგრეთვე რომანები „მუცალი“ (ქართულად თარგმნა მაია ბადრიძემ), „დიდი კორექტურა“, პროზაული კრებულები „გადაუგდებელი ხელთათმანი“, „სიცოცხლე ონტოტექსტში“. მწერალი ერთბაშად იქნა აღიარებული თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო შემოქმედად, მასზე გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი გერმანიის ტელევიზიაში, იგი მიწვეულ იქნა გერსვაილერის „ქალაქის მწერლად“ გერმანიაში, ხოლო მოგვიანებით ლექციების საკითხავად გერმანიისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. გივი მარგველაშვილი ცნობილია, აგრეთვე, როგორც ფილოსოფოსი, გერმანული ეგზისტენციალიზმის აღიარებული სპეციალისტი. მას სიცოცხლეშივე მიღებული აქვს უამრავი ჯილდო და პრემია დამსახურებისთვის. გარდაიცვალა 2020 წლის 13 მარტს, 92 წლის ასაკში. დაკრძალულია მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გივი მარგველაშვილის თხზულებათა გამოცემა, როგორც ზემოთ

გ. გობიანი

აღვნიშნეთ, გერმანიაში მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო, შესაბამისად, მისი ტექსტების ლიტერატურულ-კრიტიკული რეცეფცია, რომლებიც ძირითადად შემოიფარგლება ცალკეულ ნაწარმოებთან დაკავშირებული გერმანულენოვანი რეცენზიებით, 1990-იანი და 2000-იანი წლებით თარიღდება და გერმანიის ინტერკულტურულ ლიტერატურათა ტოპოგრაფიაში ემიგრანტ მწერალთა იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომლებმაც გერმანიაში გაიარეს სოციალიზაცია და შედეგად გერმანული ენა მათ მშობლიურ ენად იქცა. ის განეკუთვნება ეთნო-კულტურულ უმცირესობას ქართულ სივრცეში და, სხვა გერმანულ-ქართული მწერლების მსგავსად, თავის ნაწარმოებებს ქმნის სწორედ გერმანელი (გერმანულენოვანი) მკითხველისთვის (დობორჯგინიძე და სხვ. 2019: 36). ფაქტობრივად, მარგველაშვილის იდენტობა, მისი ბიოგრაფიული ქარტეხილებიდან გამომდინარე, არც გერმანულია და არც ქართული და როგორც ფილოსოფოსი გივი ზედანია აფასებს, მას აქვს 'დეფისის იდენტობა' ანუ იდენტობა, რომელსაც გერმანულ-ქართული ეწოდება¹. მისთვის ერთადერთ თავშესაფრად და შინაგანი ემიგრაციის სამყაროდ სწორედ ლიტერატურა იქცა. ასე, რომ გივი მარგველაშვილის ბიოგრაფია და მწერლობა ერთ მთლიან ონტოტექსტად შეიძლება იქნეს მოაზრებული, ხოლო უცხო გარემოში „ჩაგდებულობა“ მისი ცხოვრებისა და მისი ლიტერატურული ტექსტების მთავარ თემად.

„წიგნისა და ლექსის სამყაროს უბნებში ბედისწერის დარტყმათა მოგერიების ონტოტექსტოლოგიური მცდელობანი“ - ასე განმარტავს გერმანულენოვანი ქართველი მწერალი - გივი მარგველაშვილი - თავის პროზაულ-პოეტური მინიატურების დატვირთვას და, როგორც ნაირა გელაშვილი აღნიშნავს, სწორედ ასეა ფორმულირებული მისი მინიატურათა კრებულის ქვესათაური, რომელიც 1992 წელს გამოიცა ბერლინში სახელწოდებით „Der ungevorfene Handschuh“ (არნასროლი/ გაუსროლელი ხელთათმანი) (მარგველაშვილი 2018: 9), ხოლო 1998 წელს უკვე საქართველოში, გამომცემლობა „კავკასიურმა სახლმა“, ნაირა გელაშვილის წინასიტყვაობით რუსულ ენაზე გამოსცა მარგველაშვილის მინიატურები, სახელწოდებით - „Я книжный персонаж“, მოგვიანებით, იმავე გამომცემლობამ, 2006 წელს, ისევ ნაირა გელაშვილის წინასიტყვაობით, ქართულ ენაზე (თარგმანი ეკუთვნის ნაირა გელაშვილს) სახელწოდებით - „მეწიგნის გმირივარ“. 2018 წელს მინიატურათა კრებული მეორედ გამოიცა გამომცემლობა „ალონის“ მიერ, რომელსაც ახლავს ნაირა გელაშვილის ორივე წინასიტყვაობა. სწორედ აღნიშნული მცირე ზომის

¹ ბიძინა რამიშვილი, „გივი მარგველაშვილი 85 წლის გახდა“, 2012 წელი 21 დეკემბერი, რადიო თავისუფლება <https://www.radiotavisupleba.ge/a/giwi-margvelaschwili-85/24805647.html> (7.05.2021)

მინიატურების კრებული გახდა ჩვენი კვლევის ინსპირაცია, რომელშიც მარგველაშვილის ურიცხვი მინიატურებიდან მხოლოდ რამდენიმე, კერძოდ, 55-მდე ტექსტია შესული, თუმცა ეს რაოდენობაც სავსებით საკმარისია მკითხველი „შიტყუოს“ თავის ონტოტექსტოლოგიურ „მარშრუტში“ და ხან ტექსტებში გამომწვევდელ პერსონაჟად და ხანაც „წიგნის სამყაროს სამმართველოს მუშაკად“ აგრძნობინოს თავი.

ტექსტი მარგველაშვილის ლიტერატურული პროდუქციის ბირთვია: „დაწერილი ტექსტები (წიგნები) ხშირად სხვა ტექსტებს: რეალურ ისტორიას, ადამიანთა ბედისწერას, კაცობრიობის გზას განსაზღვრავს (მაგ. „წმინა წერილი“ , ან მაქსის „კაპიტალი“ , ან ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“). ადამიანი სამყაროში, ისტორიაში, ქვეყანაში - ეს არის „ტექსტი ტექსტში“. ისტორია და ყოფიერება ტექსტების ურთიერთზეგავლენაა, ერთმანეთთან ბრძოლა თუ კავშირი (მარგველაშვილი 2018: 10). მარგველაშვილისთვის ხელოვნების ნიმუშზე საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტექსტი შინაარსზე დომინირებს, მისთვის აზრის საგნისადმი მიახლოების საშუალება მხოლოდ ტექსტია.¹

უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტის კონტრუქციასთან თამაშით, მინიშნების ტექნიკით, თხრობის ფრაგმენტულობით თუ ციტატური აზროვნებით, რომლებიც არა მხოლოდ მისი პროზაულ-პოეტური მინიატურების, არამედ მთელი მისი ლიტერატურული შემოქმედების დამახასიათებელი ნიშნებია, მარგველაშვილი გამიზნულად ინტელექტუალურ მკითხველს გულისხმობს. თუმცა, ხშირად, თხრობის მანერით, ბიბლიური ნარატივით, უხვად მოსაუბრე გაცოცხლებური წიგნის გმირების გახსნილობით, ერთი შეხედვით მარტივი სიუჟეტებითა და რეალობის გაქრობით თითქოს ზღაპრების მწერლსაც ემსგავსება. სწორედ ამაშია მისი გენიალურობა, მარგველაშვილის სტილი, როგორც მისი გერმანელი მეგობარი შტეფან ვაკვიცი აღნიშნავს თავის მოგონებაში სავსებით მიგნებულად, ერთვარი ნაზავია ბავშვობისა და ჰიპერინტელექტუალობის.²

ონტოტექსტის ცენტრალური ნაწილი თემაა, მარგველაშვილის ონტოლიტერატურის თემატიკა (თემი) ლიტერატურული პერსონაჟების ცოცხალი სახეებია, რომლებიც ახლა, ამ მომენტში, აწმყოში არსებობენ და ბედისწერის (სიუჟეტის) ჩარხის წაღმა გადატრიალებას ლამობენ, რათა წიგნის სამყაროში, ლიტერატურულ „თამაშში“ მაინც დააბრუნონ ის

¹ ინტერვიუ გ. მარგველაშვილთან ჩაწერილია 2008 წელს და დაიბეჭდა ჟურნალში „ein BLICK Georgien“. ინტერვიუს უძღვებოდნენ მარიკა ლაფაური და ფრანკ ტრემელი. 2013 წელს სრული ინტერვიუ ქართულად სათაურით „გივი მარგველაშვილის ლიტერატურული თამაშები“ გამოქვეყნდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალში „არილი“ <http://arilimag.ge/> (10.05.2021),

² შ. ვაკვიცი „გივი მარგველაშვილის მოგონება“, თარგმნა ნათია მიქელაძე-ბახსოლინმა, სტატია დაიბეჭდა 2020 წლის 13 მარტს და გამოქვეყნებულია გოეთეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: <https://www.goethe.de/ins/ge/ka/kul/mag/giw.html> (15.05.2021),

გ. გობიანი

დაკარგული „სილაღე“, რომლისგანაც დიდი ხანია დაცლილია ჭეშმარიტი, რეალური ყოფა. წიგნის სამყაროს კანონების მიხედვით ეს შესაძლებელია, რადგან მწერლის აზრით სამყარო წიგნისმიერი განზომილებაა და მათ კი სწორედ მკითხველი ანუ წაკითხვა ანიჭებთ სინამდვილის და სიცოცხლისუნარანობის განცდას. ამიტომაც მიმართავს ავტორი მკითხველს დაცდილობს შეაფხიზლოს თავისი „ონტოკონტექსტოლოგიური საყვედურით“: „მე ხომ ვარ ქმნილი შენი ნეკნიდან, ფორმადქვეული შენი ტექსტიდან: ამოზრდილი ვარ მასალიდა შენი სიცოცხლის... გამაგებინე: რატომ არ მკითხულობ რატომ არ გიყვარვარ?“ (მარგველაშვილი 2018: 55). სანამ მიჯნური (მკითხველი) ყავს რაინდის გულს, რომელმაც სასახლის მსახურთუხუცესის პერგამენტის ნაგლეჯზე წააწერა „აი, აქ ამაშია ჩემი გული და მშვიდობით იყავ!“ და ქალს ეჩვენება, რომ თუკი თავს ძალიან დახრის მისკენ, გულის ძგერასაც გაიგონებს, ის ცოცხალია და არაფერი დაემართება („რაინდის შეხვეული გული“, მარგველაშვილი 2018: 77). ლექსის სამყაროს მებაღეებსაც იგივე სადარდებელი აქვთ, ისინი წუხან, რომ ცნობილ პოეტთა ძვრიფასმა ყვავილებმა ჭკნობა დაიწყეს და მთელ ამ ყვავილნარს, მკითხველმწყურებულ ფლორას, რომელიც ტექსტის ანუ საკითხავი მასალისაა, წაკითხვა სჭირდება, რათა იცოცხლოს, მათ სწორედ მკითხველის ჩრდილი ასულდგმულებთ („მკითხელის ცხოველმყოფელი ჩრდილი“) (მარგველაშვილი 2018: 49), რომელიც ლექსის მშვენიერ და ეკლიან ვარდს მოიქცევს თბილ ხელისგულებში, ვიდრე ეკალი ღრმად არ ჩააღწევს მკითხელის ხორცში, ვიდრე თბილი და ნამდვილი სისხლი არ გადმოსჩქებს ხელისგულებიდან... („კეთილი რჩევები მოწამეობის მოწადინე მკითხველებსთვის“, მარგველაშვილი 2018: 63). გაჩერებულ პოეტურ „კარეტაზე“ ისევ ჰკიდია პლაკატი წარწერით: „ვეძებთ მკითხველებს თანამგზავრად - როგორც ძალას ჩვენი ლირიკული ცხენებისა და სიცოცხლისთვის“ („პოეტური კარეტის მამომრავებელი ძალა“, მარგველაშვილი 2018: 98). როგორც ვხედავთ, მწერლის თავისუფალ „სივრცეში“ პერფორმანსი იქცევა ყოფის, არსებობის დეკანონიზაციის საშუალებად, სადაც ტექსტი მკითხველია და რეალურ სამყარო - ავტორი. ამით მარგველაშვილი ერთგვარ კონსტრუირებას ახდენს ობიექტური რეალობისას და ავასცენაზე შეჰყავს მკითხველი, როგორც მოქმედი გმირი.

ემიგრანტი მწერლის „ონტოტექსტოლოგიური მცდელობების“ წყარო კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციაა, რომელშიც შედის როგორც ბიბლიური ნარატივი („ისააკის გაქცევა ბეთლემში“; „განდევნა დროიდან, როგორც ეს წმინდა წერილშია აღწერილი“; „წიგნის გმირის დროული გადასახლება“; „აღქმის ჯვარზე“; „თავისიანებს ჩამორჩენილი ანგელოზი“...) ასევე ქართული და ევროპული თემატიკა („ასე დასრულდა შეყვარებულ მცენარეთა ტანჯვა-წამება“; „სამძო სასაფლაო“; „იხსენით

არწივი“; „სარკმელი სურათში“, „ჰამლეტის ყოფნა თუ არყოფნა“; „წერილი ტროას ცხენი“...). შესაბამისად, მის მხატვრულ პროდუქციაში უცხო ელემენტები არის როგორც ლიტერატურული წარმოშობის, ასევე სხვა ფიქციონალური სისტემიდან (მაგ. სახვითი ხელოვნება) და ფაქტუალური ყოფითი ტექსტებიდან და განეკუთვნება ფსევდო-ინტერტექსტუალობის სფეროს, სადაც ტექსტებს შორის კავშირი უბრალო პოსტმოდერნისტული სიმულაციაა, რაც ეხმარება ავტორს კეთილშობილური „მისიის“ შესრულებაში - მხსნელად მოველინოს თემებსა და სიუჟეტებში სამუდამოდ დატყვევებულ ტექსტების პერსონაჟებს თავი დაახწიონ ბედისწერის ფატალურობას და ცოტა ხნით მაინც გათავისუფლდნენ ობიექტური რეალობის მარწუხებისგან. სწორედ ამ მიზნით შემოდის მარგველაშვილის შემოქმედებაში უცნაური ორგანიზაცია - წიგნის/ლექსის/ტექსტის სამყაროს სამმართველო, რომლის მუშაკებიც თანამზრად არიან დაქსაქსულნი მის მოთხრობებში, რომანებში, მინიატურებსა თუ ლექსებში და სხვადასხვა ხერხითა და საშუალებებით ამოყავთ ორ ყდას შორის მოქცეული წიგნის გმირები სხვა, ახალ, მათთვის სავსებით უცხო და ბევრად სასურველ ყოფაში. როგორც მწერლის მეგობარი შტეფან ვაკვიცი აღნიშნავს, გ. მარგველაშვილის იდეები და ლიტერატურული ფიგურები



პიკასო „პაემანი“. ნახატ მამაკაცს ნახატი ქალი ჩაუკრავს გულში. კაცი, მამალივით რომ აფოფრილა, ნაზ ქალს ისრუტავს ძლიერ ამბორში. თითქოს ბრჭყალებში მოუქცევია ნახატი ქალის თბილი სხეული. თეთრი, უმკლავებო (და ასე ძვირფასი შიგთავსის შემცველი) პერანგი გაბერილა და აფრასავით ლივლივებს მამაკაცის ულურჯეს პიჯაკზე და კაცის ფეხები ღია ჭიშკარივით დგანან მეწამული მოსასხამის ირგვლივ, ქალს რომ წამოუსხამს (მარგველაშვილი 2018: 107).

გ. გობიანი

მართლაც აწმყოში არსებობენ და ნატურალიზმის მისეულ ფორმას ქმნიან, ალბათ იმიტომ, რომ მისთვის ლიტერატურა და ფილოსოფია მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანურადაც უფრო ახლო იყვნენ, ვიდრე ის სოციალური გარემო, რომელშიც გასული საუკუნის მოვლენებმა იძულებით გადმოისროლეს.

მარგველაშვილის ონტოტექსტოლოგია შეიცავს ინტერმედიალურ ელემენტებს, რაც, სიუჟეტის სიმულაციისა და თემატიკების საშუალებით, კიდევ უფრო მრავალფეროვანს და უცნაურს ხდის მწერლის თავისუფალ „წიგნისმიერ სამყაროს“. ამ თვალსაზრისით კვლევის სამიზნე ტექსტად ავიღეთ მინიატურა „სარკმელი სურათში“, სადაც უცხო ელემენტი სახვითი ხელოვნებიდან არის ნასესხები, კერძოდ, პრეტექსტი არის პიკასოს ცნობილი ნახატი „პაემანი“, რომელიც გენიალურმა მხატვარმა 1900 წელს, შემოქმედების ე. წ. „ლურჯ“ პერიოდში შექმნა და შემდეგ ეს თემატიკა არაერთხელ გამოიყენა თავის შემოქმედებაში. მინიატურის ავტორი ტილოზე მინიშნებით და იმიტირებით ცდილობს გადმოსცეს უხილავი და გრძნობით მიუწვდომელი განცდები, რასაც შეიძლება პერსონაჟები განიცდიდნენ და გრძნობდნენ. მარგველაშვილი პერფორმანსისა და რეფერენსის გამოყენებით ფენოტექსტში ქმნის ერთგვარ მაგიურ რეალობას, რითაც განპირობებულია სწორედ ავტორის არჩევანი - პროზაულ ტექსტში შეიტანოს სხვა მედიიდან, კერძოდ, კლასიკური მხატვრობიდან აღებული კონკრეტული ელემენტი - „სატრფიალო ჩახუტება“.

ტექსტის სათაური - „სარკმელი სურათში“ უკვე მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ონტოტექსტთან. „ნახატი სამყაროს სამმართველოს მუშაკები“ სწორედ სურათში დარჩენილი პატარა სარკმლის საშუალებით ახერხებენ ჩუმად შესვლას ცნობილ ნახატში და კლასიკური სიუჟეტის „ამოყირავებას“. ტექსტი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი ნატურალისტური სიზუსტით, დეტალურად აღწერს სურათს. „ეს პიკასოა. ამას გვაუწყებს იქაურობის აბსტრაქტული უბრალობა“ (მარგველაშვილი 2018: 107). ამ სიტყვებით იწყებს ავტორი თავის მინიატურას და შემდეგ უკვე ცდილობს სწორედ იმ სარკმლიდან, საიდანაც „სამმართველოს მუშაკები“ ნახატის გმირების დროებით გათავისუფლებას ახერხებენ, მკითხველიც „შეაპაროს“. მარგველაშვილის თვალით დახატული ნახატის რეალობა ასეთია: აქ დგას მხოლოდ ის ნივთები, რაც სატრფიალო ჩახუტებას სჭირდება და სხვა არაფერი - საწოლი და სკამი, სადაც მოხვევის შემდეგ შეუძლიათ სამოსი დააწყონ.

ნახატი მამაკაცის და ნახატი ქალის იდუმალი, ვნებიანი ჩახუტება 1900 წლიდან მოყოლებული გრძელდება დღემდე და ასე გაგრძელდება სამარადისოდ, რადგან „ყოველთვის როდია ადვილი უკვე დადგენილი, მით უფრო დიადი ტექსტების პერსონაჟთა დაყოლიება, რათა ისინი უკვე

დაწერილის (ანუ: საკუთარი სიუჟეტის და თემის) წინააღმდეგ მოიქცნენ, რათა თავიდან აირიდონ ბედისწერის დარტყმა თუ მუდმივი წნეხი“ (მარგველაშვილი 2018: 10). მინიატურის პირველი ნაწილი სრულდება რიტორიკული შეკითხვით, რომელიც კითხვასაც შეიცავს თავის თავში და მძაფრ ემოციურ „პროტესტსაც“ - შესაძლებელია ასეთ ვნებიან მოხვევაში გაატარო ამდენი ხანი?! და თან ერთმანეთს ვერ მოსცილდებიან, სულს ვერ მოითქვამენ, ვერც დაისვენებენ - პასუხი მინიატურის ტექსტის მეორე ნაწილში იკითხება.

ფატალური ტექსტების ფარული რეფორმატორები სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან. მათ უნდა მოახერხონ „მოხვევის“ ნახატ ფანჯრის დახურვა და სამარადისოდ „ჩახუტებული“ პერსონაჟების დროებით გათავისუფლება. „და აი, შვების ოხვრა გაისმის, წარმოუდგენელი სიხარულის გამომხატველი, და ისინი ერთმანეთს სცილდებიან.... თურმე რა ლამაზი სახეები ჰქონიათ“- ვკითხულობთ ტექსტში. ავტორს მეტი დამაჯერებლობისა და რეალობის განცდისთვის მინიატურაში კონკრეტული პერსონაჟიც შემოჰყავს, ნახატი სამყაროს სამმართველოს ერთ-ერთი მუშაკი - ვატო- რომელსაც შამპანურით და ბუტერბროტებით „დამძიმებული“ ლანგარი შემოაქვს მარადიული სატრფიალო ჩახუტებით დაქანცული წყვილისთვის. თუმცა, მათთვის თავისუფლების ეს საოცარი განცდა მხოლოდ დროებითია და ხანმოკლე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი „სასიყვარულო ჩახუტება მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ჩახუტებაა: პიკასოს ეკუთვნის“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გივი მარგველაშვილი თავისი მინიატურებით, გამონაგონისა და სინამდვილის, ილუზიურისა და რეალურის ონტოლოგიური აღრევის საფუძველზე, ერთგვარი პოსტმოდერნისტული სიმულაციით, უაღრესად საინტერესო და ექსპერიმენტულ ტექსტს ქმნის, რომელსაც საკმაოდ ვრცელ და მრავალფეროვან ინტერტექსტუალურ სამყაროში გადავყავართ. მინიატურების პერსონაჟები, ისევე, როგორც მისი ყველა ლიტერატურული ტექსტის გმირი, შველას ითხოვენ. მათ აღარ სურთ „დახურულ ნახატში/წიგნში“ ცხოვრება, სული ეხუთებათ და ნამდვილ შემფასებელს/მკითხველს ელოდებიან, რათა გათავისუფლდნენ ჩაკეტილი თემიდან/სივრციდან, „მჭიდრო და გაუვალი ჭილოფიდან“ (მარგველაშვილი, 2018:75) და ადამიანებმა/პერსონაჟებმა რეალურ ცხოვრებაში თუ ვერა, ტექსტებში მაინც შეძლონ ლიტერატურული „თამაშის“ საშუალებით სასურველი ყოფის, არსის დანახვა, რაც სამყაროს, მწერლის აზრით, მეტ სილადეს და სინამდვილის განცდას შესძენს. სწორედ ეს არის, საბოლოო ჯამში, გივი მარგველაშვილის „ონტოკონტექსტოლოგიური მცდელობების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სიღრმისეული დატვირთვა, რაც ასე ფასეულია,

გ. გობიანი

როგორც ქართული ისე გერმანული ლიტერატურათმცოდნეობისათვის და, ზოგადად, ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობებისათვის.

ლიტერატურა

ავალიანი, ს. 2007. *თეორიული ფილოსოფია*. თბილისი: „უნივერსალი“. არისტოტელე. 1964. *მეტაფიზიკა*. მთარგმნელი თამარ კუკავა. თბილისი: გამომცემლობა „ნიკომაქე“.

გაფრინდაშვილი, ნ. 2012. *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: „მერიდიანი“.

გაფრინდაშვილი, ნ, სიმონიშვილი, მ, აფციაური, ნ., 2021. „გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი".

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/10/95> (04.05.2021).

დობორჯგინიძე, ნ. ცაგარელი, ლ. რაისნერი, ო. ქავთარაძე, გ. 2019. *ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მალაზონია, დ. მალლაკელიძე, შ. ჭიაბრიშვილი, ნ. გახელაძე, გ. 2016. *ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მარგველაშვილი, გ. 2018. *მეწიგნის გმირი ვარ, მინიატურები*. ქართული გამოცემა. თბილისი: შპს „ალონი“.

ცაგარელი, ლ. 2008. „ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალობის სიგნალი“. სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“. N3, 2008.

Margwelaschvili, G. 1992. *Der ungevorfene Handschuh*. Berlin.

Literature and Literary Theory

Literary Ontotextology - Miniatures of Givi Margvelashvili

Guranda Gobiani

Kutaisi University
Kutaisi, Georgia
guranda.gobiani@unik.edu.ge

Any science, including ontology, postulates the reality of the external world. Ontology is a philosophical doctrine about the essence of life, or existence. Literary ontotext, i.e. the so-called literary “game” is an integral element of the postmodernist paradigm, centered on a theme, a story with real characters, everyday events, life challenges, and deconstructive texts. The polyvariance of reality, experimentation, deconstruction of classical texts, playing with text construction and ontotext are the main driving force of the work of the modern German-speaking Georgian writer Givi Margvelashvili. With his miniatures, ontological confusion of fiction and reality, illusion and reality, with a kind of postmodernist simulation, Margvelashvili creates a highly interesting and experimental text, which transports us into a rather extensive and diverse intertextual world. The main themes of Margvelashvili's ontoliterature are living faces of literary characters who exist now, in the present moment, and are trying to turn the wheel of destiny (story) in the right direction in order to bring back the lost “merriness” at least in the world of books, from which the true, real existence has been emptied for a long time. According to the laws of the book world, this is possible because, in the writer's view, the world is a book-like dimension, and it is the reader or reading that give them a sense of reality and vitality. That is why the author tries to awaken the reader with his “oncontextological rebuke.”

Keywords: literary ontotextology, postmodernism, text deconstruction, intermediate elements.

Any science, including ontology, postulates the reality of the external world. Ontology is a philosophical doctrine about the essence of existence, which, unlike gnoseology (which studies cognition), studies events in terms of the regularity of objective reality.

Literary ontotext is considered an organic part of the so called literary “game” with its specific, aesthetic means and is an integral postulate of the postmodernist paradigm, which focuses on a theme, a story with real characters, everyday events, life challenges and deconstructive texts. The polyvariance of reality, experimentation, deconstruction of classical texts, playing with text construction

and ontotext are the main driving forces of the work of Givi Marvelashvili, a modern German-speaking Georgian writer, who made a significant contribution to the development of European postmodernism and left a serious mark in the field of deepening intercultural literary communication.

The publication of Givi Margvelashvili's works in Germany started only in the 90s and in fact, Margvelashvili's identity, due to his biographical gales, is neither German nor Georgian, and as the philosopher Givi Zedania puts it, he has a 'hyphen identity', that is an identity, which is called German-Georgian, 'his biography and writing can be thought of as a whole ontotext, and "throwing" into a foreign environment as the main theme of his life and his literary texts.

"Ontotextological attempts to repel the blows of fate in the regions of the world of books and verse" - this is how the German-speaking Georgian writer - Givi Margvelashvili - explains the load of his prose-poetic miniatures, and, as Naira Gelashvili points out, this is how the subtitle of his collection of miniatures was formulated, which was published in Berlin in 1992 under the title "Der ungevorfene Handschuh" ("The glove not thrown away") (Margvelashvili, 2018: 9), and in 1998, in Georgia, the publishing house "Caucasian House" published Margvelashvili's miniatures in Russian under the preface of Naira Gelashvili, entitled "Я книжный персонаж", later, in 2006, the same publishing house published it in Georgian with Naira Gelashvili's foreword (translation belongs to Naira Gelashvili) under the title – "I am the book hero". In 2018, the collection of miniatures was published for the second time by the publishing house "Aloni", accompanied by both forewords by Naira Gelashvili. The collection of these small miniatures became the inspiration for our research, which includes only a few of Margvelashvili's countless miniatures, in particular, up to 55 texts, but this number is enough for the reader to "to be lured" into his ontotextological "route" and make him feel either as a locked character of the texts or like "an employee of the book world division".

The source of the emigrant writer's "ontotextological attempts" is the deconstruction of classical texts, which includes a biblical narrative ("Isaac's escape to Bethlehem"; "Expulsion from time as described in the Holy Scripture"; "Timely relocation of the book hero"; "On the cross of perception"; "Backward Angel" ...) as well as Georgian and European themes ("This is how the suffering of plants in love ended"; "Brotherhood Cemetery"; "Save the eagle"; "A window in the picture"; "Hamlet's being or not being"; "A letter to Trojan Horse"...). Consequently, foreign elements in his artistic production are as from literary origin as other fictional systems (e.g.: fine arts) and actual everyday texts, and belong to the field of pseudo-intertextuality. In this regard, the target text of the study was the miniature "A Window in the Picture", where a foreign element is

borrowed from the fine arts, in particular, the pretext is Picasso's famous painting "Rendezvous", which was created by the genius artist in 1900 during the so-called "blue" period of his activity and then he used this theme many times in his work.

By means of hints and imitations of the canvas the author of the miniature tries to convey invisible and emotionally inaccessible feelings, which the characters may have been experiencing. Using performance and reference, Margvelashvili creates a kind of magical reality in the phenotext, which is the reason for the author's choice - to include in the prose text a specific element taken from other media, in particular, a specific element taken from classical painting – "amorous hugs".

The title of the text – "A Window in the picture" already indicates that we are dealing with ontotext. In the picture "The Workers of the World Division" they manage to enter the famous picture silently through the small window left in the picture and "turn over" the classic story. The text consists of two parts. The first part describes the picture in detail with naturalistic precision. "It's Picasso. This is shown by the abstract simplicity of the place" (Margvelashvili, 2018: 107). The author begins his miniature with these words, and then tries to "sneak in" the reader through the very window through which the "division workers" manage to temporarily release the characters of the picture. The reality of the painting seen from Margvelashvili's viewpoint is as follows: there are only those items that are needed for a hug and nothing else - a bed and a chair, where they can put clothes on after hugging.

The mysterious, passionate hugs of the man and the woman in the painting have been around since 1900 and will continue to be so forever, because "it is not always easy to persuade the characters of the already established, great texts to act against what is already written (i.e. against their own story and theme) to avoid the blow of fate or constant pressure". The first part of the miniature ends with a rhetorical question, which implies a question in itself and a strong emotional "protest" - is it possible to spend so much time in such a passionate hug?! And they cannot move away from each other, neither can they take their breath, no can they have a rest - the answer is read in the second part of the miniature text.

The hidden reformers of fatal texts face a serious problem. They have to manage to close the window of the "hug" picture and temporarily release the eternally "hugged" characters. "And now, a sigh of relief is heard, an expression of incredible joy, and they move away from each other... It turns out how beautiful faces they have had" - we read in the text. For more convincingness and a sense of reality, the author even introduces a real character in the miniature, one of the workers of the drawing 'World Division' - Vato - who brings in a tray "heavy"

with champagne and sandwiches for a couple tired of eternal hugs. However, for them, this amazing feeling of freedom is only temporary and short-lived, for the simple reason that their “love hug is a world-famous hug: it belongs to Picasso”.

Based on all the above, it should be noted that Givi Margvelashvili with his miniatures, on the basis of ontological confusion of invention and actuality, illusion and reality, with a kind of postmodernist simulation, creates a highly interesting and experimental text, which takes us into a fairly vast and diverse intertextual world.

The characters of the miniature, like the protagonist of all his literary texts, are asking for help. They no longer want to live in a “closed picture/book”, they suffocate and wait for the real evaluator/ reader to get rid of the closed topic/ space, “tight and impassable clutter” and in at least texts if not in real life people/ characters could be able to see the essence of the desired being through the literary “game”, which, in the writer's opinion, will give the world more merriness and a sense of reality. This is, after all, one of the most important and in-depth loads of Givi Margvelashvili's "ontocontextological attempts", which is so valuable for both Georgian and German literary studies and, in general, for Georgian-German cultural relations.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ალექსანდრე ყაზბეგის პროზა არავერბალური
სემიოტიკის კრილში

ნინო ღაღანიძე

კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
nghaghanidze@cu.edu.ge

სემიოტიკური ნიშნებით ალექსანდრე ყაზბეგი ღრმა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს და მაღალმხატვრულ ტექსტებს ქმნის და მისი შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის მთავარი მახასიათებელია. მკითხველამდის არავერბალური კომუნიკაციის ხერხებით მიდის და ეს საშუალებას იძლევა, რომ პერსონაჟსა და მკითხველს შუა არ ჩადგეს ავტორი. სტატიაში წარმოდგენილი მასალა კარგად გვიჩვენებს, რამდენად მდიდარი და მრავალფეროვანია ალ. ყაზბეგის არავერბალური სემიოტიკა, რაც მწერლის შემოქმედების აღნიშნული კუთხით შესწავლის ინტერესს აცხვლებს.

საკვანძო სიტყვები: ყაზბეგი, სემიოტიკა, ფსიქოლოგიური პორტრეტები.

მეთოდოლოგიურ კონტექსტში ნიშნებით წერის საკითხს პირველად არისტოტელე განიხილავს. ის „პოეტიკის“ მე-13 თავში აღნიშნავს: „კარგი ფაბულა უნდა იყოს უფრო მარტივი, ვიდრე „ორმაგი“ (არისტოტელე 2013: 67). ეს მსჯელობა კონკრეტულად ნიშნებს არ ეხება, თუმცა მათ პროქსემკულ სივრცეს მონიშნავს. საგულისხმოა, რომ ტექსტის ორგანიზების პროცესების ახსნისას არისტოტელე ნიშნათა მნიშვნელობაზე მსჯელობს. კერძოდ, ყურადღებას უთმობს „გამოცნობას“, როგორც კონცეპტს და განიხილავს მის სახეობებს: „პირველი და ყველაზე უბრალო, რომლითაც ძალიან ხშირად სარგებლობენ სხვა გამოსავლის არქონის გამო – ესაა ნიშნებით გამოცნობა. ნიშნებიდან ზოგი თანდაყოლილია, მაგალითად, „შუბი, რომელსაც ატარებენ (თავიანთ სხეულზე) „მიწათშობილნი“, ან ვარსკვლავები კარკინეს „თიესტესში“; სხვანი შემდგომ შემენილნი, ამასთან ან სხეულზე, მაგალითად ნაჭრილობევი, ან უცხო საგნები, მაგალითად ყელსაბამი ან ნავი, რომლის მეშვეობითაც ხდება გამოცნობა ტრაგედია „ტიროში“ (არისტოტელე 2013: 73–74). როგორც ვხედავთ, ნიშნებით გამოცნობას არისტოტელე „ყველაზე უბრალოს“ და „სხვა გამოსავლის არქონის გამო“ გამოყენებულ ფორმად მოიაზრებს და აკნიებს მისი, როგორც ხერხის, მხატვრულ ღირებულებას. არისტოტელეს ეს შეხედულება მთლიანად უარყოფილია თანამედროვე სემიოტიკის მიერ. მხატვრულ ტექსტთა

6. ლაღანძე

„მაღალმხატვრულობას“, დიდწილად, სწორედ ნიშანთა სისტემების წერის აქტიურ ინსტრუმენტად გამოყენება განსაზღვრავს. ის ფაქტი, რომ ნიშანი სხვადასხვა კულტურულ სივრცეში განსხვავებულად იკითხება, მის ძლიერ მხარედ განიხილება და არა პირიქით (ნიშანთა არსის ეს ქრონემიკული მეტამორფოზაც სემიოტიკური მოძრაობის მშვენიერი მაგალითია).

ამ პროცესის საინტერესო დეფინიციას ქმნის ბარტი ელმსლევზე დაყრდნობით და მეტი კონკრეტულობა შემოაქვს: „ელმსლევის თანახმად, რომელმაც კონოტაცია განსაზღვრა, კონოტაცია მეორეული მნიშვნელობაა, რომლის აღმნიშვნელი, თავის მხრივ, წარმოდგენილია რაიმე ნიშნით ან ძირეული ნიშნების სისტემით, რაც იგივე დენოტაციაა: თუ E არის ექსპრესია, C–შინარსი. ხოლო R ამ ორს შორის ურთიერთობა, რომელიც წარმოქმნის ნიშანს, კონოტაციის ფორმულა ასეთი იქნება: (ERC) RC . ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან კონოტაციის საზღვრები ამოუწურავია და არ ექვემდებარება არანაირი ტექსტის ტიპოლოგიას. ამიტომაც არ წყალობენ“ (ბარტი 2013: 13). მოცემული მსჯელობის მიხედვით, მწერალიც და მკითხველიც თავისუფალია R ფაქტორის სუბიექტურობაში.

მამარდაშვილის აზრით, სემანტიკოსებს ესმით, რომ ისინი აღწერენ და „არ არიან ყოფიერების თანადამსწრენი“, ხოლო კანონებს, რომლებსაც შესწავლის პროცეში მოიაზრებს, „აღწერის კანონებს“ უწოდებს (მამარდაშვილი, პიატიგორსკი 2020: 120). ასეთი ონტოლოგიური ყოფნა „ყოფიერების თანადამსწრეთ“ და „მწერლური ტექსტის“ ღირებულება ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების ახლებური შესწავლის ინტერესს აცხოველებს.

მაინც რა კონკრეტული მხატვრული კომპონენტები განაპირობებს ნიშნებით მდიდარი ტექსტის მაღალმხატვრულობას? ლიტერატურული ნიმუში უნდა აკმაყოფილებდეს ორ უმთავრეს კრიტერიუმს: იყოს ესთეტიკურიდარიტორიკული(ზემოქმედებდესმკითხველზე). მკვლევარი ელგუჯა მაკარაძე ნაშრომში – „კინეტიკური გამოხატვის ფორმები და პოეტური სიტყვა“ შენიშნავს: „არავერბალურ სემიოტიკაში გამოყოფენ რიტორიკულ პოზებს, ჟესტურ ტროპებს – მხატვრული გამოსახვის არავერბალურ ელემენტებს. რიტორიკული ჟესტის გამოყენებისას აქცენტი საკუთრივ გადადის იმ ვიზუალურ ხატზე, რომელსაც ეს სიტყვა შობს და ამ დროს სიტყვას მარტო სმენითი საშუალებით კი არ აღვიქვამთ, არამედ ვხედავთ კიდევ. მხატვრული კომუნიკაციის დროს განსაკუთრებით ხშირად არის გამოყენებული ისეთი რიტორიკული ჟესტები, როგორებიცაა: ჰიპერბოლა, მეტაფორა, ალუზია, ირონია, ლიტოტესი. აღნიშნული ფორმები ტროპული ბუნებისაა და დეკოდირებას ითხოვს, რაც მხოლოდ შესაბამის კონტექსტშია შესაძლებელი“ (მაკარაძე 2013: 101). სწორედ ეს

მოქმედება, დეკოდირება, განსაზღვრავს მკითხველის როლს სემიოტიკურ ტექსტთან მიმართებაში. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღქმა დამოკიდებულია ბევრ კომპონენტზე, მათ შორის, საერთო კულტურულ მზაობაზე, „ესთეტიკურ გამოცდილებაზე“, „ხელოვნების ენის ცოდნასა“ და მისი „გაშიფრვის“ უნარებზე (ბორევი 1986: 280).

გ. კრეიდლინი თავის საეტაპო ნაშრომში – „არავერბალური სემიოტიკა“ ამ რთული, კომპლექსური მეცნიერების დარგის საზღვრებში, შესაბამისი კონტექსტების გათვალისწინებით, რამდენიმე დამოუკიდებელ დისციპლინას გამოყოფს:

1. **პარალინგვისტიკა** (მეცნიერება არავერბალური სემიოტიკის ხმოვანი კოდების შესახებ); 2. **კინესიკა** (მეცნიერება ჟესტებისა და ჟესტური მოძრაობების; ჟესტური პროცესებისა და ჟესტური სისტემების შესახებ); 3. **ოკულესიკა** (მეცნიერება თვალის ენის და ურთიერთობისას ადამიანთა ვიზუალური ქცევის შესახებ) 4. **აუსკულტაცია** (მეცნიერება ხმათა სმენითი აღქმის, კომუნიკაციის პროცესში ადამიანთა აუდიალური ქცევის შესახებ); 5. **ჰაპტიკა** (შეხებისა და ტაქტილური კომუნიკაციის ენის შემსწავლელი მეცნიერება); 6. **ჰასტიკა** (მეცნიერება საკვებისა და სასმელის ნიშნებსა და კომუნიკაციურ ფუნქციებზე, წამლისა და გასამასპინძლებელი ნუგბარის ნიშნებსა და კომუნიკაციურ ფუნქციებზე); 7. **ოლფაქცია** (მეცნიერება სუნის, სურნელის საშუალებით ემოციისა და აზრების გადაცემისა და კომუნიკაციაში სუნის ფუნქციის შესახებ); 8. **პროქსემიკა** (მეცნიერება საკომუნიკაციო სივრცის, მისი სტრუქტურისა და ფუნქციის შესახებ); 9. **ქრონემიკა** (მეცნიერება კომუნიკაციის დროსა, მისი სტრუქტურული, სემიოტიკური და კულტუროლოგიური ფუნქციის შესახებ); 10. **სისტემოლოგია** (მეცნიერება ობიექტთა სისტემების, ადამიანთა მიერ გარესამყაროს აღქმის, ფუნქციათა და არსის შესახებ, რომელსაც ეს ობიექტები გამოხატავენ კომუნიკაციის პროცესში) (Крейдлин 2002: 22).

ჩამოთვლილთაგან ყველა მიმართულებას მეცნიერები თავიანთ კონკრეტულ კვლევთ პრაქტიკაში თანაბარ ყურადღებას არ აქცევენ. გ. კრეიდლინი ყველაზე „ძველსა“ და „დამუშავებულს“ უწოდებს პარალინგვისტიკას და კინესიკას, ხოლო აუსკულტაციას, ჰასტიკას, ოლფაქციას, ქრონემიკასა და სისტემოლოგიას უსამართლოდ დაჩაგრულად მიიჩნევს, რადგან თვლის, რომ ბევრი სფერო არსებობს, სადაც მათი საფუძვლიანი ცოდნა და ფლობა შეუცვლელია (Крейдлин 2002: 22).

XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ალექსანდრე ყაზბეგი არავერბალური სემიოტიკის ყველა კომპონენტის ფლობის დიდოსტატია. ის საოცარი მრავალფეროვნება, რომელიც აღნიშნული კუთხით მის

6. ლაღანიძე

პროზას სხვათაგან გამომარჩევს, მეტ-ნაკლებად სრულყოფილად შეიძლება წარმოვაჩინოთ, გ. კრეიდლინის კომპლექსური კვლევის მეთოდის გამოყენებით. მართალია, ყველა კონტექსტი თანაბარი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ფუნქციურად და მხატვრული ხარისხით – ისინი თანსწორია.

დაკვირვებამ გამოკვეთა რამდენიმე საინტერესო მახასიათებელი, რომლებსაც ქვემოთ პუნქტებად წარმოვადგენთ:

1. როცა მწერლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ნიშანი კონკრეტული სიზუსტით გაიგოს მკითხველმა, ის არავერბალურ პასაჟს ვერბალურ ნარატივსაც ურთავს, რომელსაც ერთგვარი განმარტების ფუნქცია აკისრია. ასე ჩნდება კიდევ ერთი სემიოტიკური მოვლენა – სინთეზირებული კინემა. მაგალითად: „**ელგუჯამ ვეღარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაც გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული მკერდს ძალზედ ეკვროდა. ამ წუთებში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულს გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ გეტყოდათ – რა მოსდიოდათ, რასა შვრებოდნენ, ან ასე რად იქცეოდნენ და სხვა რიგად არა?**“ (ყაზბეგი 1993: 18).

რამდენიმე ტექსტს ყაზბეგი სქოლიოსაც ურთავს, სადაც ე.წ. ეთნოსემიოტიკის ელემენტად განსახილველ რომელიმე კომპონენტს განმარტავს ან ისტორიულად მნიშვნელოვანი ფაქტის დოკუმენტურ წყაროს მიუთითებს. მიზანი ცხადია – სიზუსტე ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია. მაგალითად, „მამის მკვლელს“ ექვსი სხვადასხვა შინაარსის სქოლიო ერთვის (ყაზბეგი 1993: 344, 348, 354, 356, 357, 365).

2. კინეტიკური ელემენტები იშვიათად გვხვდება ცალკე. უფრო ხშირად ისინი რთულ ტექსტურ ქსოვილს ქმნიან და უძლიერეს რეფლექსურ ექსპრესიას იწვევენ. მხატვრულ სახეს ხშირად რამდენიმე სემიოტიკური კომპონენტის ერთობა ქმნის. საილუსტრაციოდ ერთ ვრცელ მონაკვეთს მივადევნოთ თვალი: „**ელგუჯამ ქალი შეიყვანა „საწოლაში“ (დიალექტიზმი, როგორც ნიშანი), აუნთო ჩირადი და რა შეხედა, გაშტერებული დარჩა (კინესიკა), იმის თვალს (ოკულესიკა) წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მიმზიდავი, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და მარღვებში სისხლი აუდუღა (კინესიკა). რასა შვრებოდა, სად იყო – იმას სრულიად გარდაავიწყდა (პროქსემიკა, დაკარგა სივრცის აღქმა. სისტემოლოგია).** ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. ქალი კი იდგა ფერმიხდილი, დაღონებული (პოზა), თვალეზღამებული (ოკულესიკა) და გატაცებული

რაცა ღრმა ფიქრით (პროქსემიკა). „ელგუჯას აწუხებდა იმისი მდგომარეობა, უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და, თუნდა სცოდნოდა კიდევ (ორმაგდება პარალინგვისტიკური ხერხის ფუნქცია: ენის ბარიერი; ემოციის ბარიერი) მნელად შეეძლო სიტყვის წარმოთქმა, რადგანაც არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, იტანჯები, გინდა წარმოთქვა რამე, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება და სიტყვა ვეღარ გიპოვნია (პარალინგვისტიკური ანალიზი), სწორედ ამგვარს მდგომარეობაში იყო ელგუჯაც.“

ბოლოს მოხევე გონს მოვიდა, გაამაგრა „ჩირალი“ (სისტემოლოგია) კედელში, უჩვენა (კინემა) იქვე დალაგებულს საბან-გობანზედ (სისტემოლოგია) და ანიშნა (კინესიკა) იმათი გაშლა. კიდევ ცოტა ხანს (ქრონემიკა) დარჩა, შეხედა (ოკულესიკა), ამოიოხრა (პარალინგვისტიკა) და გამობრუნდა (კინესიკა). კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მიიხედა (კინესიკა), დაინახა (ოკულესიკა), რომ ქალის თვალები ელგუჯასკენ იყვნენ მოქცეულები (ოკულესიკა, სისტემოლოგია) და ისეთის სახით უყურებდნენ (იგივე), თითქოს იმათაც ეგრძნოთ მოხვევის გულის მოძრაობა (პარალინგვისტიკა) და ისინიც თანაუგრძნობდნენ, მაღლობას ეუბნებოდნენ...“ (ყაზბეგი 1986: 11). „კიდევ ერთი წუთი (ქრონემიკა), გულმა ვეღარ გაუძლო (სისტემოლოგია) და გიჟსავით შევარდა (კინესიკა)“ (ყაზბეგი 1986: 12). ამ ქცევამ გამოიწვია მზადდოსგან ელგუჯასადმი სრული ნდობა. ეს მოქმედება კომუნიკაციაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს. ამდენად, ის კინემაა. ამრიგად, მოხმობილ მაგალითში ყველაზე ხშირია კინესიკური, ოკულესიკური, აუსკულტაციური და ჰაპტიკური ელემენტები.

3. მოთხრობაში „ელგუჯა“ თავების უმრავლესობა იწყება ქრონემიკული ფაქტით. რაც გვაფიქრბინებს, რომ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ისაა, თუ როდის მოხდა ნაწარმოებში მოთხრობილი ესა თუ ის ამბავი.

I თავი: „1864 წელს დაჰკრა სასიამოვნო საათმა და გამოცხადდა გლეხკაცების განთავისუფლება“ (ყაზბეგი 1986: 5);

II თავი: „გათენდა დილა...“ (ყაზბეგი 1986: 13). აქ თითქოს პეიზაჟის აღწერას იწყებს, თუმცა მას კომუნიკაციური ფუნქცია აქვს, ნიშნავს, რომ მოქმედება, რომელსაც ახლა აღწერს, მოხდა მეორე დილას;

III თავი: „ერთს მთვარიან სადამოს, როდესაც მთელი მოხვევები სათიბად იყვნენ გასულნი...“ (ყაზბეგი 1986: 17);

X თავი: „როდესაც ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ... ამ დროს...“ (ყაზბეგი 1986: 57);

XI თავი: „ცოტა ხანმა გაიარა“ (ყაზბეგი 1986: 59);

XVI თავი: „გაიარა კარგა ხანმა...“ (ყაზბეგი 1986: 84);

XIX თავი: „რვა საათი იქნებოდა ღამისა“ (ყაზბეგი 1986: 116);

6. ლალანიძე

XX „დილის ათი საათი იქნებოდა...“ (ყაბეგი 1986: 122);

XXII „საკმაოდ მოთენდა, როდესაც...“ (ყაბეგი 1986: 142);

XXIII „უკანასკნელის შემთხვევის შემდეგ დიდს ხანს აღარ გაუვლია...“ (ყაბეგი 1986: 152);

XXIV „გათენდა მეორე დღე...“ (ყაბეგი 1986: 163);

XXV „სადამო იყო“ (ყაბეგი 1986: 169);

დასასრული „გაირა წელიწადებმა...“ (ყაბეგი 1986: 178).

4. გვხვდება სემიოტიკურ ნიშნად ქცეული ფრაზები და ფრაზეოლოგიზმები. **„გლუხკაცებმა დაუშვეს ისევ თავები, მებატონეები კი გაიმართნენ წელში“** (ყაბეგი 1986: 6). ავტორის მიზანი, ერთი შეხედვით, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ უმიწოდ და უტყეოდ გათავისუფლებული გლეხების საბოლოო იმედგაცრუებისა და უიმედობის ჩვენებაა, მაგრამ განსაკუთრებული ემოციური დატვირთვა მოაქვს მორჩილად თავის დახრის და ბედს შეგუების გამომხატველ პოზას. მებატონეთა „წელში გამართვას“, როგორც კინემას, ორგვარი წაკითხვა აქვს. ერთი მღელვარების მიზეზის გაქრობა და შესაბამისი „მოდრაობა“, მეორე ფრაზეოლოგიზმად მოაზრება, რაც მატერიალური კეთილდღეობის გაზრდას გულისხმობს.

გ. კრეიდლინი ფრაზეოლოგიზმებს სემიოტიკის კვლევის ობიექტად მოაზრებს, როგორც მეტად საგულისხმო ინფორმაციულ ნიშნებს. „ჟესტები, როგორც სხვა ნიშნები, დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს და გაქრეს კიდევ. დღეს მხოლოდ ცალკეული ფრაზეოლოგიური გამოთქმები გვახსენებს ოდესღაც ცოცხალი ჟესტების არსებობას. მაგ.: ხელთათმანის გადადება, მუხლებზე დაცემა ... (და სხვა)“ (Крейдлин 2002: 58). აქ ერთ საინტერესო მომენტზე ღირს შეჩერება. ერთ-ერთ მაგალითად მეცნიერი ასახელებს ფრაზეოლოგიზმს: „припадаю к вашим ногам“. ბუკვალური თარგმანია „თქვენს ვეხებთან ვეცემი“. რასაკვირველია, მისი მნიშვნელობა სხვაა სემანტიკური კონტექსტით. აზრობრივად ის მოგვაგონებს მსგავსევე სტრუქტურის, მნიშვნელობისა და ფუნქციის მატარებელ ქართულ სამეტყველო ერთეულს „გეთაყვანებით“. დღევანდელი მნიშვნელობით ნაკლებად, ეტიმოლოგიურად კი იდენტური აქტია შემონახული მასში. ძველქართულად **ყანა** მიწის აღმნიშვნელი ცნება იყო („დავარდა ქუეყანასა ზედა“. სირამე 1987: 25). მიწაზე „დავარდნა“ და შუბლით შეხება რელიგიური კინემაა, რომელსაც სხვაგვარად მეტანია ეწოდება და კონკრეტულად ღვთისადმი „თავყანისცემის“ ნიშანია. თუმცა მოგვიანებით ფრაზეოლოგიზმად ქცეული ამ ქცევითი აქტის მხოლოდ ოდესღაც არსებობასდა მოიაზრებს.

5. ყაზბეგის პერსონაჟები კინემებს თავდაც იყენებენ ნიშნის ფუნქციით: „ელაგუჯა ხვრინავდა **(ხმოვანი)**, თუმცა ძილი არც კი მიჰკარებოდა. ამან

გამხნევა გაგი. წყნარად გადააბიჯა...“ (ყაზბეგი 1986: 12). „მახია... ათასში ერთხელ თუ შეხედავდა დამცინავის ველურის თვალით, რომელიც ყველა ლანძღვასა და თრევაზედ უფრო დამჩაგრავი, შემაწუხებელი (ოკულესიკა) იყო ბედშავი ნუნუსთვის“ (ყაზბეგი 1986: 230) და სხვ.

6. ბუნება განსაკუთრებული სემიოტიკური, სისტემოლოგიურ–პროქსემიკური ფენომენია ყაზბეგთან: „ამ მშვენიერს, ყრუს (აუსკულტაცია) და სასიამოვნო საღამოს, როდესაც ყნოსვას დაატკობდა სურნელიან ყვავილებ–გარეული თივის სუნი (ოლფაქცია), კაცი რაღაცა აღტაცებაში, შფოთვაში შედიოდა“ (ყაზბეგი 1986: 478); „წამდაუწუმ ცას შესცქეროდნენ, რომელზედაც ვარსკვლავებს დრო (ქრონემიკა) უნდა ეჩვენებინათ“ (ყაზბეგი 1986: 20); „გამმაგებული ფუტკრები მინდვრის კეკლუცთ თავს ევლებოდნენ... მზის შუქი ცას აწითლებდა... ყვავილის კოკრებს ოდნავ გადაეხადათ მწვანე პირბადე... აქა–იქ მთის წვერებზედ მოჩანდნენ მწყემსები... ყველგან მოძრაობა, ყველგან გრძნობა თავისი არსებობისა...!“ (ყაზბეგი 1986: 573). მწერალი საკმაოდ ვრცლად აღწერს და ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიას, „საერთო შეხამებას“ უწოდებს და მწვავე კონტრასტის ფუნქციას აკისრებს, ვიდრე ტექსტში გაუბედურებულ მაყვალას შემოიყვანს.

ვახტანგ კოტეტიშვილი შენიშნავს: „ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ გავცელებულია ზეპირი აზრი, რომ იგი ბუნების დიდი მხატვარია. აქ ცოტაოდენი გარკვევა არის საჭირო. თუ ბუნებას ავიღებთ, როგორც სტატიკაში გაქვავებულს, უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგი ასეთი ბუნების მხატვარი სულაც არ არის... ხოლო თუ ბუნებას ავიღებთ როგორც ადამიანის გარშემო და ადამიანებთან ერთად დიდ მოძრაობაში მოსულს (პროქსემიკულ სისტემოლოგიური ფუნქცია), ალ. ყაზბეგი ისეთ გენიოსურ სურათებსა ჰშლის, რომ არამც თუ ჩვენს მწერლობაში, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად მოიძებნება“ (კოტეტიშვილი 2015; 46). მინიშნებულია საერთო კავკასიური კუთვნილებისა და იდენტობის საკითხი. „მე მქონდა სახლი და ის თავშესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა,– მოვიდნენ გაიურები (რუსები) და დამიწვეს... ყველა ეს ქართველებისგან მოხდა, ისინი მოუძღვებოდნენ ბელადად გაიურებს...“ ჰყვება ჩეჩენი ანზორა ჩერბიჟ, „შამილის განთქმული ნაიბი“. აქ შამილის ხსენება შეიძლება ერთგვარ კინოტაციურ ნიშნადაც მივიჩნიოთ. შამილი თავისუფლების, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიისგან თავისუფლებისთვის მეგრძოლის სახე–სიმბოლოდ ქცეულა. ამ საერთო ოცნებას უნდა გაერთიანებინა წესით მთიელები. ნაიბს თავს რატომ ესხმიან ქართველები? აქ გაუღერებულია რუსეთის იმპერიის მიზანი კავკასიელ ხალხთა შორის კონფლიქტის გაღვივების (ბახტაძე 2014: 5) (სისტემოლოგია) და ავტორის გულისტკივილი, რომ მართლაც

6. ლაღანიძე

აღმოჩნდნენ კონკრეტული ადმიანები ქართველთა შორის, რომელთაც „იბელადეს“ „გიაურთ“ მხარეს. ცალკე საყურადღებო კონცეპტია – „იბელადეს“. საკუთარ მიწაზე დამონებული, დაჩაჩანაკებული, უფლებააყრილი და შეურაცხყოფილი ქართველი სხვაგან „აბელადეს“? დიახ, ჩეჩენთა „მტრის ხატი“ ქართველთა სახით – ეს საფრთხილო პრეცედენტი სემიოტიკური აქტით იქმნება. რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლისა და აქაურ ხალხთა თავისუფლების საკითხს საკმაოდ ვრცელ ვერბალურ ნარატივებში დეტალურად განიხილავს, მაგრამ მინიშნებებში ბევრად მეტი იკითხება. „მაინც ნუ ენდობი, რუსის სამსახურშია... ისინი აძლევენ ფულსა“ (ყაზბეგი 1986: 113). „ეს ხმა **ზარსავით დაგვეცა თავს**, რადგანაც ჩვენ რუსეთისგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად **ყმად** კი გადავიქცით...“ (ყაზბეგი 1986: 109). განსაკუთრებით მრავლადაა რელიგიური და საწესჩვეულებო ნიშან-სისტემები (რაც მკითხველის მზაობის საკითხს კვლავ ააქტიურებს). „გამოჩნდნენ **დეკანოზები**“... – **ამწყალობებენ!**“, „ისინი შეუდგნენ იმათ **„შეკვრასა“**, ვინც მათ შორის მოღალატე გამოვიდოდა... მოღალატეს დაიფარავდა... შემწეობას აღმოუჩენდა“. „თითო საზოგადოებიდან გამოვიდოდა წინამძღოლი და მედროშე, მოვიდოდა **დროშასთან**, რომელიც აბდიას ეჭირა ხოლმე, მოუყრიდა მუხლსა, ემთხვეოდა და **სახალხო სიწმინდეს** მოწიწებით ჩაიბარებდა, შემდეგ ჩამოვიდოდა და თავის საზოგადოებას უერთდებოდა. ხალხს დიდი რწმუნება ჰქონდა თავიანთ **დროშებზე**... ისინი დიდიდან პატარამდინ გაწყდებოდნენ და **ხალხის ეროვნობის დამაკავშირებელს ნიშანს არ დაჰკარგავდნენ**“ (ყაზბეგი 186: 105–107). „**თემის** წინააღმდეგობა საით იქნების? თემის სიტყვა ღვთის ბრძანებაა, კაცი ვერ გადავა იმას“ (ყაზბეგი 1986: 89). „–თემი, შენი ჭირიმე,– დაცინვით წამოიძახა გირგოლამ, ძალინ რამე არი ჩვენი თემი!.. მე **ზაკონით** გესაუბრებით, ზაკონით...“ (ყაზბეგი 1986: 234). „შენთან **ძმად გაფიცვა** მინდა“ (ყაზბეგი 186: 96). „აბდია და რამდენიმე **მოხუცი სტუმარს** გამოეგებნენ გარედ, სადაც მიესალმნენ სვიმონს დიდის მოკრძალებით და პატივით შეიწვიეს“ (ყაზბეგი 186: 118), „ძუმეზედ **სამჯერ** კბილის დადგმით, სამჯერ წარმოსთქვა: – შენ დედა და მე შვილი“ (ყაზბეგი 186: 157). „მთაში **ავადმყოფთან** მტერიც კი სიფრთხილით და მოკრძალებით შედის“ (ყაზბეგი 186: 159). „ყველას ჩვეულებისამებრ, შესაწირავი უნდა მოეტანა, **მიცვალებულისადმი** უკანასნელი ვალი გადაეხადა“ (ყაზბეგი 186: 163).

საინტერესო პროქსემიკული დატვირთვა აქვს ტანსაცმელის ენას. „მოვიდა სტუმარი, რომელსაც **ქართლული ტანისამოსი** ეცვა და **თავიდან ფეხებამდინ შეიარაღებული იყო**“ (ყაზბეგი 1986: 108). „**თუშური ქუდი** კობტად გვერდზე მოქცეოდა... ჩოხის კალთები განიერს ღვედის ქამარში ისე ჩაეკეცა, როგორც სიარულში და **ომის** დროს იკეთებენ ხოლმე.

ქამარზედ მოზრდილი ხანჯალი წელს უმშვენებდა. სასწრაფო და საპირისწამლე, ორკენვე მხარ-ილლივ გადაკიდებული, ამტკიცებდნენ, რომ მეომარი უნდა ყოფილიყო“ (ყაზბეგი 1986: 112). „მუშაობდნენ მებატონის ... მამულზე უსასყიდლოდ, მარტო ლუკმა პურისათვის და ზედ ჩასაცვამის კონკ-ძონძებისთვის!“ (ყაზბეგი 186: 6). „რუსებმაც ჩქარა შენიშნეს სვიმონ... დააჯილდოვეს და პირდაპირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით მხარ-ბეჭი აუყვავეს“ (ყაზბეგი 186: 50). „ხალხის მოსვენება და თავისუფლება ბრჭყვიალა ტანისამოსზედ გაუცვლია“ (ყაზბეგი 186: 58). მდიდარია ჰასტიკური მასალით. მთის, ხევის იდენტიფიცირების კომპონენტია კონკრეტული საკვები, ხოლო სტუმარმასპინძლობის ტრადიციის ენა ზოგადად ჰასტიკის დატვირთვის მატარებელია. „ქალმა მოიხსნა გუდა, ამოალაგა ხაჭაპურები, ყველი და ქადა“ (ყაზბეგი 186: 111). „იქნებოდა გლეხების ვახშობა (ქრონემიკული განვრცობა)“ (ყაზბეგი 186: 88).

მამასადაძმე, სემიოტიკური ნიშნებით ალექსანდრე ყაზბეგი ღრმა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს და მაღალმხატვრულ ტექსტებს ქმნის და მისი შემოქმედებითი ინდივიდუალიზმის მთავარი მახასიათებელია. მკითხველამდე ის არავერბალური კომუნიკაციის ხერხებით მიდის და ეს საშუალებას იძლევა, რომ პერსონაჟსა და მკითხველს შუა არ ჩადგეს ავტორი.

